ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახელმწიფო მინისტრი

გაეროს უშიშროების საბჭო აფხაზეთის სტატუსის საკითხს განიხილავს



გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში დიტერ ბოდენი რამდენიმე დღის წინათ სოხუმში იმყოფებოდა, იგი შეხვდა აფხაზთა სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენლებს. 21 აპრილს სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ შეხვედრაზე კი დიტერ ბოდენმა სახელმწიფო მინისტრს გიორგი არსენიშვილს სოხუმის შეხვედრის შედეგები გააცნო. დიტერ ბოდენმა აღნიშნა, რომ ჯერჯერობით კვლავ გადაუჭრელი რჩება და გაურკვეველია მძევლად აყვანილი 5 ქართველი მეთევზისა და 3 პარტიზანის, ასევე, დავით შენგელიას მიერ 5 აფხაზი მძევლის გათავისუფლების საკითხი. დიტერ ბოდენის აზრით, ახლო მომავალში ეს პრობლემები პოლიტიკური მეთოდით უნდა მოგვარდეს, უწინარესად კი, უნდა დაიწყოს 16 აპრილს სოხუმში ხელმოწერილი შეთანხმების პუნქტების შესრულება. 24 აპრილს გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე აფხაზეთის სტატუსის განმსაზღვრელი დოკუმენტის განხილვა დაიწყება, რომელიც გაეროს მეგობარი ქვეყნების ჯგუფმა შეიმუშავა. განხილვაში მონაწილეობას მიიღებს დიტერ ბოდენიც. მისი თქმით, თავად ფაქტი, რომ გაეროს უშიშროების საბჭოში კიდევ ერთხელ განიხილება აფხაზეთის სტატუსის საკითხი, უდავოდ პოზიტიურ შედეგს გამოიღებს.

საქინფორმი.

პერსპექტივა

გვჭირდება მობილური ხელისუფლება

როგორც საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა ნიკო ლეკიშვილმა განაცხადა, ქვეყნის პრეზიდენტის ინიციატივა მინისტრთა კაბინეტის შემოღების თაობაზე მისთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ნიკო ლეკიშვილის აზრით, ქვეყანაში მართვის თვალსაზრისით პრობლემებია შექმნილი და ამდენად, მინისტრთა კაბინეტის შემოღება დროულია. ეს საშუალებას მისცემს ხელისუფლებას განახორციელოს ცვლილებები.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელის შემოღებას ემხრობა, რომელიც ითვალისწინებს ძლიერი პრეზიდენტის ინსტიტუტს, მობილურ და მოქნილ მინისტრთა კაბინეტს, ამავე დროს, პრეზიდენტი აღჭურვილი იქნება პარლამენტის დათხოვნის უფლებით. „ჩვენ გვჭირდება მობილური ხელისუფლება და ამიტომაც უნდა შემცირდეს მინისტრების რაოდენობაც“, — მიაჩნია ნიკო ლეკიშვილს.

მისი აზრით, საჭიროა დეპუტატების რაოდენობის შემცირებაც.

საქინფორმი.

კადრები

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დაინიშნენ: **გიორგი გაჩეჩილაძე** — საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის პირველ მოადგილედ.

ირმა ქავთარაძე — საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის მოადგილედ.

* * *

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით **გიორგი გაჩეჩილაძე** გათავისუფლდა საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობიდან საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის პირველ მოადგილედ დანიშვნის გამო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 105-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

საქინფორმი.

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/sakartvelos-respublika

ოთხ დღეში ჩვენს გაზეთს ინტერნეტით გაეცნო 8761 მკითხველი. მათ შორის, 72% აშშ-დან, 21% — საქართველოდან.

„დილა ამ
გაზეთის
გადაშლით
დაიწყეთ...“
ი. ჭავჭავაძე

საქართველოს რესპუბლიკა

სნსკ
საქართველოს ნავთობის
საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International
Oil Corporation

გაზეთი დაარსებულია 1919 წელს, აღდგენილია 1990 წელს.
№95 (3836)
კვირა, 22 აპრილი, 2001 წელი.
ფასი 50 თეთრი.

კანონმდებლები

პარლამენტში საკადრო რეფორმა მიმდინარეობს

ქვეყანაში მიმდინარე სახელმწიფო რეფორმებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო სამსახურის რეფორმაა, რომელშიც განმსაზღვრელი ფუნქცია ადამიანის რესურსებთან მუშაობას ენიჭება.

საქართველოს პარლამენტი, მისი თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას უშუალო ხელშეწყობით, პრაქტიკულად პირველი გამოეხმაურა საკადრო რეფორმების განხორციელების აუცილებლობას. ორი კვირაა, რაც საქართველოს პარლამენტში მიმდინარეობს პარლამენტის აპარატის სახელმწიფო მოხელეთა პროფესიული ცოდნის, ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობისა და პიროვნული თვისებების გამოსავლენად ატესტაცია, რომელშიც განუსაზღვრელი ვადით მიღებული 400-მდე მოხელე მონაწილეობს. პარლამენტის აპარატის საკონკურსო საატესტაციო კომისიის დებულების მიხედვით, მოხელეებს სამ ტურად გამოცდიან. როგორც ზეპირი, ასევე წერითი და პრაქტიკული ჩვევების გამოსავლენი გამოცდები უცხო ენაში, კომპიუტერისა და საქართველოს კანონმდებლობის ცოდნაში მოხელის კომპეტენციის და უფლებამოსილების დონის მიხედვით განისაზღვრება.

იხ. მე-2 გვ.

ალმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

ედუარდ შევარდნაძე: „ყველა საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ“

ეს განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ 21 აპრილს გამართულ მთავრობის მორიგ სხდომაზე, რომლის დღის წესრიგშიც უპირატესობა მიენიჭა ქვეყნის სოციალური ცხოვრების აქტუალურ საკითხებს. მათ შესახებ მსჯელობის შედეგების შეჯამებისას სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, რომ მის მიერ მოქალაქეთა კავშირის მთავარი საბჭოს სხდომაზე გამოთქმული წინადადება საქართველოში მინისტრთა კაბინეტის ინსტიტუტის შესაძლო შემოღების შესახებ, რომელზეც პირველი რეაქცია მმართველ პარტიაშიც და მოსახლეობაშიც დადებითი იყო, განხორციელების შემთხვევაში შეიძლება საქმეს არც წაადგეს, თუ ალმასრულებელი ხელისუფლება ისე არ იმუშავებს, როგორც საჭიროა. ახლა, თქვა ედუარდ შევარდნაძემ, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მოდუნება, მკლავები უნდა დავიკაპიწოთ და ათმაგად-ასმაგად უკეთ უნდა ვიმუშაოთ. მინისტრთა კაბინეტი გვექნება თუ არა, „ყველა შემთხვევაში უნდა ვაკეთოთ ის, რაც გასაკეთებელია“, — ხაზგასმით აღნიშნა პრეზიდენტმა.

* * *

სხდომის დღის წესრიგში პირველი პუნქტი იყო ინვალიდთა სოციალური დაცვის საკითხი. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ წარმოადგინა კანონპროექტი „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“. როგორც მან აღნიშნა, ამ კანონის შემუშავების აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ მოქმედი სამართლებრივი აქტები, რომლებიც აწესრიგებს სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის საკითხებს, არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, იმ ძირითად პრინციპებს, რომელთა დეკლარირებასაც ინვალიდების მიმართ ახდენს გაერო, როგორც სოციალური, ისე სამედიცინო თვალსაზრისით. მათი უმრავლესობა მიღებულია ჯერ კიდევ 15-20 წლის წინათ, ამიტომაც არ წარმოადგენს ამ სფეროს მართვისა და განვითარების ეფექტიან ინსტრუმენტს.

იხ. მე-2 გვ.

გამარჯობათ!

ჯიუტი თხების მოტივით?!

ამ უკანასკნელ ხანს „ჭიათურმანგანუმისა“ და „ფეროს“ ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი (მას შეიძლება დავიდარაბაც დავარქვათ), ჯიუტი თხების საქციელს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე მეურნე კაცის დადინჯებული გონების ნამოქმედარს. შემდგარა ქვეყნის ეკონომიკის მოჭრიალე ხიდზე ორი მოქიშპე პოზიცია და ერთმანეთს ერქინება:

— მე ისა ვარ (ამბობს პირველი), ვინც სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესებს იცავს. ნუ მეურჩები, თორემ დაგეჯახები და მდინარეში ტყაპანს მოგადინებინებო.

— ქვეყნის ინტერესების დამცველი შენ კი არა, მე ვარ (ამბობს მეორე), შენ თვითონ ჩამომეცალე გზიდან, თორემ ჩემს რქებს ვერ გადაურჩებიო.

თუმცა, არა მგონია, რაც ამ საწარმოების გარშემო ხდება, მაინც და მაინც თხების სიჯიუტით და ხალხის ინტერესებით იყოს ნასაზრდოები. აქ უფრო სხვა ტენდენცია იკვეთება, რასაც პირდაპირ და გაბედულად ვერ ამბობენ, თორემ მოქიშპე მხარეების დიალოგი შესაძლოა სულ სხვა სტილში წარმართულიყო. ვთქვათ ასე:

— გაიწიე, მომეცი საშუალება ფულით სავსე ტომრით გავიარო, თორემ ისეთს გირტყამ, სამუდამოდ დაინვალიდდები!

— ეგ ტომარა მე მომკიდე ზურგზე და გზიდან ჩამომეცალე, თორემ ახლავე მორევში ჩაგაყურყუმალავებ!

გჯერათ ამათი მუქარის? თქვენი არ ვიცი და მე, მაგალითად, მჯერა. მაგათ საქმეს ვერ გააკეთებინებ, თორემ ფულის წაღების (და არა კეთების) უბადლო სპეციალისტები საქართველოში საკმაოდ არიან. ოღონდ უშრომელი ფული ნახონ და ტომარას კი არა, თუგინდ ჭიათურის შავი ქვით სავსე ვაგონს მოიკიდებენ.

იხ. მე-2 გვ.

მადლი

სიკეთე, რომელიც არ იკარგება

დღევანდელ, ბრწყინვალე აღდგომის კვირაცხოვლობის დღეს, ჩვენი დედაქალაქის მრავალ ხელმოკლე, სოციალურად დაუცველ ოჯახში, იმედია მადლიერების გრძნობით მოიგონებენ იმ ადამიანებს, რომლებმაც მათი ისედაც მწირი სუფრა, ჭრცთუ ისე ურიგო ნობათით კიდევ უფრო დაამშვენეს და მრავალფეროვანი გახადეს.

გაჭირვებულ თანაქალაქელთა თანადგომა და მათთვის ხელის შემწეობა არასდროს არ ყოფილა უცხო საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“, რომლის პრეზიდენტი ქალბატონი ნანული შევარდნაძე ყოველთვის მხარში უდგას და უცხოელი მეგობრების დახმარებითა და ხელშეწყობით შესაძლებლობის ფარგლებში სისტემატურად ეხმარება კიდეც მათ.

გუშინდელი აქცია კი ერთი ასეთი რიგითი ღონისძიება იყო, რომელიც დედაქალაქის ხუთივე რაიონში მოეწყო, რის შედეგადაც 5 ათასი ხელმოკლე ოჯახის ბიუჯეტი — თუ მათ მიერ გაცემული პროდუქტების მიხედვით ვიმსჯელებთ — დაახლოებით 20-25 ლარით გაიზარდა, რაც, ალბათ, დამერწმუნებით, დღევანდელ პირობებში არცთუ ისე მცირე თანხაა.

იხ. მე-2 გვ.



პროკურატურა

3 მილიონ 379 ათასი ლარის დანაკლისი გამოვლინდა „საქართველოს საფოსტო ბანკის“ აფხაზეთის №2 ფილიალში

საქართველოს გენერალური პროკურორის გია მეფარიშვილის გამოსვლიდან საქართველოს მთავრობის 21 აპრილის სხდომაზე

2000 წლის 2 ივლისს, დაახლოებით 4 საათზე, ქ. ზუგდიდში, თაბუკაშვილის ქუჩაზე №14 სახლში მცხოვრებ, საქართველოს საფოსტო ბანკის აფხაზეთის №2 ფილიალის მმართველის მოადგილის, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ ვახტანგ შონიას ოჯახს თავს დაესხა ცეცხლსასროლი, მათ შორის ავტომატური, იარაღით შეიარაღებული, დაუდგენელ პირთა ჯგუფი.

თავდამსხმელთაგან ერთ-ერთმა მოითხოვა ფულის გადაცემა. ვახტანგ შონიამ წინააღმდეგობა გაუწია თავდამსხმელებს და ამ დროს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან არაერთი გასროლის შედეგად მიიღო მძიმე ხარისხის დაზიანება და საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

ზუგდიდის რაიონის პროკურატურაში 2000 წლის 2 ივლისს აღიძრა სისხლის სამართლის №5300835 საქმე ვახტანგ შონიას დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის ფაქტზე დანაშაულის ნიშნებით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტითა და 179-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით.

ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ვახტანგ შონიას მკვლელობა შეიძლება დაკავშირებული იყო დაზარალებულის სამსახურებრივ საქმიანობასთან და საქართველოს საფოსტო ბანკის საქმიანობაში არსებული დანაშაულის დაფარვის მიზნით იყო ჩადენილი. ამ ვერსიის შესამოწმებლად შესწავლილ იქნა ბანკის ფილიალის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა.

ბანკის ეს ფილიალი ემსახურება რეგიონში განთავსებულ 60 000 კაცზე მეტ ადგილნაცვალ პირს. შესასრულებელ სამუშაოთა დიდი მოცულობისა და ბანკის ფილიალის საქმიანობისადმი მოსახლეობის არაერთგვაროვანი დამოკიდებულების გათვალისწინებით, შემოწმების შემჭიდროებულ ვადებში დამთავრების,

იხ. მე-2 გვ.

გვწერენ

ზუგდიდელები ემადლიერებიან

ზუგდიდის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფოს „რესპუბლიკას“ სამეანო-გინეკოლოგიური განყოფილების კოლექტივი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბატონ ავთანდილ ჯორბენაძის და მისი კოლექტივის მადლიერია. მათ ჩვენი კოლეგის დიანა შელიას შვილს სიცოცხლე შეუნარჩუნეს; მადლობლები ვართ, აგრეთვე, ექიმების გოჩა ინგოროყვასი, ირაკლი თოიძის, დავით ყაზაშვილის და თამარ ბოჭორიშვილის.

ლ. ჯანჯღავა,
ნ. წითლიძე,
ს. გოგოხია,
ე. ჩარტია, დ. შელია.

გიხაროდენ!

გვანცა პირველი სიხარულია

ქვირფასო რედაქცია, ვარკეთილის დასახლებაში თქვენს გაზეთს ბევრი მკითხველი ჰყავს, მეც მათ შორის, ამიტომაც მოგაკითხეთ. ჩემს მეზობლად ცხოვრობენ ინგა და ბესო კესარელები. მათ ოჯახში ამ დღეებში დიდი სიხარულია, შეეძინათ გოგონა, რომელსაც ბავშვის სახელი — გვანცა დაარქვეს.

კესარელების ახალგაზრდა ოჯახს მეზობლებმა, ახლობლებმა გოგონას შეძენა მიულოცეს და კვლავაც გამრავლება უსურვეს.

ქეთევან დიდებულიძე,
თბილისი, ვარკეთილი-3,
კორპუსი 77.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

ინვესტორი

საქართველოში „ვაისროის“ წარმოებას საფრთხე ემუქრება

თბილისში „საქართველოს თამბაქოს წარმოების“ სამგორის ფაბრიკის საკუთრების ირგვლივ მიმდინარე რთულმა პროცესებმა შეიძლება ქვეყანაში საკმაოდ მომგებიან პროექტს — პოპულარული მარკის სიგარეტის „ვაისროის“ წარმოებას — საფრთხე შეუქმნას. ეს პროექტი, როგორც ადრე აღვნიშნავდით, საქართველოში, კერძოდ, ლაგოდეხის რაიონში, თამბაქოს წარმოების აღორძინებასაც ისახავდა მიზნად.

2000 წლის შემოდგომაზე, როგორც ცნობილია, ხელი მოეწერა ხელშეკრულებას „ბი-ეი-თი“-სა და „საქართველოს თამბაქოს წარმოებას“ შორის (სამგორის თამბაქოს ფაბრიკა) ფაბრიკის ნაწილის იჯარით აღებასთან დაკავშირებით და საქართველოში სიგარეტის ბაზრის ლიდერის „ვაისროის“ წარმოების თაობაზე.

ადგილობრივი პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად — აშშ-ში დამზადებული „ვაისროის“ ანალოგიური პროდუქტის მისაღებად — „ბი-ეი-თი“-მ შემოიტანა საკუთარი მანქანა-დანადგარები, დაიქირავა წარმოების გამოცდილი მენეჯერი, ხარისხის კონტროლის მენეჯერი, ამზადებს და ასაქმებს ადგილობრივ კადრებს.

იხ. მე-2 გვ.

ინფორმაცია

კომპრომისი მოიძებნება

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი დარწმუნებულია, რომ „ადრე თუ გვიან გამოძებნება კომპრომისი ახალქალაქიდან და ბათუმიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის ვადებთან დაკავშირებით. რუსული მხარის მტკიცებით, მათ 15 წელი სჭირდებათ აღნიშნული ბაზების გასაყვანად, საქართველო კი მხოლოდ სამზე თანხმდება.

როგორც მენაღარიშვილმა პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში განაცხადა, საქართველო არ აპირებს პრინციპულ საკითხებზე საკუთარი პოზიციის დათმობას — ბაზები დროის სწორედ იმ მონაკვეთში უნდა დაიხუროს, რაც ამ ოპერაციისთვისაა აუცილებელი.

სამხედრო თემატიკაზე რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებათა მორიგი, მეშვიდე რაუნდი ივნისში იგეგმება, მაისში კი ექსპერტთა ჯგუფების შეხვედრა გაიმართება.

ხიდი კვლავ გადაკეტეს

გუშინ აფხაზმა სეპარატისტებმა კვლავ გადაკეტეს გალის რაიონის ზუგდიდთან დამაკავშირებელი ხიდი მდინარე ენგურზე და აფხაზეთიდან სამეგრელოში ქართველებს არ უშვებენ, — იუწყება „იფრინდა“.

აფხაზები მხოლოდ იმ პირებს ატარებენ, რომელთაც გალის რაიონის უშიშროების სამსახურის მიერ გაცემული საშვები აქვთ.

ჩეხი მეწარმეები — თბილისში

საქართველოსა და ჩეხეთის საქმიან წრეებს შორის უშუალო კავშირების დასამყარებლად და ურთიერთობის გასაღრმავებლად, დღეს საქართველოში სამუშაო ვიზიტით ჩამოვა ჩეხეთის დელეგაცია, ჩეხეთის ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის პაველ ბრაჰას ხელმძღვანელობით, ხვალ სასტუმრო „მონოპოლში“ ჩეხი მეწარმეებისათვის გაიმართება სემინარის თემაზე — „ეკონომიკური სიტუაცია საქართველოში“. სემინარის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი მერაბ ადეიშვილი, მშენებლობისა და ურბანიზაციის მინისტრი მერაბ ჩხენკელი, ასევე, სხვა სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები და ბიზნესმენები.

ორმა მესაზღვრემ საგუშაგო მიატოვა

გუშინ დილით ორმა რიგითმა თვითნებურად მიატოვა საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის, ინგუშეთის მიმართულებით მდებარე სასაზღვრო-საგუშაგო „ტერლა“, — აცნობებს „იფრინდას“ საზღვრის დაცვის დეპარტამენტში.

აღნიშნული საგუშაგო საზღვრის დაცვის გაძლიერების მიზნით 2 თვის წინათ შეიქმნა.

მესაზღვრეებმა წაიღეს კალაშნიკოვის ავტომატები, ხიშტდანები და ღამის ხედვის ოპტიკური ხელსაწყო.

ჯარისკაცთა ძებნაში მესაზღვრეებთან ერთად მონაწილეობენ შსს თანამშრომლები.

ხელი მოაწერეს შეთანხმებას

საქართველოში სტუმრად მყოფმა ესტონეთის თავდაცვის მინისტრმა იური ლუიკმა და საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ორმხრივი სამხედრო თანამშრომლობის თაობაზე.

ესტონეთის თავდაცვის სამინისტროს დელეგაციამ დაათვალიერა კოჯრის სასწავლო ცენტრი და ყვავილებით შეამკო ქართველი იუნკრების მემორიალი.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, პრაიმ-ნიუსმა და იფრინდამ.

შედეგი

ფოთის საზღვაო ნავსადგურმა ახალი საუკუნე კარგი ფინანსური და ეკონომიკური მაჩვენებლებით დაიწყო

2001 წლის პირველ კვარტალში ფოთის ნავსადგურმა გადაამუშავა 242 გემი, 27-ით მეტი, ვიდრე 2000 წლის პირველი სამი თვის განმავლობაში. ტვირთბრუნვამ შეადგინა 738,0 ათასი ტონა, რაც 72,8 ათასი ტონით, ანუ 10,9 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამისი პერიოდის შედეგებთან შედარებით. საერთო ტვირთბრუნვიდან ექსპორტზე მოდის 198,8 ათასი ტონა (26,9 პროცენტი), იმპორტზე — 140,9 ათასი ტონა (19,1 პროცენტი), ხოლო ტრანზიტზე — 398,3 ათასი ტონა (54,0 პროცენტი). 2000 წლის პირველი კვარტალის მონაცემებთან შედარებით, ექსპორტი შემცირდა 10,7 პროცენტით, იმპორტი — 4,7 პროცენტით, ხოლო ტრანზიტი გაიზარდა 15,4 პროცენტით.

წელს, სამ თვეში, ნავსადგურმა გადაამუშავა 227.716 ტონა ნაყარი ტვირთი (მათ შორის, მარცვლეული — 60,3 ათასი ტონა, შავი ლითონის ჯართი — 136,4 ათასი ტონა, სპილენძის კონცენტრატი — 8,2 ათასი ტონა, ბარიტი — 8,5 ათასი ტონა).

2001 წლის პირველ კვარტალში გენერალური ტვირთების მოცულობამ შეადგინა 279,200 ტონა (23,8 ათასი ტონით მეტი), ხოლო თხევადი ტვირთებისამ — 231,100 ტონა (171,4 ათასი ტონით მეტი). გარკვეულწილად შემცირდა გადამუშავებული კონტეინერების რაოდენობა. 2001 წლის პირველ კვარტალში გადამუშავდა 8542 პირობითი ერთეული კონტეინერი, ანუ 2000 წლის პირველი სამი თვის მონაცემებთან შედარებით, 1177 პირობითი ერთეულით ნაკლები.

იხ. მე-2 გვ.

უკანასკნელ საათს

მეფის რუსეთისდროინდელი ებრაელთა „პოგრომების“ ახალრუსული ვარიანტი გათამაშდა გუშინ მოსკოვში, იასენევოს სავაჭრო ცენტრში, სადაც ნახევრადსამხედრო ფორმიანი და თავგადაპარსული ახალგაზრდების რაზმები რკინის ხელკეტებით დაერივნენ აქ მოვაჭრე კავკასიელთა ჯიხურებს და დალეწეს ყველაფერი, რაც მათი „მოქმედების არეში“ მოექცა. დაკავებულია 53 „პოგრომშჩიკი“.

ომიშილი ჩვენს ქვეყანას არ ემუქრება, — განაცხადა გუშინ უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ, რომელმაც პარლამენტის სპიკერთან და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ერთად მონაწილეობა მიიღო კიევის გამწვანებისათვის გამართულ შაბათობაში.

ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში
დაბლობში: ღამით +10+15;
დღისით +21+26.
მთაში: ღამით +7+12;
დღისით +18+23.
აღმოსავლეთ საქართველოში
ბარში: ღამით +4+9;
დღისით +13+18.
მთაში: ღამით +2+7;
დღისით +10+15.
თბილისში
ცვალებადი მოღრუბლულობა, ხანმოკლე წვიმა ელჭექით.
ღამით +7+9;
დღისით +16+18.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

ლარის კურსი

22 აპრილიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

ინგლისური გირვ.	1	2.9634	ლარი
გერმანული მარკა	1	0.9407	ლარი
აშშ დოლარი	1	2.0501	ლარი
ევრო	1	1.8398	ლარი
რუსული რუბლი	1	0.0710	ლარი

ინტერპანორამა

რუსეთის ტელევიზიის (PTP) აღიარებით დღეს რუსეთში 700 ათასი ობოლი და უპატრონო ბავშვია, რაც ორჯერ სჭარბობს მეორე მსოფლიო ომისდროინდელ დონეს.

გუშინ ამერიკული კოსმოსური ხომალდი „ენდევერი“ კოსმოსურ ორბიტაზე შეუპირაპირდა კოსმოსურ სადგურს.

მილიციამ დამალა გუშინ ბაქოში ოპოზიციის არასანქცირებული მსვლელობა.

გუშინ კანადაში, კვებეკის ცენტრში პოლიციამ დაარბია აგრესიულად განწყობილი დემონსტრანტები, რომლებიც გამოვიდნენ ამერიკის კონტინენტზე თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის წინააღმდეგ. მათი დევიზია — გლობალიზაციით „მდიდრები უფრო მდიდრდებიან, ღარიბები უფრო ღარიბდებიან“!

„საქართველოს რესპუბლიკა“ — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.

აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

ედუარდ შევარდნაძე: „ყველა საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ“

(პირველი გვერდიდან)

მთავრობამ მოიწონა წარმოდგენილი კანონპროექტი. როგორც ქვეყნის პრეზიდენტმა აღნიშნა, ეს ძალზე მნიშვნელოვანი კანონია, რომელმაც უნდა მოაწესრიგოს პრობლემები, შექმნას აღრიცხვის ქმედითი სისტემა და უზრუნველყოს ინვალიდთა სოციალური დაცვა.

* * *

მინიმალური ხელფასი მუდამ უნდა შეესაბამებოდეს საარსებო მინიმუმს, ასეთია ძირითადი იდეა, რომელიც საფუძვლად უდევს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ „საარსებო მინიმუმის გაანგარიშების წესის შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებსა და დამატებებს. კანონპროექტის წარმოდგენისას ავთანდილ ჯორბენაძემ აღნიშნა, რომ მოსახლეობის ფულადი შემოსავლის ერთ მთავარ მახასიათებელს მის საარსებო მინიმუმთან შესაბამისობის ხარისხი წარმოადგენს.

მაშინ, როდესაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა არ იძლევა საშუალებას მინიმალური ხელფასი (ასევე სხვა სოციალური გასაცემლები) განისაზღვროს ამ სოციალური ნორმატივის დონეზე, კანონი ითვალისწინებს მოსახლეობის ყველაზე მცირეშემოსავლიანი ნაწილის მსყიდველობითი უნარის დაცვას სამომხმარებლო ფასების ზრდის პირობებში.

სხდომაზე აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილება ყველაზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან მინიმალური ხელფასის გაზრდა გარკვეული შეზღუდვების არსებობას უნდა ითვალისწინებდეს, როგორც დროის თვალსაზრისით, ასევე საარსებო მინიმუმის ზრდის ზღურბლის დაწესების საშუალებით, რომელიც მინიმალური ხელფასის კორექტირების საფუძველი იქნება. აღინიშნა, რომ ეს აუცილებელია იმდენად, რამდენადაც მინიმალური ხელფასი არ შეიძლება იცვლებოდეს ფასების ყველაზე უმნიშვნელო ზრდის პირობებში, რასაც შეიძლება შემთხვევითი ან სეზონური ხასიათი ჰქონდეს. ამასთან მინიმალური ხელფასის ზრდა, ისევე როგორც ხელფასების ზრდა, არ უნდა გახდეს ინფლაციის ხელშემწყობი ფაქტორი. როგორც სხდომაზე აღინიშნა, მინიმალური ხელფასის ცვლილების ზღურბლის შემოღება კანონის რეალური ამოქმედების საშუალებას იძლევა.

* * *

უკანასკნელ პერიოდში განხორციელებულ ღონისძიებათა მიუხედავად კვლავაც პრობლემად რჩება ქვეყანაში იმპორტირებული და ადგილობრივი წარმოების ეთილის სპირტის ტრანსპორტირების, შენახვისა და რეალიზაციის, ეკოლოგიური უსაფრთხოების და ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხების გადაწყვეტა. კვლავაც პრობლემაა ტრანზიტისა და რეექსპორტის რეჟიმით გადაადგილებული ეთილის სპირტის გაკონტროლება ქვეყნის ტერიტორიაზე. ეს განაცხადა სხდომაზე საგადასახადო შემოსავლების მინისტრმა მიხეილ მაჭავარიანმა, რომელმაც წარმოადგინა ქვეყნის პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი „საქართველოში შემოტანილი და წარმოებული ეთილის სპირტის გადაზიდვის, შენახვის, გადამუშავების, აგრეთვე საბითუმო და საცალო ვაჭრობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“.

წარმოდგენილი პროექტი მოიცავს იმ კომპლექსურ ღონისძიებებს, რომლის პრაქტიკული და მიზანმიმართული განხორციელება ხელს შეუწყობს და უზრუნველყოფს ამ საკითხის მოწესრიგებას. კერძოდ, ბრძანებულების პროექტის შესაბამისად საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს ევალება, გამოაცხადოს ღია ტენდერი საქართველოში ეთილის სპირტის ერთიანი სპეციალიზებული ტერმინალის შერჩევის შესახებ, რომელიც მხოლოდ ამ საქმიანობით იქნება დაკავებული და სადაც მოხდება საქართველოში იმპორტის რეჟიმით შემოტანილი ეთილის სპირტის სავალდებულო საბაჟო გაფორმება.

ქვეყნის პრეზიდენტმა მოსთხოვა შესაბამის უწყებებსა და სამსახურებს გაააქტიურონ თანამშრომლობა იმ ქვეყნებთან, რომლებიც ეწევიან ამ ტვირთის ტრანზიტს, უფრო გულმოდგინედ დაიცვან საქართველოს ინტერესები თანამეგობრობის ეკონომიკურ საბჭოში, მაქსიმალურად გამოიყენონ თანამეგობრობის შესაძლებლობანი.

* * *

ყველა, ვინც ლტოლვილთა უბედურებაზე ითბობს ხელს, კანონის მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯოს, ასეთი კატეგორიული მოთხოვნა გამოითქვა მთავრობის სხდომაზე მას შემდეგ, რაც მოისმინეს კონტროლის პალატის თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის ინფორმაცია აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის აღრიცხვის შემოწმების, თანხებისა და ჰუმანიტარული ტვირთის განაწილების შესახებ და გენერალური პროკურორის გია მეფარიშვილის ინფორმაცია საქართველოს საფოსტო ბანკის აფხაზეთის № 2 ფილიალში დიდი ოდენობის ქონების დატაცების ფაქტების შესახებ.

ქვეყნის პრეზიდენტმა თქვა, რომ ის, რაც ხდება, ყოველგვარ ფარგლებს სცილდება. ეს კორუფციაც კი არ არის, ეს რაღაც უფრო უარესია. მაშინ, როცა ხელისუფალნი ცდილობენ ყოველი ღონე იხმარონ, რათა შეუმსუბუქონ ხვედრი ლტოლვილებს, არსებობენ ადამიანები, რომლებიც არაფერს არ თაკილობენ და მათ უკანასკნელ სარჩო-საბადებელსაც კი ართმევენ. სახელმწიფოს მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყოველი ასეთი ფაქტი ბოლომდე უნდა გაირკვეს და დამნაშავეებმა კანონის მთელი სიმკაცრით უნდა აგონ პასუხი.

* * *

უწინარეს ყოვლისა ხალხისა და ქვეყნის ინტერესების საკეთილდღეოდ, ამ აზრით იყო განმსჭვალული იმ საკითხის განხილვა, რომელიც მთავრობის სხდომის დღის წესრიგში იყო შეტანილი იმერეთში ქვეყნის პრეზიდენტის რწმუნებულის თეიმურაზ შაშიაშვილის წინადადებით იმასთან დაკავშირებით, რომ მოხდეს ერთ კომპლექსში ქვეყნის ორი სამრეწველო გიგანტის — სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმის“ და სააქციო საზოგადოება „ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის“ მუშაობის სინქრონიზაცია. შეგახსენებთ, რომ ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ მომზადებული ამ საწარმოების სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების საკონტროლო პაკეტების ერთიანი მმართველობით ინვესტორისათვის გადაცემის მიზანშეწონილობის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი, რომელიც ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ მოამზადა, მთავრობამ ჯერ კიდევ მარტის შუა რიცხვებში განიხილა. მაგრამ იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობას გაუჩნდა კითხვები, რომლებსაც დღემდე ვერ გაეცა პასუხი. უფრო მეტიც, ამ უწყებათა შორის უთანხმოება, რის შესახებაც ქვეყნის თითქმის მთელი საზოგადოებრიობაა კარგად ინფორმირებული, დღესაც არ არის მოწესრიგებული.

ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრმა ივანე ჩხარტიშვილმა სხდომაზე მთავრობას კვლავ გააცნო კონფლიქტის არსი, ამასთან ხაზი გაუსვა, რომ ამ ორი საწარმოს სინქრონული მუშაობა სადღეისოდ კრიზისის დაძლევისა და რენტაბელური მუშაობის უზრუნველყოფის ერთადერთი საშუალებაა. ამასთან ივანე ჩხარტიშვილმა ისიც აღნიშნა, რომ უნდა გადაწყდეს აგრეთვე პირადი დავა იუსტიციის მინისტრთან მიხეილ სააკაშვილთან, რამაც ქვეყნის პრეზიდენტის მკვეთრად ნეგატიური შეფასება გამოიწვია.

ედუარდ შევარდნაძემ მხარეებს მოუწოდა დაიოკონ ვნებანი და ერთად იფიქრონ, თუ რა უნდა იღონონ, რათა მოაგვარონ ორივე საწარმოს მუშაობა, ნორმალური შრომისა და ცხოვრების პირობები შეუქმნან ამ საწარმოთა მრავალათასიან კოლექტივს. პრეზიდენტმა საჭიროდ მიიჩნია შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელსაც თავად ჩაუდგება სათავეში, რათა ზედმიწევნით განიხილოს ყველა წამოჭრილი საკითხი და ბოლო მოუღოს ამ პრობლემის ირგვლივ ამტყდარ დაპირისპირებას.

ედუარდ ედიბერიძე,
საქინფორმის კორ.

პროკურატურა

3 მილიონ 379 ათასი ლარის დანაკლისი გამოვლინდა „საქართველოს საფოსტო ბანკის“ აფხაზეთის №2 ფილიალში

(პირველი გვერდიდან)

შემოწმების პროცესის საჯაროობისა და გამჭვირვალეობის უზრუნველსაყოფად სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორმა თემურ მონიავამ 2000 წლის 15 სექტემბერს თხოვნით მიმართა საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარეს სულხან მოლაშვილს შემოწმებაში ჩაერთო კონტროლის პალატის ცენტრალური აპარატის წარმომადგენლები. ანალოგიური თხოვნა გაუგზავნეს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ირაკლი მანაგაძესაც.

პოლიციის სამხარეო სამმართველოს ოპერატიულ სამსახურებს მიეცათ დავალება, შეემოწმებინათ ადგილნაცვალ პირთა აღრიცხვიანობის სიზუსტე, როგორც საფოსტო ბანკში, ასევე, ადგილნაცვალ პირთა სამსახურსა და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში; შეედარებინათ ლტოლვილთა სიები წლების მანძილზე „მკვდარი სულების“ და სიებში ერთი და იმავე პირების შეტანის გამოსავლენად. აღნიშნული კი თავის მხრივ მოითხოვს ამ მონაცემების შედარებას შესაბამისი რაიონების პოლიციის საპასპორტო სამსახურების მონაცემებთან. ვინაიდან სამუშაო შრომატევადია, შემოწმება, დიდ სირთულეებთან ერთად, დროის დიდ მონაკვეთს მოითხოვს და ამიტომაც საბოლოო შედეგები დღემდე მიღებული არ არის.

2001 წლის 11 აპრილს, საქართველოს კონტროლის პალატის სამეგრელო-ზემო სვანეთისა და გურიის რეგიონული ბიუროდან სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურაში მიღებული იქნა სააქციო საზოგადოება „საქართველოს საფოსტო ბანკის“ აფხაზეთის №2 ფილიალის 1999 წლის 1 თებერვლიდან 2001 წლის 7 თებერვლამდე განვლილი პერიოდის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმების აქტი, რომლის მიხედვითაც სააქციო საზოგადოება „საქართველოს საფოსტო ბანკის“ აფხაზეთის №2 ფილიალში გამოვლინდა ფულადი სახსრების — 59 809 ლარის არამიზნობრივი ხარჯვის, ბიუჯეტიდან და არასაბიუჯეტო ფონდებიდან ანგარიშსწორების დარღვევის; ცენტრალური სალაროდან ყალბი გასავლის ორდერებით — 33 600 ლარის ჩამოწერის; დევნილთა ყალბი მოწმობების გამოყენებით ცენტრალური ბანკიდან ბანკის მუშაკების მიერ 23 731 ლარის გატანის; ბანკის ცენტრალური სალაროდან ზედმეტად 1 129 388 ლარის ჩამოწერის და სხვა დარღვევების ფაქტები. რევიზიის შედეგად დასახელებულ პერიოდში სააქციო საზოგადოება „საქართველოს საფოსტო ბანკის“ აფხაზეთის №2 ფილიალში გამოვლენილია სულ 3 379 048 ლარის დანაკლისი.

მიმდინარე წლის 13 აპრილის სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორს, ჩემი წერილობითი მითითებით დაევალა სააქციო საზოგადოება „საქართველოს საფოსტო ბანკის“ აფხაზეთის №2 ფილიალში დიდი ოდენობით სხვისი ქონების დატაცების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულის გამო მისი ცალკე წარმოებად გამოყოფა და წინასწარი გამოძიების ჩასატარებლად გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილისათვის გადმოგზავნა.

გამოძიებას, რომელიც დაიწყო, აწარმოებს საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი.

კანონმდებლები

პარლამენტში საკადრო რეფორმა მიმდინარეობს

(პირველი გვერდიდან)

ატესტაცია სხვა მოთხოვნებთან ერთად, საკადრო რეზერვის შექმნასა და საჯარო მოხელის სამსახურებრივ დაწინაურებას, მისთვის საკლასო ჩინის მინიჭებას და რანგირებას გულისხმობს. საკონკურსო-საატესტაციო კომისიას კანონის საფუძველზე პარლამენტის აპარატის ხელმძღვანელი ხათუნა გოგორიშვილი თავმჯდომარეობს. კომისიაში შედიან პარლამენტის წევრები, პარლამენტის აპარატის დეპარტამენტების ხელმძღვანელები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები და მოწვეული ექსპერტები, მათ შორის, იურისტები, ეკონომისტები, ფსიქოლოგები.

როგორც კომისიის თავმჯდომარემ ხათუნა გოგორიშვილმა აღნიშნა, საატესტაციო ტესტების ვარიანტები აპარატის მუშაკებისთვის დადგენილ ვადებში საჯაროდ გამოქვეყნდა, რათა აპარატში მომუშავე გამოცდილ მოსამსახურეებს თავიანთი პროფესიული ჩვევებისა და ცოდნის სრულყოფილად გამოვლენის საშუალება მისცემოდათ. ეს ატესტაცია ქვეყანაში საჯარო სამსახურის რეფორმის განხორციელების გზაზე გადადგმულ პირველ ნაბიჯად უნდა აღვიქვათ. წლების მანძილზე საკადრო პოლიტიკაში არსებული ვაკუუმის შევსებისათვის პარლამენტის აპარატი თავის წვლილს შეიტანს, — განაცხადა ხათუნა გოგორიშვილმა.

საქინფორმი.

შედეგი

ფოთის საზღვაო ნავსადგურმა ახალი საუკუნე კარგი ფინანსური და ეკონომიკური მაჩვენებლებით დაიწყო

(პირველი გვერდიდან)

სტაბილური დატვირთვით მუშაობს სარკინიგზო საბორნე კომპლექსი. აქ 2001 წლის პირველ კვარტალში დამუშავდა 1274 ვაგონი, 328 ავტომანქანა და 146 პირობითი ერთეული კონტეინერი. ბორნის საერთო ტვირთბრუნვამ შეადგინა 86,0 ათასი ტონა. გარდა ამისა, სამხრეთ საწარმოო რაიონში გადამუშავდა 661 ავტომანქანა 16.100 ტონა ტვირთით.

2001 წლის პირველი კვარტალის მონაცემებით ფოთის საზღვაო ნავსადგურის შემოსავალმა შეადგინა 7 მილიონ 600 ათასი ლარი, ხარჯებმა — 5 მილიონ 300 ათასი ლარი, საბალანსო მოგებამ — 2 მილიონ 300 ათასი ლარი. სახელმწიფო ბიუჯეტში გადაირიცხა ერთი მილიონ 355 ათასი ლარი (187,3 ათასი ლარით მეტი), ხოლო არასაბიუჯეტო ფონდებში — 710 ათასი ლარი, მათ შორის, სოცდაზღვევის ფონდში — 505,7 ათასი ლარი.

საშუალო ხელფასმა ერთ მომუშავეზე შეადგინა 184 ლარი, რაც 33 ლარით მეტია 2000 წლის პირველ კვარტალთან შედარებით.

აღსანიშნავია, რომ ნავსადგურის ხელმძღვანელობა აგრძელებს მუშამოსამსახურეთა პრემირების, მატერიალური დახმარებების გაწევის, ფულადი წახალისებების უკვე დამკვიდრებულ ტრადიციებს. მაგალითად, წლეულს თითოეულმა ნავსადგურელმა, 2000 წლის საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლებისათვის, პრემიის სახით მიიღო ერთი თვის ხელფასის ოდენობის თანხა.

ფოთის საზღვაო ნავსადგური — საქართველოში ერთ-ერთი ფინანსურად ჯანსაღი, ტექნიკურად მაღალაღჭურვილი საწარმო — ყველა ღონეს იხმარს, რომ კვლავაც შეინარჩუნოს მოწინავე პოზიციები ქვეყნის ეკონომიკაში.

ფოთის საზღვაო
ნავსადგურის პრესსამსახური.

საპენსიო ფონდს 9 300 000 ლარი დააკლდა

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საპენსიო ფონდის გეგმით გათვალისწინებულ თანხებს 9 მილიონ 300 ათასი ლარი დააკლდა.

როგორც პრაიმ-ნიუსს სოცუზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის პირველმა მოადგილემ დავით გოდერძიშვილმა უთხრა, საპენსიო ფონდს თანხები დააკლდა როგორც ცენტრალური ბიუჯეტის ტრანსფერიდან, ისე საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს მხრიდანაც.

საპენსიო დავალიანება ქვეყანაში დღეისათვის 100 მილიონ ლარამდეა.

ტრადიციონალისტები მხარს უჭერენ

საპარლამენტო ფრაქცია „ტრადიციონალისტი“ უკვე დიდი ხანია მინისტრთა კაბინეტის შემოღებას ითხოვდა. შეიძლება მის სურვილს მალე ხორცი შეესხას. 20 აპრილს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მინისტრთა კაბინეტის შემოღების ინიციატივა წამოაყენა.

„ამ ინიციატივით ედუარდ შევარდნაძემ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მარტო ერთი კაცი მთელ მოქალაქეთა კავშირს უდრის. მას აღმოაჩნდა უნარი კრიზისულ სიტუაციაში სწორი გადაწყვეტილება მიეღო, განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ფრაქცია „ტრადიციონალისტის“ თავმჯდომარემ აკაკი ასათიანმა. მან აღნიშნა, რომ მინისტრთა კაბინეტის რუსული მოდელი საქართველოში ალბათ არ გამოდგება. ტრადიციონალისტები ამ საკითხზე კანონპროექტს ამზადებენ, რომელშიც ყურადღება მთავრობის პასუხისმგებლობაზე იქნება გამახვილებული. აკაკი ასათიანის აზრით, მისაღები იქნება პრეზიდენტის მიერ პარლამენტის დათხოვნის შესახებ წინადადება, თუკი რეალური მინისტრთა კაბინეტი შეიქმნება.

დაპირება არ სრულდება

ზუგდიდში განსახლებული დევნილი მოსახლეობა უკმაყოფილოა. დაპირებისამებრ 10 მარტისათვის უნდა დამთავრებულიყო თითოეული დევნილისათვის განკუთვნილი 15 კგ პურის ფქვილის გაცემის მეორე ეტაპი. უკვე აპრილი იწურება და ფქვილი კი არ გაუციათ. დევნილები საპროტესტო აქციებით იმუქრებიან.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა და პრაიმ-ნიუსმა.

მადლი

სიკეთე, რომელიც არ იკარგება

(პირველი გვერდიდან)

ისან-სამგორის რაიონში, როგორც ამ საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა მაია კოპაძე-კვეზერელმა გვითხრა, დღის 12 საათისათვის მათ უკვე 300 ადამიანი ჰყავდათ გასტუმრებული. ანალოგიური მდგომარეობა იყო თითქმის დედაქალაქის ხუთივე რაიონში, სადაც ხალხი ყოველგვარი ექსცესების გარეშე იღებდა მათთვის განკუთვნილ პროდუქტებს.

ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა გავსაუბრებოდით ზოგიერთ მათგანს. ოთხი შვილის დედამ თამარ ხართიშვილმა, რომლის მეუღლეც აფხაზეთის ომში დაიღუპა, თვალზე ცრემლმომდგარმა უდიდესი მადლიერების გრძნობით აღნიშნა ის დიდი თანადგომა, რასაც მისი ოჯახი სისტემატურად გრძნობს ამ საზოგადოების როგორც პრეზიდენტის, ისე მისი თითოეული წევრისაგან.

ვაკე-საბურთალოს რაიონში კი მოწმე გავხდი იმ სითბოსი, რაც ქალბატონმა ნელი გურგენიძემ და ამავე რაიონის გამგებლის მოადგილემ ქეთევან ქუთათელაძემ გამოიჩინეს პატარა, მეექვსეკლასელი ბიჭუნას მიმართ, რომელიც დედის, პირველი ჯგუფის ინვალიდის საბუთებით მოვიდა პროდუქტების მისაღებად (აქ მე მის გვარს შეგნებულად არ ვასახელებ). როგორც ქალბატონმა ქეთევანმა გვითხრა, მათ ამჯერად ინვალიდ და მარჩენალდაკარგულ ბავშვებზე გადაიტანეს მთელი აქცენტი და, ალბათ, ამიტომაც იყო აქ სხვებთან ერთად ისინი რომ სჭარბობდნენ.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში კი ძირითადად ხანდაზმულ ადამიანებს შენიშნავდით, რომელთა შორის ავღანეთის ომის ინვალიდებიც მრავლად იყვნენ. ყველა მათგანს აქ მათთვის ჩვეული გულისხმიერებით ემსახურებოდნენ — რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ნანა კანდელაკი და ამ აქციის ინიციატორი ორგანიზაციის წარმომადგენლები რუსუდან ხაბურზანია და მერი ჯაფოშვილი, რომლებიც ერთი წუთითაც არ ტოვებდნენ მათ უყურადღებოდ.

ავღანეთისა და სხვა ომების მეომართა დახმარების საერთაშორისო ფონდის თავმჯდომარემ გურამ ალავიძემ კი თავის მხრივ განსაკუთრებით მადლიერებით ნანული შევარდნაძე მოიხსენია, რომელიც დღესაც არ ივიწყებს იმ ბიჭებს, რომლებიც ბედის უკუღმართობის გამო, სხვის ომში, სხვისი კეთილდღეობისათვის იბრძოდნენ და...

„საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ მიერ მოწყობილმა ამ აქციამ და მათ მიერ გუშინ 5 ათასი ოჯახისათვის გაწეულმა დახმარებამ კიდევ ერთხელ ცხადყო ჩვენში სანთელ-საკმეველი თავის გზას რომ არ კარგავს.

თეიმურაზ
კინწურაშვილი.

სურათზე: ნაწილდება დახმარება.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

ინვესტორი

საქართველოში „ვაისროის“ წარმოებას საფრთხე ემუქრება

(პირველი გვერდიდან)

წლეულს, თებერვლის შუა რიცხვებში, „ბი-ეი-თიმ“ დაასრულა „საქართველოს თამბაქოს წარმოებასთან“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა სამუშაო.

ფაბრიკაში „ბი-ეი-თიმ“ შემოიტანა, დაამონტაჟა და დააკომპლექტა სიგარეტის მწარმოებელი და შემფუთავი ორი ხაზი, რომელთაგან თითოეული წუთში 5000 სიგარეტს ამზადებს; დაამონტაჟა სრულყოფილი ხარისხის შემმოწმებელი ლაბორატორია; 25 ქართველი ინჟინერი აიყვანა სამსახურში და საქართველოში და „ბი-ეი-თის“ სხვა ფაბრიკებში სათანადოდ მოამზადა ისინი; მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოიტანა თამბაქო და შესაფუთი მასალები.

დღეისათვის მას დაახლოებით 5 მილიონი დოლარის აღჭურვილობა აქვს დამონტაჟებული ფაბრიკაში, რომელიც უკვე მზადაა სავსე წარმოებისათვის. მისი ამოქმედება 2001 წლის აპრილისათვის იყო დაგეგმილი.

წლეულს 26 თებერვლის სასამართლო გადაწყვეტილებით, რომელიც „საქართველოს თამბაქოს წარმოების“ ფაბრიკის წილების გარეშე არსებულ სარჩელს ეხება, ფაბრიკის საკუთრებას ყადაღა დაედო. მტკიცებულებას, რომელიც გადაეცა სასამართლოს და რომლის საფუძველზეც მიიღო მან აღნიშნული გადაწყვეტილება, „ბი-ეი-თი“ აბსურდულად მიიჩნევს. ცხადია, „საქართველოს თამბაქოს წარმოების“ საკუთრების ირგვლივ იურიდიული მანიპულაციების პირობებში „ბი-ეი-თი“ არსებულ ინვესტიციებს რისკქვეშ არ დააყენებს.

კომპანია „ბრითიშ-ამერიქან თობაქო“ კვლავაც ადასტურებს თავის სურვილს, აწარმოოს საქართველოში სიგარეტი „ვაისროი“ და მაგრამ „სთწ“-ს ფაბრიკის გარშემო ატეხილი დავა „ვაისროის“ წარმოების დაწყებას აფერხებს. როგორც „ბრითიშ-ამერიქან თობაქოს“ საქართველოს კორპორაციულ და საზოგადოებასთან ურთიერთობათა მენეჯერი რობერტ სპირკი აღნიშნავს, ამ დავამ მათი საქმიანობა შეაფერხა, რაც იმედია, უახლოეს მომავალში გამოსწორდება.

როგორც ბატონი სპირკი აღნიშნავს, ადგილობრივ პროდუქციაზე დაბალმა საგადასახადო განაკვეთმა უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა, იმაში, რომ „ბრითიშ-ამერიქან თობაქოს“ საქართველოში თამბაქოს წარმოების გადაწყვეტილება მიეღო.

ადგილობრივი წარმოების სიგარეტი და დაბალი ფასები უდავოდ ალკვეთს კონტრაბანდას და საგრძნობლად გაზრდის სახელმწიფო-საგადასახადო შემოსავლებს.

საერთაშორისო მარკის სიგარეტის ადგილობრივად წარმოების მნიშვნელოვანი უპირატესობა არსებული აქციზის ადგილზე დატოვებაცაა. მაგალითისათვის შეიძლება მეზობელ ქვეყნებში არსებული აქციზური გადასახადები მოვიყვანოთ.

რუსეთში კონტრაბანდის დონის შემცირების ძირითადი მიზეზი სააქციზო ტარიფის შემცირება გახდა. დღეს რუსეთის ადგილობრივი ფილტრიანი სიგარეტის ფასი იმპორტირებულთან შედარებით 40 პროცენტით დაბალია. აზერბაიჯანში, „ეუროპიან თობაქო ფექტორის“ წარმატება მნიშვნელოვნად განაპირობა დიფერენცირებულმა სააქციზო განაკვეთებმა.

ამიტომაც „ბი-ეი-თის“ სწამს, რომ ყველაზე პოპულარული მარკის სიგარეტის „ვაისროის“ წარმოების თბილისში დაწყება და მისაღები სააქციზო გადახდები გააუმჯობესებს, როგორც საბიუჯეტო შემოსავლებს, ისე საქართველოს ექსპორტ-იმპორტის ბალანსს. ამასთან, თუ საგადასახადო რეჟიმი განაგრძობს მის მხარდაჭერას, აღნიშნული წარმოების პროცესის სიცოცხლისუნარიანობა შენარჩუნდება.

„ბი-ეი-თის“ იმედი აქვს, სასამართლო მხარს დაუჭერს ფაბრიკას, საკუთრების სტრუქტურის გამჭვირვალებას, რაც შესაძლებელს გახდის ადგილობრივი სააქციზო მარკების შესყიდვისა და წარმოების დაწყებას. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებს „ბი-ეი-თი“, შეასრულოს თავის დაპირებები როგორც მომხმარებლების, ასევე საქართველოს მთავრობის მიმართ.

ბატონ რობერტ სპირკის განცხადებით გადასახადების მატების შემთხვევაში „ბი-ეი-თის“ მოუწევს საქართველოში წარმოების გაფართოების მიმდინარე და მომავალი გეგმების გადახედვა. შესაძლო შედეგები კი იქნება კონტრაბანდული პროდუქციის მოცულობის ზრდა, რადგან მაღალ აქციზს ყოველთვის მოჰყვება მისი გვერდის ავლის მცდელობა.

შოთა მაჭარაშვილი.

გამარჯობათ!

ჯიუტი თხების მოტივით?!

(პირველი გვერდიდან)

სწორედ ჩვენებური მოხელეების კორუფციამ, უდარდელობამ და მცონარობამ დააქცია „ჭიათურმანგანუმი“, თორემ მარტო უცხოელი ინვესტორები ამდენს როგორ შეჭამდნენ. მხოლოდ ამის შემდეგ „გამოფხიზლდა“ მათი ერთი ნაწილი და „ფეროსა“ და „ჭიათურის“ შერწყმა განიზრახა. როგორც ავი ხმები ამბობენ, ისინი ამას იმ მიზნით აკეთებენ, რომ შემდეგ იყიდონ ჭიათურის უზარმაზარი ვალები და „ფეროც“ გააკოტრონ.

მეორე ამის საწინააღმდეგოს ამტკიცებს და ახლო მომავალში „ჭიათურმანგანუმისა“ და „ფეროს“ აყვავებაში გვარწმუნებს. აყვავებაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ გაკოტრების ხაზით მუშაობაში რომ სწორუპოვარი სპეციალისტები გვყავს, ამაში, ეჭვიც არავის შეეპაროს.

და ამ დროს სიტყვა არავის დასცდენია წესიერ და პატიოსან შრომაზე, ჩინოვნიკთა მოუსყიდველობასა და პროფესიონალიზმზე, რამაც არა მარტო ჭიათურა და ზესტაფონი, შესაძლოა მთელი ქვეყანაც ააყვავოს.

მორიგე რედაქტორი.

ენერგეტიკა

სად მიდის 255 მილიონი ლარი?

ენერგეტიკის პრობლემებზე კამათი არ წყდება არც მთავრობაში, არც საზოგადოების სხვადასხვა ფენაში. იმის მიუხედავად, რომ დღეს, 24-საათიანი გრაფიკის პირობებში პრობლემამ თითქოს „მიიძინა“, მოგვარებულად იგი მაინც ვერ ჩაითვლება. კითხვები ადრინდელზე უფრო მეტია და მათზე პასუხი სწორედ ახლა უნდა მივიღოთ, რათა ზამთარი კვლავ წყვდიადიანი არ გვქონდეს. ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით საქინფორმის კორესპონდენტს ესაუბრნენ „ჰიდროპროექტის“ წამყვანი სპეციალისტები — განყოფილებების გამგეები მალხაზ მიმინოშვილი, გურამ ქორიძე და იულონ გაბრიჩიძე, პროექტის მთავარი ინჟინერი გიორგი მოსაელიძე.

— 1996 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო ენერგეტიკული სისტემის რეორგანიზაცია, მართვის სტრუქტურის რეფორმის ნაადრევი, დაუსაბუთებელი პროცესი. კერძო საკუთრებაში გადავიდა სახელმწიფო ქონება — ჰიდროელექტროსადგურები, რასაც ქვეყანა და დარგი სრულიად მოუმზადებელი შეხვდა. საქენერგოს ბაზაზე შეიქმნა მრავალი სტრუქტურა და კორუფციის ერთი წყაროდან რამდენიმე წარმოიქმნა. შედეგმაც არ დააყოვნა — დაინგრა და უმართავი გახდა ენერგეტიკული სექტორი. პროცესი გრძელდება, ამიტომ, ვფიქრობთ, დროა პასუხი აგონ იმ „რეფორმატორებმა“, რომლებმაც კატასტროფამდე მიიყვანეს ქვეყნის ენერგეტიკა.

ამ ნანგრევებზე დაფუძნდა საქართველოს ენერგეტიკული მარეგულირებელი ეროვნული კომისია. მის მიერ დადგენილ ტარიფში კილოვატსაათის ღირებულება 9,8 თეთრი, შემდეგნაირად ნაწილდება: 4,56 თეთრი ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარს ერგება, 3,6 თეთრი „ეი-ი-ეს თელასის“ საკუთრებაა, ხოლო დანარჩენი 1,63 თეთრი დამატებითი ღირებულების გადასახადის სახით გვერიცხება. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ ტარიფში ელექტროენერგიის წარმოებაზე მხოლოდ 2,75 თეთრია გათვალისწინებული. ჰიდროელექტროსადგურებში გამომუშავებული ენერგია, რაც წელიწადში მთელი ელექტროენერგიის 70 პროცენტს შეადგენს, ერთ თეთრზე ნაკლები ჯდება, დანარჩენი კი თბოელექტროსადგურზე მოდის, რომელიც ძირითადად გამორთულია. ისმება კითხვა: სად მიდის ფული, რომელიც უფუნქციო თბოელექტროსადგურზეა გათვალისწინებული? საქართველოში ჯამური ელექტროენერგიის წარმოება წელიწადში 8 მილიარდ კილოვატსაათზე მეტია. აქედან დაახლოებით 70 პროცენტს თბილისი მოიხმარს. ამიტომ საკითხავია, სად იხარჯება ის 255 მილიონი ლარი, რომელსაც საბითუმო ბაზარი წელიწადში (მარტო თბილისიდან!) იღებს?



თურქეთიდან მიღებული ელექტროენერგიის ვალის მომსახურებისათვის ტარიფში 0,166 თეთრია გათვლილი, თუმცა როგორც ენერგომარეგულირებელი კომისიის თავკაცმა ელიზბარ ერისთავმა ერთ-ერთი გამოსვლისას განაცხადა, თანხა 600-დან 800 მილიონ ამერიკული დოლარის (!) ფარგლებში მერყეობს, ფაქტობრივი რაოდენობა კი დღემდე დაუზუსტებელია. ესეც დამაფიქრებელია: რა ლოგიკითაა გადასახადი (0,166 თეთრი) შეტანილ ტარიფებში, თუკი კონკრეტულად არ ვიცით, რამდენი უნდა გადავუხადოთ მევალეს? „საქრუსენერგოს“ მომსახურებისათვის 0,18 თეთრია გათვალისწინებული, რასაც 500 კილოვოლტიანი სადენებისა და ტრანზიტებისათვის ვიხდით. მის ქსელში დანაკარგებისათვის 0,05 თეთრია დაწესებული. „ელექტროგადაცემას“ 0,9 თეთრი ერგო, ხოლო მის ქსელში დანაკარგებს — 0,28 თეთრი. გარდა ამისა ენერგოსისტემის ელექტროდისპეტჩერიზაციაზე 0,23 თეთრია გათვალისწინებული. კიდევ არსებობს ასეთი ორგანიზაცია — „პონტოელი“, რომელიც ამიერკავკასიის მთელ ენერგოსისტემას ზედამხედველობს, ჩვენ კი ამისათვის 0,015 თეთრი უნდა გადავიხადოთ, მაშინ, როცა ტარიფში საერთოდ არ არის გათვალისწინებული ის ორგანიზაციები, რომელთა მრავალწლიანი მუშაობის შედეგად შეიქმნა საქართველოს ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი და გრძელდება მისი სრულყოფა. კერძოდ აღნიშნულ ტარიფში უგულვებელყოფილია „ჰიდროპროექტის“, „ქსელპროექტისა“ და საქართველოს ენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის როლი და ნულამდეა დაყვანილი მრავალი მეცნიერის, დამპროექტებლისა და მშენებლის შრომა.

— „ჰიდროპროექტის“ ძირითადი დანიშნულებაა მაქსიმალურად აითვისოს საქართველოში არსებული ჰიდრორესურსები, შეადგინოს ელექტროსადგურების პროექტები და უზრუნველყოს მათი მშენებლობა, რასაც წინ უძღვის იმ ტერიტორიებისა და მდინარეების შესწავლა (გეოლოგიურად, ტოპოგრაფიულად, ჰიდრავლიკურად და სხვა), სადაც საფარაუდოდ უნდა აშენდეს ჰიდროელექტროსადგურები, — ამბობენ „ჰიდროპროექტის“ თანამშრომლები. — ეს კი საკმაოდ შრომატევადი სამუშაოა, რომელშიც ჯრაერთი სამეცნიერო თუ კვლევითი ორგანიზაციაა ჩაბმული, ჩვენი აზრით, „ჰიდროპროექტის“ 150 თანამშრომლის დაფინანსება ტარიფში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული. გამოთვლით კი ირკვევა, რომ მის წილად მხოლოდ... 0,02 თეთრი მოდის. თუმცა, ტარიფით გათვალისწინებულ ხარჯებში შეტანილია ისეთი ორგანიზაციები, რომელთაგან ზოგს საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა ჰიდროელექტროსადგურების დაპროექტება-მშენებლობასა და მათ რეაბილიტაციაში.

ახლა, როცა ყველა აღიარებს ენერგეტიკის განმტკიცება-განვითარების აუცილებლობას, როგორც ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების ხერხემალს და აქ ჰიდროენერგეტიკის პრიორიტეტი გამოკვეთილია მისი უმდიდრესი შესაძლებლობის გამო, ასეთი დაუდევარი დამოკიდებულება იმ ორგანიზაციების მიმართ, რომლებმაც უნდა განავითარონ ის დარგი, გაუგებარია. საქართველოს ენერგეტიკოსთა მაღალი კვალიფიკაცია აღიარებულია არა მარტო საქართველოში, არამედ თანამეგობრობისა და საზღვარგარეთის ქვეყნებშიც. მე-9 და მე-10 ენერგობლოკები უცხოეთიდან მოწვეულმა სპეციალისტებმა აამოქმედეს, მათი „გამართული“ მუშაობის შესახებ კი ყველამ კარგად ვიცით. და ეს მაშინ, როცა ჩვენი სპეციალისტები დაუსაქმებელნი არიან. საინტერესოა, როგორ იმუშავებდნენ ჩვენი ენერგეტიკოსები, თუკი მათზეც იმდენივეს დახარჯავს სახელმწიფო, რამდენსაც უცხოელ სპეციალისტებზე?

ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ხელმძღვანელობაზე არ იმოქმედა არც პრეზიდენტის ბრძანებულებამ ვალების დაფარვის შესახებ და არც საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებამ დაფინანსების თაობაზე: „ჰიდროპროექტის“ თანამშრომელთა 5 წლის ხელფასები დღემდე გაუცემელია, მათივე შენობაში დაბანაკებული საბითუმო ბაზარი კი გაურკვეველი წარმოშობის სახსრებით აკეთებს ევრორემონტს და ძვირადღირებულ უცხოურ ავტომანქანებს ყიდულობს. იქვე, გაურემონტებელ ოთახებში კი „მუშაობენ“ უმუშევარი გამოცდილი სპეციალისტები, რომლებსაც ცოტა ხანში შემცვლელიც აღარ ეყოლებათ.

მაია კოზახიძე,
საქინფორმის კორ.

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, № 7, 1998 წელი) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-3 მუხლში:

ა) „ა“ ქვეპუნქტის „ა. გ.“ ქვეპუნქტში სიტყვები „ტერიტორიული ერთეულების“ შეიცვალოს სიტყვით „ადგილობრივი“, ხოლო „ა“ ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა.დ.“, „ა.ე.“, „ა.ვ.“ და „ა.ზ.“ ქვეპუნქტები:

„ა.დ) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სპეცსახსრებით;

ა.ე) უცხოეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე დახმარებისა და კრედიტის სახით მიღებული სახსრებით (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს კანონი კოლიზიაში შედის შესაბამის საერთაშორისო ხელშეკრულებასთან ან საკრედიტო და საგრანტო ხელშეკრულებებით განსაზღვრულია შესყიდვების განხორციელების საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარებული ამ კანონისაგან განსხვავებული წესები);

ა.ვ) სახელმწიფო გარანტიით მიღებული კრედიტებით;

ა.ზ) სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირების (საქართველოს ეროვნული ბანკის გარდა) სახსრებით, ამ სახსრების წარმოშობის წყაროს მიუხედავად“.;

ბ) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) შემსყიდველი ორგანიზაცია – საქართველოს, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მმართველობითი ორგანოები, საბიუჯეტო დაწესებულება-ორგანიზაციები, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები, აგრეთვე, სხვა დაწესებულებები და საწარმოები, რომლებიც საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების შესყიდვებს ახორციელებენ ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სახსრებით;“;

გ) „ზ“ ქვეპუნქტს შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“, „ი“, „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტები:

„თ) ფასთა კოტირება – გამარტივებული მეთოდი საქონლის, მომსახურების და მცირე სახის სამუშაოების შესყიდვისათვის, რომელთა სავარაუდო ღირებულება აღემატება 10000 ლარს და ნაკლებია 25000 ლარზე, ხოლო სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას აღემატება 50000 ლარს და ნაკლებია 120000 ლარზე;

ი) ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვა – განსაკუთრებული სახის შესყიდვა, რომლის ობიექტია ინტელექტუალური და სხვა სახის საკონსულტაციო მომსახურება, მეცნიერული კვლევები და ექსპერიმენტები, საპროექტო სამუშაოები, სასწავლო-საგანმანათლებლო სფეროში სახელმწიფო დაკვეთის განთავსება;

კ) საქონელი – ნებისმიერი სახისა და აღწერილობის საგნები (მათ შორის, ნედლეული, ნაკეთობები, მოწყობილობები, შენობა-ნაგებობები, წარმოების სხვა საშუალებები და მოხმარების საგნები) როგორც მყარ, ასევე თხევად და აიროვან მდგომარეობაში, აგრეთვე, ელექტროენერგია, საქონლის მიწოდების თანამდევი მომსახურება, როცა ამ მომსახურების ღირებულება არ აღემატება თვით საქონლის ღირებულებას;

ლ) მომსახურება – შესყიდვის ნებისმიერი ობიექტი საქონლისა და სამუშაოების გარდა“.

2. მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

1. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციისა და მონიტორინგის მიზნით „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად იქმნება მუდმივმოქმედი დამოუკიდებელი ორგანო – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო), რომლის თავმჯდომარესაც საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

2. სააგენტოს საქმიანობის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, ეს კანონი და მათ შესაბამისად შემუშავებული სააგენტოს დებულება.

3. სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გამჭვირვალობის, სააგენტოს მუშაობის საჯაროობისა და დემოკრატიული პრინციპებით მართვის მიზნით სააგენტოსთან იქმნება სამეთვალყურეო საბჭო 7 წევრის შემადგენლობით (სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ჩათვლით), რომელთაც ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. სააგენტოსთან არსებული სამეთვალყურეო საბჭოს დებულებას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა კომპლექტდება მმართველობისა და მაკონტროლებელი ორგანოების თანამდებობის პირებისაგან (საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის, ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროების, კონტროლის პალატის წარმომადგენლები), ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენლებისაგან. სამეთვალყურეო საბჭო ფუნქციონირებს საზოგადოებრივ საწყისებზე.

4. სააგენტოს სტრუქტურა და დებულება უნდა გამომდინარეობდეს ამ კანონიდან და მას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი. სააგენტოს საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განისაზღვრება სააგენტოს დებულებით.

5. სააგენტოს დაფინანსება ხორციელდება:

ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრებით;

ბ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავლით;

გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლით.

6. სააგენტოს ძირითადი ფუნქციებია:

ა) ამ კანონის მოქმედებისათვის საჭირო ნორმატიული აქტებისა და სტანდარტული სატენდერო დოკუმენტაციის შემუშავება და გამოცემა, მათი საერთაშორისო ნორმებთან ჰარმონიზაცია;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციებიდან მიღებული ანგარიშების საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ქვეყანაში არსებული მდგომარეობის სისტემატური შესწავლა, გაანალიზება და სათანადო გადაწყვეტილებების მისაღებად საქართველოს პრეზიდენტისათვის წინადადებების მომზადება;

გ) სპეციალური სასწავლო პროგრამების, სასწავლო-მეთოდოლოგიური მასალებისა და დოკუმენტაციის სტანდარტული ფორმების მომზადება, სემინარებისა და ტრენინგების ჩატარება ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოებისათვის, სამართალდამცავი ორგანოებისათვის, მასმედიის წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის;

დ) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი საინფორმაციო ბაზის ჩამოყალიბება და სრულყოფა;

ე) შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის საექსპერტო და საკონსულტაციო-სარეკომენდაციო მომსახურების გაწევა;

ვ) მიმწოდებელთა რეესტრის წარმოება;

ზ) თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებათა სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში დანერგვისათვის ხელის შეწყობა;

თ) სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობისათვის შესაბამისი ნორმატიული აქტების და ანგარიშგებით ინფორმაციის გამოქვეყნება, სპეციალური პერიოდული ბიულეტენის დაარსება;

ი) სახელმწიფო შესყიდვების დროს წარმოქმნილი დავის ადმინისტრაციული წესით განხილვა;

კ) სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების კანონიერებაზე ზედამხედველობა და სახელმწიფო შესყიდვების პროცესის რეგულირების პოლიტიკის განსაზღვრა.“.

3. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^1 და 4^2 მუხლები:

„მუხლი 4^1. სააგენტოს თავმჯდომარის უფლებამოსილებანი

1. სააგენტოს თავმჯდომარე:

ა) სააგენტოსთან არსებულ სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოსცემს ნორმატიულ აქტებს – ბრძანებებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე ყველა სუბიექტისათვის;

ბ) შიგაორგანიზაციულ საკითხებზე გამოსცემს განკარგულებებს;

გ) აწესრიგებს სააგენტოს გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს;

დ) თვალყურს ადევნებს სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულებას, დადგენილი წესით ახორციელებს თანამშრომელთა საქმიანობის კონტროლს;

ე) კომპეტენციის ფარგლებში თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს თანამშრომლებს;

ვ) განკარგავს სააგენტოს სახსრებს და აკონტროლებს მათ გამოყენებას;

ზ) სააგენტოს გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე საქართველოს პრეზიდენტს დადგენილი წესით წარუდგენს წინადადებებს შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად.

2. სააგენტოს თავმჯდომარე კანონით დადგენილი წესით პასუხს აგებს სააგენტოს საქმიანობაზე.

მუხლი 4^2. სააგენტოსთან არსებული სამეთვალყურეო საბჭოს უფლება-მოვალეობანი და საქმიანობის წესი

1. სააგენტოსთან არსებული სამეთვალყურეო საბჭო:

ა) თავის სხდომებზე განიხილავს სააგენტოს თავმჯდომარის მიერ გამოსაცემი ნორმატიული აქტების პროექტებს, სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებს და მათ მიერ გაწეული საქმიანობის შედეგებს;

ბ) ვალდებულია სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გაითვალისწინოს სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და თავის სხდომებზე სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობა მისცეს დაუბრკოლებლად წარმოადგინონ თავიანთი ინტერესები;

გ) თავისი საქმიანობის შესახებ ადგენს ყოველწლიურ ანგარიშს და წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს. იგი ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებრიობისათვის.

2. სააგენტოსთან არსებულ სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში შემსყიდველი ორგანიზაციებისაგან მოითხოვოს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია და შეამოწმოს მათი სისწორე.

3. სააგენტოსთან არსებული სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა საჯაროა და მისი გადაწყვეტილებები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სამეთვალყურეო საბჭოში არსებული ინფორმაციის საიდუმლოების დაცვის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.“.

4. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებში, 24-ე მუხლის მე-3 პუნქტში სიტყვები „საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს“ შეიცვალოს სიტყვით „სააგენტოს“, ხოლო მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) სააგენტოს მიერ შემუშავებული და საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებით დამტკიცებული ფორმების შესაბამისად დაუყოვნებლივ წარუდგინოს სააგენტოს სტატისტიკური ანგარიში განხორციელებული შესყიდვის შესახებ;“.

5. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 და 5^2 მუხლები:

„მუხლი 5^1. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები და წესები

1. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები და წესები ეხება სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის საქმიანობას:

ა) შესყიდვის წინამოსამზადებელი სამუშაოები, შესყიდვის ობიექტის მახასიათებლებისა და სავარაუდო ღირებულების დადგენის ჩათვლით;

ბ) სატენდერო კომისიის წევრების, შესყიდვის განხორციელებაზე სხვა პასუხისმგებელი პირების შერჩევა;

გ) ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების, სატენდერო დოკუმენტაციისა და სხვა მასალების მომზადება;

დ) საკვალიფიკაციო მონაცემების, სატენდერო წინადადებების განხილვა და შეფასება;

ე) ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში დისკუსიებისა და მოლაპარაკებების ჩატარება;

ვ) დახურული ტენდერის ჩატარებისას პოტენციურ მონაწილეთა შერჩევა;

ზ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულებაზე ზედამხედველობა და კონტროლი;

თ) სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობა.

2. დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვისას მასში მონაწილეობის მსურველმა ან/და მონაწილე პირმა თხოვნით მიმართოს შემსყიდველ ორგანიზაციას (მის ხელმძღვანელს, თანამშრომელს) ან სახელმწიფო მართვის სტრუქტურებს და მათ წარმომადგენლებს შუამდგომლობის შესახებ, ან მოახდინოს მათზე პირდაპირი ან ფარული ზეგავლენა ნებისმიერი გზით, რათა მოიპოვოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მისთვის ხელსაყრელი ხელშეკრულების დადების უფლება.

3. დაუშვებელია შემსყიდველმა ორგანიზაციამ სახელმწიფო შესყიდვის პროცედურების მომზადება, განხორციელება ან/და სახელმწიფო შესყიდვის პროცედურების ზედამხედველობა დააკისროს პირს ან კონსულტანტად (ექსპერტად) მოიწვიოს პირი, თუ იგი:

ა) ახლო ნათესაურ კავშირშია სახელმწიფო შესყიდვის პროცედურებში მონაწილე რომელიმე იურიდიული პირის ხელმძღვანელ თანამშრომელთან ან უშუალო მონაწილესთან, თუ ეს უკანასკნელი ფიზიკური პირია;

ბ) ბოლო სამი წლის განმავლობაში მუშაობდა სახელმწიფო შესყიდვის პროცედურებში მონაწილე ორგანიზაციაში;

გ) პირადი ან საქმიანი ინტერესით დაკავშირებულია, ან მოლაპარაკებას აწარმოებს ასეთი კავშირების დამყარებაზე სახელმწიფო შესყიდვის პროცედურებში მონაწილე იურიდიულ ან ფიზიკურ პირთან.

4. დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის პროცედურებში მონაწილეობა მიიღონ იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ სახელმწიფო შესყიდვის წინამოსამზადებელ სამუშაოებში.

5. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მოთხოვნები, აგრეთვე, ვრცელდება:

ა) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განხორციელებაში მონაწილეებზე;

ბ) ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაზე მოლაპარაკებაში მონაწილეებზე.

6. ღია ან დახურული ტენდერის ჩატარების შემთხვევაში საკვალიფიკაციო მონაცემების მიღების ვადის დასრულებისთანავე სატენდერო კომისიის ყველა წევრი, მოწვეული კონსულტანტი (ექსპერტი) და შემსყიდველი ორგანიზაციის ყველა ის თანამშრომელი, რომელიც დაკავშირებულია ამ შესყიდვის განხორციელებასთან, ვალდებულია წერილობით დაადასტუროს, რომ მისი მონაწილეობა ამ კონკრეტული სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს.

7. საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის დროს მხედველობაშია მისაღები, რომ:

ა) კონსულტანტმა (ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა ან/და მისმა ფილიალმა) მონაწილეობა არ უნდა მიიღოს სახელმწიფო შესყიდვის ისეთ პროცედურებში, რომლებიც შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ამ კონსულტანტის სხვა დავალებას;

ბ) ნებისმიერმა კონსულტანტმა (ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა) უნდა უზრუნველყოს შემსყიდველი ორგანიზაციისათვის პროფესიული, ობიექტური და მიუკერძოებელი რჩევის მიცემა ამ ორგანიზაციის ინტერესების გათვალისწინებით.

მუხლი 5^2. სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა

1. შემსყიდველი ორგანიზაცია სახელმწიფო შესყიდვებს ახორციელებს წინასწარ განსაზღვრული და დამტკიცებული წლიური გეგმის შესაბამისად. მრავალწლიანი შესყიდვის შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვის დაგეგმვასა და განხორციელებას შემსყიდველი ორგანიზაცია აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის წესი განისაზღვრება სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით.

2. სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების წესი უნდა შეესაბამებოდეს „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“ და „საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონებს.

3. წლის განმავლობაში შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ერთგვაროვანი საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს შესყიდვა განიხილება ერთ შესყიდვად, თუ მისი დაფინანსება ხდება ერთიანი წყაროდან.

4. სახელმწიფო ბიუჯეტის, აფხაზეთის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი ბიუჯეტების დამტკიცების შემდეგ არა უგვიანეს 20 დღისა და სახელმწიფო შესყიდვების დაზუსტებულ გეგმას ამტკიცებს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი და წარუდგენს სააგენტოს.“.

6. მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. ფასთა კოტირების მეთოდი და ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვის წესი განისაზღვრება შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით“.

7. მე-16 მუხლის მე-3 პუნქტს სიტყვების „სამუშაოების შესყიდვის შემთხვევაში“ შემდეგ დაემატოს სიტყვები:

„თუ სამშენებლო ობიექტი განლაგებულია საქართველოს ტერიტორიაზე,“.

8. მე-19 მუხლის პირველ პუნქტს სიტყვების „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით“ შემდეგ დაემატოს სიტყვები:

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სპეცსახსრებით, უცხოეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე დახმარებისა და კრედიტის სახით მიღებული სახსრებით, სახელმწიფო გარანტიით მიღებული კრედიტებით, სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირების (საქართველოს ეროვნული ბანკის გარდა) სახსრებით“, ხოლო მე-2 პუნქტს სიტყვების „აგრეთვე, ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრებით“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „ასევე აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სპეცსახსრებით“;

9. მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დახურული ტენდერის ჩატარებისას განსახილველ სატენდერო წინადადებათა რაოდენობა არ უნდა იყოს სამზე ნაკლები, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია სააგენტოსთან შეთანხმებით არ გააგრძელოს დაწყებული ტენდერი ან შეწყვიტოს იგი და გამოაცხადოს ღია ტენდერი.“.

10. 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება არ აღემატება 10000 ლარს, ხოლო სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის შემთხვევაში – 50000 ლარს;“.

11. VI თავის სათაურში სიტყვების „სახელმწიფო შესყიდვების“ შემდეგ დაემატოს სიტყვები:

„მონიტორინგი და“.

12. 24-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5-8 პუნქტები:

„5. ორ მილიონ ლარზე მეტი ღირებულების ტენდერის საშუალებით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ანგარიშს სატენდერო კომისიის თავმჯდომარე წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს მთავრობის სხდომაზე.

6. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროები, ადგილობრივი საფინანსო ორგანოები ვალდებულნი არიან სისტემატურად (ყოველთვიურად) მიაწოდონ სააგენტოს ინფორმაცია საბიუჯეტო დაწესებულებებისათვის სახსრების ფაქტობრივი გამოყოფის შესახებ.

7. სააგენტო უფლებამოსილია სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ორგანიზაციებისა და შესყიდვებში მონაწილე პირთაგან მოითხოვოს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი და ინფორმაცია, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ჩათვლით.

8. სახელმწიფო შესყიდვების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით სააგენტო ვალდებულია აწარმოოს მონიტორინგი სახელმწიფო შესყიდვების პროცესში ისეთი პრინციპების დაცვაზე, როგორიცაა საჯაროობა და სამართლიანობა, დადგენილი პროცედურების ზუსტად შესრულება და ანგარიშგება, ღია და ეფექტიანი კონკურენციის უზრუნველყოფა, რაციონალური და თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა.“.

13. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის VI^1 თავი:

„თავი VI^1

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავის განხილვისა და გასაჩივრების წესი

მუხლი 24^1. გასაჩივრებისა და დავის განხილვის წესი

1. სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში მონაწილეობის მსურველ, მონაწილე, პრეტენდენტ და მიმწოდებელ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შეუძლიათ გაასაჩივრონ შემსყიდველი ორგანიზაციის (სატენდერო კომისიის) ქმედებები შემსყიდველ ორგანიზაციაში, სააგენტოსა ან სასამართლოში, თუ მათ მიაჩნიათ, რომ სახელმწიფო შესყიდვისას დარღვეულ იქნა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესები ან/და შელახულ იქნა მათი უფლებები.

2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე პრეტენზიის წარმოშობის შემთხვევაში პრეტენზიის მქონე პირს შეუძლია თხოვნით მიმართოს შემსყიდველ ორგანიზაციას გადასინჯოს სატენდერო კომისიის ან შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისმგებელი პირის გადაწყვეტილება ან/და განიხილოს წერილობითი დავა.

3. პრეტენზიის მქონე პირი ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში უფლებამოსილია საჩივრით მიმართოს შემსყიდველ ორგანიზაციას არა უგვიანეს 20 კალენდარული დღისა იმ გარემოებების შეტყობის, ან იმ გადაწყვეტილების მიღების დღიდან, რომლებმაც გამოიწვიეს პრეტენზია ან დავა. საჩივრის განხილვის პროცესში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ, აგრეთვე, იმ პირებს, რომელთა ინტერესებსაც უშუალოდ ეხება ან შეიძლება შეეხოს წარმოქმნილი საჩივარი.

4. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში მონაწილეობის მსურველ, მონაწილე, პრეტენდენტ და მიმწოდებელ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებული დავის განხილვის მიზნით შეუძლიათ მიმართონ სააგენტოს.

5. სააგენტოში საჩივრის შეტანა სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში მონაწილეობის მსურველ, მონაწილე, პრეტენდენტ და მიმწოდებელ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შეუძლიათ, აგრეთვე, იმ შემთხვევაში, თუ საჩივართან დაკავშირებით შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილება მათ არ დააკმაყოფილებთ.

6. ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სააგენტოს საჩივრის მიღებიდან არა უგვიანეს 10 დღისა გამოაქვს წერილობითი დასაბუთებული გადაწყვეტილება, რომელიც ეცნობება საჩივრის წარმდგენ პირს და შემსყიდველ ორგანიზაციას.

7. თუ სააგენტოს მიერ საჩივრის და მასთან დაკავშირებული გარემოებების დეტალური შესწავლის შედეგად დადასტურდება საჩივრის სამართლიანობა, სააგენტო უფლებამოსილია:

ა) მიუთითოს შემსყიდველ ორგანიზაციას მის არასწორ ქმედებაზე და მოსთხოვოს მას შესყიდვის პროცედურების კანონმდებლობის დაცვით განხორციელება;

ბ) მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვა ან გაუქმება;

გ) ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანოების წინაშე დააყენოს სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილე მხარეების პასუხისმგებლობის საკითხი.

8. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული ვადის გასვლის, აგრეთვე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების შემდეგ ნებისმიერი საჩივრის განხილვა დასაშვებია მხოლოდ სასამართლო წესით.

9. გასაჩივრებას არ ექვემდებარება პრეტენზია, თუ იგი ეხება:

ა) ამ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების დაცვით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების საშუალების შერჩევას;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებას სახელმწიფო შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შესახებ, რომელიც მიღებულია ამ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით.

10. საჩივარს უნდა ჰქონდეს სერიოზული საფუძველი და ახლდეს მომჩივანის დასაბუთებული განმარტება იმის შესახებ, რომ მისი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში იგი მნიშვნელოვნად დაზარალდება.

11. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე შემსყიდველ ორგანიზაციაში, სააგენტოში ან სასამართლოში საჩივრის წარდგენის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია შეაჩეროს შესყიდვის პროცედურები 10 დღით. შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის, სააგენტოს ან სასამართლოს გადაწყვეტილებით შეჩერების ვადა შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ მისი საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს, თუ გადაწყვეტილება შესყიდვის პროცედურების შეჩერების შესახებ მიღებულია შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ან სააგენტოს მიერ.

12. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს გასაჩივრების პერიოდში სააგენტოსთან შეთანხმებით არ შეაჩეროს შესყიდვის პროცედურები, თუ შესყიდვის განხორციელების დაყოვნება შეუძლებელია ან გაუმართლებელია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

13. სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში მონაწილეობის მსურველ, მონაწილე, პრეტენდენტ და მიმწოდებელ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შეუძლიათ შემსყიდველი ორგანიზაციისა და სააგენტოს მიერ საჩივართან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები გაასაჩივრონ სასამართლო წესით.

14. ზარალი, რომელიც ამ მუხლით გათვალისწინებული განხილვის შედეგად შეიძლება გადახდილ იქნეს მომჩივანისთვის, უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ შესყიდვების პროცედურებში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებით და არ უნდა ითვალისწინებდეს სავარაუდო მოგების ანაზღაურებას.“.

14. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 26^1 მუხლი:

„მუხლი 26^1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შექმნა და ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით მისაღები ნორმატიული აქტები

1. საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის სააგენტოდ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით 2001 წლის 1 მაისამდე გამოცემულ იქნეს შემდეგი კანონქვემდებარე აქტები:

ა) საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შექმნისა და მისთვის სახელმწიფო ქონების გადაცემის შესახებ“;

ბ) საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან არსებული სამეთვალყურეო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“.

2. სააგენტომ თავის უფლებამოსილებათა განხორციელება დაიწყოს და სააგენტოსთან არსებული სამეთვალყურეო საბჭოს პირველი შემადგენლობა დაინიშნოს 2001 წლის 1 მაისიდან.

3. 2001 წლის 1 ივნისამდე საქართველოს პარლამენტმა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსებში შესაბამისი დამატებების შეტანით დაადგინოს პასუხისმგებლობის ფორმები სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის დარღვევისათვის.

4. 2001 წლის 1 ივნისამდე სააგენტოს თავმჯდომარემ გამოსცეს ბრძანება სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.

5. 2001 წლის 1 ივნისამდე საქართველოს პრეზიდენტმა დაამტკიცოს „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი.

6. საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭომ 200 წლის 1 ივნისამდე დაამტკიცოს ეროვნული ბანკი მიერ განსახორციელებელი შესყიდვების წესი.

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე

თბილისი, 2001 წლის 30 მარტი.

კონტრაბანდა

აი, ჩამოვა ბატონი სმი და დაგვაკვალიანებს

2001 წლის პირველი კვარტალის ბიუჯეტი 92 პროცენტით შესრულდა. მართალია, ბიუჯეტი სეკვესტრირებულია, მაგრამ ამგვარად კასტრირებულსაც კი რვა პროცენტი დააკლდა.

ბიუჯეტის 92 პროცენტით შესრულება, თუ ალღო და გამოცდილება არ მღალატობს, საბიუჯეტო ორგანიზაციების ამდენივე პროცენტით დაფინანსებას ნიშნავს. ანუ მარტის ბოლოს და აპრილის დასაწყისში პედაგოგებს, პენსიონერებს, პოლიციელებს, სამხედროებს, მინისტრებს და სხვებს კუთვნილი სამი თვის გასამრჯელო უნდა მიეღოთ.

სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

ბიუჯეტი არ შესრულებულა და არც შესრულდება მანამ, სანამ საქართველოში არ შეიქმნება მოქნილი საკანონმდებლო ბაზა კონტრაბანდის თავიდან ასაცილებლად და საკუთარი წარმოების საქონლისადმი პროტექციონისტული პოლიტიკის გასატარებლად.

საქართველო სავსეა უცხოური იაფფასიანი და უხარისხო საკვები პროდუქციით – ხორბლის ფქვილით, სპირტით, მაიონეზით, თევზით, კონსერვებით, საქონლის და ქათმის ხორცით, ნაირ-ნაირი ძეხვეულით, კარტოფილით, კიტრითა და პამიდვრით, ტანსაცმელ-ფეხსაცმლით და, საერთოდ, ყველაფრით, რისი ჭამა და მოხმარება შეიძლება.

როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა დავით კირვალიძემ ბრძანა, **ნებისმიერ სახელმწიფოში კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის ორი გზა არსებობს: საკანონმდებლო და ადმინისტრაციული. ან ერთი და ან მეორე კი არა, ორივე ერთად – საკანონმდებლოც და ადმინისტრაციულიც.**

საგადასახადო შემოსავლების სამინისტრო აქცენტს ადმინისტრირებაზე აკეთებს – ქმნის კონტრაბანდასთან ბრძოლის ახალ დანაყოფებს (მაგალითად, ლეგიონს). ძველებს (საბაჟო, მსს, უშიშროების სამინისტრო, საგადასახადო სამსახური, სასაზღვრო ჯარები) მუშაობის გააქტიურებისაკენ მოუწოდებს. ამ მოწოდებას, სამწუხაროდ, შესაბამისი მატერიალური უზრუნველყოფა თან არ ახლავს და ყველაფერი ემსგავსება ძველ ლოზუნგს: „ხუთწლედი – სამ წელიწადში!“

კიდევ ერთხელ გავიმეორებ მრავალჯერ ნათქვამსა და მსოფლიო პრაქტიკით მრავალჯერ დამტკიცებულს – **შიშველი ადმინისტრირებით, სათანადო სამართლებრივი და მატერიალური უზრუნველყოფის გარეშე კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლა იწვევს სახელმწიფოში კონტრაბანდისა და კორუფციის მასშტაბების გრანდიოზულ ზრდას. კორუფციის ჭაობი საზოგადოების სულ ახალ და ახალ ძალებს ითრევს. ეს არის ეკონომიკის ურყევი კანონი – რაც მეტია ადმინისტრირება, მით მეტია დანაშაული, ამ შემთხვევაში, კორუფცია.**

კონტრაბანდის არსებობა ხელს აძლევს ყველას – მესაზღვრეს, მებაჟეს, პოლიციელს, ლეგიონერს, იატაკქვეშა „ცეხავიკს“, მთავრობის ლობისტს და ა. შ. ყველას, ამ ჯაჭვში ჩაუბმელი პირებისა და ორგანიზაციების გარდა. ეს „გარდა“ კი მთელი ქვეყნის მოქალაქეების 95 პროცენტს მაინც გულისხმობს. რაც მთავარია, სასწორზე დევს ქვეყნის სახელმწიფოებრიობა.

კონტრაბანდის მასშტაბები საქართველოში მხოლოდ მაშინ შეიძლება შემცირდეს, თუ ქვეყანაში ოფიციალურად შემოტანილი საქონლის ღირებულება კონტრაბანდულს გაუსწორდება, ანუ გადასახადები მინიმუმამდე შემცირდება. მაგალითად, თუ ხორბლის ან ნავთობპროდუქტების იმპორტზე გადასახადები 10-12 პროცენტამდე შემცირდება, მაშინ ფქვილის კონტრაბანდა ყოველგვარ აზრს დაკარგავს და გუშინდელი კონტრაბანდისტები წესიერ მომხმარებლებთან და სტრუქტურებთან ცივილური ფორმებით ურთიერთობას დაუწყებენ ძებნას. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მიერ პრეზიდენტთან შეთანხმებით და შესაბამის საპარლამენტო კომიტეტთან ერთად მომზადებული კანონპროექტი **„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“.**

პროექტი ითვალისწინებდა ხორბლის იმპორტის დამატებული ღირებულების გადასახადისაგან გათავისუფლებას, პურის ცხობაზე ფიქსირებული გადასახადის დაწესებას, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი მიწოდების, სამელიორაციო მომსახურებისა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე ტექნიკის მომსახურების დაბეგვრისაგან გათავისუფლებას.

დღგ-საგან თავისუფლდებოდა საკუთარი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდებით მიღებული მოგება იმ საწარმოებისა, რომელთა ძირითადი საქმიანობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაა. აგრეთვე, საქართველოს ფინანსთა, სოფლის მეურნეობისა და სურსათის, ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის, საგადასახადო შემოსავლების სამინისტროების მიერ დამტკიცებული კვოტების მიხედვით, სანაშენე ცხოველების, სანაშენე პროდუქტების, თესლეულის იმპორტი, სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებელი პესტიციდების, სასუქების იმპორტი და მიწოდება. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მანქანა-იარაღების და მათი სათადარიგო ნაწილების იმპორტი და მიწოდება, ანალოგიური ადგილობრივი წარმოების პროდუქციის მიწოდება.

ამ პროექტის კანონად ქცევით, პარლამენტი, უპირველეს ყოვლისა, უკან წაიღებდა თავისსავე მკვდრადშობილ კანონს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დაბეგვრაზე და, რაც მთავარია, არარაობად აქცევდა კონტრაბანდისტთა ძალისხმევას – ამიერიდან, საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი ხორბლის გადამუშავება-მიწოდება-მოხმარების მთელ ციკლს სახელმწიფო გააკონტროლებდა და ბიუჯეტში წლიურად სულ მცირე 53,1 მილიონი ლარი შევიდოდა. ვიმეორებ, მხოლოდ ხორბლისა და ფქვილის იმპორტით, გადამუშავებითა და პურის ცხობით. გლეხი რომ ამოისუნთქავდა, მოსავალს მოიყვანდა და ჩვენი ბაზრიდან იმპორტულ პროდუქციას განდევნიდა, ამაზე აღარაფერს ვამბობ.

ეს პროექტი პარლამენტში განსახილველად თვით ქვეყნის პრეზიდენტმა შეიტანა. მან დაინახა, რა სიკეთის მოტანა შეეძლო ამ ცვლილებებს და ინიციატივაც იმიტომ გამოიჩინა.

ეს მოხდა მარტის შუა რიცხვებში.

22 მარტს საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სვფ) მეორე ევროპული დეპარტამენტის დირექტორმა, ჯონ ოდლინგ სმიმ საქართველოს პრეზიდენტს მოსწერა: **„...ნება მიბოძეთ, გამოვხატო ჩემი შეშფოთება უკანასკნელ ხანს გადასახადების შეგროვების მდგომარეობით და საგადასახადო პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენებით. ბოლო წლებში საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის დაბალი მაჩვენებელი საქართველოს მაკროეკონომიკური პრობლემების ძირითადი მიზეზი იყო. აქედან გამომდინარე, გადასახადების ამოღების მაჩვენებლის მნიშვნელოვანი ზრდა იყო სვფ აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს მიერ სიღარიბის შემცირების და ეკონომიკური ზრდის სტრატეგიის სამწლიანი პროგრამის დამტკიცების უმთავრესი პირობა. ამდენად, არასასიამოვნოა, რომ საგადასახადო შემოსავლების მობილიზაცია იანვარ-თებერვალში შემცირდა, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება სახელმწიფო სექტორში დასაქმებულ პირთა და პენსიონერთა მიმართ ახალი ვადაგადაცილებული დავალიანებების დაგროვებას. შემოსავლების მობილიზაციით დაკავებულ ინსტიტუტებს დიდი ძალისხმევა მოუწევთ მარტში წინა პერიოდის დანაკლისის დასაბალანსებლად, რათა მარტის დასასრულის მონაცემი შეესაბამებოდეს სვფ პროგრამის მიხედვით მარტის ბოლოსთვის განსაზღვრულ პარამეტრებს და სხვა ფისკალურ გეგმებს. ამ პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბიუჯეტი, ისევე, როგორც სვფ პროგრამის გეგმები, მნიშვნელოვანი მაჩვენებლებით შეუსრულებელი დარჩება.**

ამგვარ სიტუაციაში, რომელიც, სამწუხაროდ, საქართველოსთვის ფრიად ნაცნობია, მთელი მთავრობის ძალისხმევა უნდა იქნეს მიმართული საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის გაუმჯობესებისკენ, ძირითადად, საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრაციების გაძლიერებისკენ. ამდენად, მიკვირს, რომ ამ პრობლემების ფონზე, მთავრობის მიერ წარმოდგენილი პოლიტიკური ინიციატივა არის პარლამენტისთვის საგადასახადო კოდექსის ცვლილებათა პაკეტის წარდგენა, რომელიც, ჩვენი აზრით, თითქმის თვალნათელია, რომ შემოსავლების შემდგომ დაკარგვას გამოიწვევს. როგორც ჩანს, ეს ცვლილებები წარმოდგენილია სხვადასხვა სამთავრობო დეპარტამენტების და საპარლამენტო ჯგუფების მიერ არაკოორდინირებული ფორმით და შეიცავს შეღავათებს და სხვა ცვლილებებს, რომლებიც ზიანს მოიტანენ, გაართულებენ ადმინისტრირებას და რომლის შედეგად ადგილობრივი და იმპორტული ნაწარმი არათანაბრად დაიბეგრება. როგორც ჩანს, არ არის გამოანგარიშებული ის ზარალი, რომელსაც ამ ცვლილებების გატარება მოიტანს. არ შესრულებულა სამუშაო ამ ცვლილებების უფრო ფართო შედეგების გამოსააშკარავებლად 2001 წლის ბიუჯეტის გეგმების შესრულებაზე.

საერთოდ, საგადასახადო კოდექსის ცვლილებები მინიმალური ოდენობის უნდა იყოს, რაც ხელს შეუწყობს სტაბილური და ადვილად დასაგეგმი სამეწარმეო გარემოს ჩამოყალიბებას. კერძოდ, გადასახადებიდან გათავისუფლებას და შეღავათებს თავი უნდა ავარიდოთ, რადგანაც ისინი, ხშირ შემთხვევაში, ეხმარებიან უფრო სუსტ საწარმოებს უფრო ძლიერი საწარმოების ხარჯზე. თუ საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის საკითხი დადგა, ისინი, განხილულ უნდა იქნეს და შეთანხმდეს ფინანსთა სამინისტროსთან და სრულ შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ბიუჯეტთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებთან. მათი გავლენა შემოსავლებზე უნდა დაწვრილებით იქნეს შეფასებული. არსებულ მდგომარეობაში, ყველა საგადასახადო პოლიტიკასთან დაკავშირებული წინადადება უნდა ემსახურებოდეს შემოსავლების გაზრდას, ისევე, როგორც ეკონომიკურ უზუსტობათა აღმოფხვრას და სისტემის გამარტივებას ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით.

აქედან გამომდინარე, მოგიწოდებთ მხარი არ დაუჭიროთ აღნიშნული საგადასახადო ცვლილებების პაკეტის მიღებას. ამ მიმართულებით სამუშაოები უნდა შეჩერდეს აპრილამდე. სანამ სვფ მისია არ ეწვევა საქართველოს და შეძლებს შეაფასოს საერთო შემოსავლების გაუარესების ხარისხი. იმ დროისთვის შესაძლებელი იქნება ზოგიერთი ამჟამინდელი წინადადების და ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული სხვა წინადადებების განხილვა ერთი პაკეტის ფარგლებში, რომელიც მიმართული იქნება შემოსავლების საერთო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად“.

ბატონი სმის მოქარგული დიპლომატიური მეტყველება მდაბიურ ქართულ ენაზე რომ გადმოვთარგმნოთ, დაახლოებით ასეთ რამეს მივიღებთ: „გაიგეთ, თურმე ჩვენთან შეუთანხმებლად ქვეყანაში ზოგიერთი გადასახადის გაუქმებას აპირებთ. ძალიან გთხოვთ, ამას თავი დაანებეთ, თორემ ამიერიდან ჩვენგან, მდიდარი ევროპელებისაგან კაპიკსაც ვერ მიიღებთ“.

ბატონ სმის, თავისი წერილი ამ ტონით რომ დაეწერა, წარმომიდგენია, საქართველოში რა ვაიუშველებელი ატყდებოდა. ამ დამაქრული ნაღველნარევი მუქარის საპასუხოდ კი პრეზიდენტმა თავისი კანონპროექტი პარლამენტიდან უკანვე გაიწვია და ყოვლისშემძლე სვფ-ს დელეგაციის ჩამოსვლას დაელოდა. ღარიბი ქვეყნის ხელმძღვანელი ასეც უნდა მოქცეულიყო.

ახლა მთავარია, გამოჩნდეს ვინმე, ვინც ბატონ დირექტორს საქმის რეალურ ვითარებას აუხსნის. ანუ ეტყვის, რომ „თითქმის თვალნათელი არაფერიც არ არის“, რომ აქ საუბარია საკუთარი ბაზრის დაცვაზე, კონტრაბანდასთან და კორუფციასთან ბრძოლაზე, ქვეყნის კეთილდღეობაზე და არა ვიღაცის მიმართ რაიმე შეღავათების დაწესებაზე. ეს არ არის რთული საქმე და, ვფიქრობ, მას სახელმწიფო კანცელარიის ნებისმიერი ჩინოვნიკი გაართმევს თავს.

რთული სხვა რამეა. კერძოდ, საქართველოს მთავრობის ეკონომიკურ გუნდში გამოჩნდება თუ არა კაცი, ვინც გულწრფელად მოინდომებს სვფ-ის მეორე ევროპული დეპარტამენტის დირექტორისა და საქართველოს გენერალ-გუბერნატორისთვის ამ ვითარების ახსნას. უფრო ზუსტად, კონტრაბანდულ მაფიასთან დაკავშირებული ძალები ამ თემაზე სასაუბროდ მიუშვებენ თუ არა სმისთან სახელმწიფოებრივად მოაზროვნე რომელიმე ჩინოვნიკს.

ბატონი სმი, წესით, მოაზროვნე კაცი უნდა იყოს. თუმცა, ისიც კაცია და ერთმა ღმერთმა უწყის, გულში რა უდევს. არც ისაა გამორიცხული, ამ ბედნიერ ევროპელს საქართველოში საკუთარი მისიის რაც შეიძლება დიდხანს გაჭიანურებაზე ფიქრი აწუხებდეს.

იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ, ირაკლი აბაშიძის ერთი ფრთიანი გამონათქვამისა არ იყოს, ბატონ სმის კანონი კი არ გამოუცია, რეკომენდაცია მოგვცა და, ბოლოს და ბოლოს, ჩვენი ნებაა – გვინდა დავუჯერებთ, გვინდა – არა. დაუჯერებლობამ უახლოეს მომავალში შეიძლება ცოტა რამ გვავნოს კიდეც. ხოლო თუ სმის ბრმად დაეუჯერებთ, საქართველოს სახელმწიფოებრიობაზე ოცნება ცოტა ხნით კიდევ გადაიწევს. სამაგიეროდ, ქართველი მექრთამეების ფრიად ნაყოფიერ მოღვაწეობას ის „ცოტა ხანიც“ დაემატება.

თეიმურაზ ძორიძე.

პარტიებსა და ფრაქციებში

ვინ საით?

აკაკი ასათიანის ინიციატივა. – პარლამენტს ემსჯელა და დსთ-დან საქართველოს გამოსვლის გადაწყვეტილება მიეღო, როგორც ცნობილია, უშედეგოდ დამთავრდა. იგი თვლის, რომ საქართველომ დსთ-ში ყოფნით წარმატება ვერცერთ სფეროში ვერ მიაღწია. ამასთან, მიმდინარე მოვლენები, მისი აზრით, აფერხებს ნატოსთან ინტეგრაციის პროცესს. მაგრამ ტრადიციონალისტები მშრალზე დარჩნენ. ამჟამად აკაკი ასათიანი მიზნის მისაღწევად, მემარჯვენეთა ახალი ალიანსის შექმნაზე ოცნებობს, სადაც „განკიცხულებსაც“, – ედპ-სა და სახალხო პარტიასაც მოიაზრებს. ვნახოთ, რა იქნება! აშკარაა, რომ ბოლო დროს ტრადიციონალისტები გამოცოცხლდნენ და მართვის ბერკეტების ხელში ჩასაგდებად ამგვარი ინიციატივით გამოვიდნენ. ცოტა ხნის წინათ ფრაქცია „ტრადიციონალისტმა“ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოსგან ქვეყნის გადარჩენის ყოვლისმომცველი პროგრამის წარმოდგენა მოითხოვა, რომელიც ღია საპარლამენტო მსჯელობის შედეგად უნდა შემუშავებულიყო. მათი ხმამაღალი განაცხადით, თუ „მოქალაქეთა კავშირი“ ამ მიმართულებით ქმედით ნაბიჯს არ გადადგამდა, მაშინ საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო ოპოზიცია პარლამენტის ქვეყნისთვის სახელმწიფოებრივი კრიზისის დაძლევის საკუთარ პროგრამას შესთავაზებდა. პროგრამები, იცოცხლეთ, ბევრსა აქვს, მაგრამ შიგ ჩასახედი არაფერია.

ამასობაში თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ გია ბარამიძემ მემარჯვენეებს ასათიანის ირგვლივ გაერთიანებისაკენ მოუწოდა. ამან ზოგიერთები მოქალაქეთა კავშირისა და ტრადიციონალისტებს შორის ფარულ ალიანსზე ალაპარაკა. ისინი თვლიან, რომ აკაკი ასათიანმა სწორედ მოქალაქეთა კავშირის აზრი გაახმაურა, როცა დსთ-დან გასვლა მოითხოვა. არადა, რა ალიანსზეა ლაპარაკი, როცა ცოტა ხნის წინათ „მოქალაქეებმა“ მრეწველებისა და ტრადიციონალისტების მიერ წარმოდგენილი საგადასახადო კოდექსის ლიბერალიზაციის წინადადება დაიწუნეს და დსთ-დან გამსვლელებსაც ცივი წყალი გადაასხეს.

„განკიცხულები“ ვახსენე: ბევრი მათგანი ახალ ჩოხას იზომავს, მაგალითად, სახალხო პარტიის თავმჯდომარე მამუკა გიორგაძე აცხადებს, რომ მომავალი ადგილობრივი არჩევნებისთვის პარტიის სავარაუდო პარტნიორების ვინაობა ჯერჯერობით გამოკვეთილი არ არის. ჩვენ ხელოვნური გაერთიანების წინააღმდეგი ვართ, რისი ნათელი მაგალითიც იყო საპარლამენტო არჩევნებში გარანტირებულ დეპუტატობაზე უარის თქმა. „აღორძინების“ ბლოკი არ წარმოადგენს იმ ერთიანი მიზნით შეკრულ ძალას, რომელიც შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან ქვეყნის გამოყვანას შეძლებს, – ამბობს გიორგაძე. არადა, ყველას გასაოცრად, იგი „აღორძინების“ ბლოკს უწევდა პროპაგანდას და ახლაც იმეორებს, რომ კვლავ ჯუმბერ პატიაშვილთან დგას. სწორედ ამიტომაც მოხვდა სახალხო პარტია „განკიცხულთა“ სიაშიც და რამდენადმე უხერხულ სიტუაციაშიც. ყველაზე დიდი პრეტენზია მემარჯვენეობაზე სწორედ მათ ჰქონდათ და, ბედის ირონიით, ყველაზე დიდ მემარცხენეთა ბანაკში აღმოჩნდნენ. თანაც, პატიაშვილმა მხოლოდ სახალხოელები როდი „გადაიბირა“. მას გარს შემოეხვივნენ სხვადასხვა ჯურის ბოლშევიკურ-კომუნისტური ორიენტაციის პარტიები. აი, ასეთ გარემოცვაში აღმოჩნდნენ სახალხოელები. ეროვნულობის თვალსაზრისით დღეს მათი შელახული ავტორიტეტის აღდგენა საკმაოდ ძნელია, რადგან სახალხოელები ბევრისთვის უკვე კომუნისტებთან ასოცირდებიან.

ცნობილია, რომ „ეროვნულ ძალთა გაერთიანების“ წარმომადგენლებმა კატეგორიულად გამორიცხეს ალიანსი ედპ-სთან, როგორც, მათი თქმით, ხელისუფლების სატელიტ პარტიასთან. საინტერესოა ისიც, რომ „ზვიადისტების“ მიერ შერისხული ედპ მავანთა და მავანთა აზრით, კომპარტიისა და „მხედრიონის“ კომპანიაში მოხვდა. „ეროვნულები“, როგორც თავად აცხადებენ, არც „წითლებთან“ ითანამშრომლებენ და არც „შავებთან“.

1999 წლის არჩევნებამდე ედპ-სა და რესპუბლიკელების ალიანსი ამ უკანასკნელთა არაამბიციურობის გამო ორივე პარტიისათვის წარმატებული, მაგრამ არჩევნებში გამარჯვებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა. ამჯერად ედპ-ს ლიდერი ირინა სარიშვილი ისევ საუბრობს მემარჯვენეთა გაერთიანებაზე, ოღონდ ჯერჯერობით პარტნიორების ვინაობას არ ამხელს. ალიანსის შექმნის მიზნით ედპ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოსთანაც“ აწარმოებდა მოლაპარაკებებს, თუმცა, საბოლოოდ გაერთიანება ვერ შედგა.

ედპ-ს ფინანსურად არც ისე ულხინს, მაგრამ აცხადებს, რომ მათ ფული არ აინტერესებთ და ალიანსებს მხოლოდ იდეური თვალსაზრისით ეძებენ. ამისი დაჯერება ადვილი არ არის. მით უმეტეს, აშკარად ჩანს, რომ ედპ აპირებს ჯულელი რომელიმე გავლენიანი ბიზნესმენ-პოლიტიკოსით ჩაანაცვლოს. იგი „ახალ ფრაქციასთან“ მართავს კონსულტაციებს, მაგრამ ამას არ ახმაურებს.

„ახალ ფრაქციასა“ და „მრეწველთა“ შორის მთლად იდილიური ურთიერთობა არ არსებობს. ეს განსაკუთრებით მას შემდეგ გაცხადდა, რაც ხაზარაძე და თოფაძე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.

მოკლედ, მემარჯვენეებში, ასე თუ ისე, ორი ფრთა გამოიკვეთა – პირველია – ასათიანი-თოფაძე-ზვიადისტები, ხოლო მეორე – ედპ-რესპუბლიკელები-ახალი ფრაქცია. ამ ალიანსების „ამოხსნა“ ძნელი არ არის. თოფაძეს ზვიადისტების ხმები სჭირდება, ზვიადისტებს – თოფაძის ფულები, ასათიანს კი ისიც და ისიც. მსგავსი ინტერესები იკვეთება მეორე ბანაკშიც.

„მხედრიონის“ ლიდერი ჯაბა იოსელიანი ასეთ ალიანსში მრეწველებს მოტყუებულად მიიჩნევს. მისი თქმით, ეს გაერთიანება მოჩვენებითია და მალე დაიშლება.

დავით სალარიძეს კი მრეწველთა და ზვიადისტთა გაერთიანებაზე საუბარი ნაადრევად მიაჩნია:

– არავითარ გაერთიანებაზე საუბარი არ არის. პარტიათა გაერთიანება ასე არ ხდება. ჩვენ ვართ დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალა და დავრჩებით ასეთ ძალად. ეს არის საკონსულტაციო შეხვედრები, შემდეგ ვნახოთ, მოვლენები როგორ განვითარდება, – აცხადებს იგი.

ოპოზიციის წვრილფეხა პარტიებიდან, საიდან სადაო და, კომკავშირელებმაც თავი გამოყვეს. ქართველი კომკავშირელები რამდენიმე დღეში მოლდავეთში გაემგზავრებიან, სადაც მოლდავეთის კომკავშირის ყრილობაზე თავიანთ ანგარიშს წარადგენენ.

ერთიანი კომპარტიის ცკ-ს მეორე მდივანი ვილჰელმ მახარაძე კი კვლავ კომუნისტური ლოზუნგებით გამოდის: – მალე დავამტკიცებთ, რომ საქართველო კომუნისტების გარეშე ვერ იარსებებსო. ოღონდ არ აზუსტებს, – რომელი კომუნისტების. ისინი ხომ ერთმანეთს სასამართლოებში უჩივიან და დღემდე არსებობის უფლებაც არ დაუკანონებიათ!

მზია გელენავა.

ალიარება

პროფესორი ლუციუს ვილდჰაბერი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი

20 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს კიდევ ერთი საპატიო დოქტორი შეემატა – დიდი სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით ეს საპატიო ტიტული მიენიჭა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თავმჯდომარეს, პროფესორ ლუციუს ვილდჰაბერს.

საზეიმო სხდომაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრებს და შეკრებილ საზოგადოებას წარუდგინა სტუმარი და გააცნო მისი ბიოგრაფია და მოღვაწეობა. შემდეგ გამოაქვეყნა სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახლადარჩეულ საპატიო დოქტორს სათანადო რეგალიები გადასცა.

სიტყვები წარმოთქვეს და სტუმარს მიესალმნენ პროფესორი ლევან ალექსიძე, საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტი ეკა ეგუტია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლე მინდია უგრეხელიძე.



თავის ვრცელ გამოსვლაში ლუციუს ვილდჰაბერმა ისაუბრა სტრასბურგის სასამართლოს პრინციპებზე, მის მიმართებასა და დამოკიდებულებაზე ეროვნულ სასამართლოებთან, ყურადღება გაამახვილა, თუ როგორ უნდა იცავდნენ ადამიანის უფლებებს ევროპული და ეროვნული სასამართლოები (ამ თემაზე დიალოგი მოგვიანებით – უნივერსიტეტშივე გამართულ პრესკონფერენციაზე გაგრძელდა). პროფესორმა ლუციუს ვილდჰაბერმა მადლობა მოახსენა მასპინძლებს მისი მეცნიერული და პრაქტიკული საქმიანობის ასეთი აღიარებისათვის.

სტუმარი გაეცნო უნივერსიტეტის კაბინეტ-ლაბორატორიებს, შეხვდა სტუდენტებს და დიდი შეფასება მისცა მათ ცოდნას და მომზადებას.

გივი შეყილაძე.
ავტორის ფოტო.

მხარე

ორი ინტერვიუ ცხინვალელ პოლიტიკოსებთან

8 აპრილს თვითგამოცხადებულმა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკამ საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმით ახალი კონსტიტუცია მიიღო. ამ კონსტიტუციის შესახებ ვესაუბრეთ თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის მრჩეველს კონფლიქტების მოწესრიგებისა და საგარეო პოლიტიკისა და თავდაცვის ეროვნული უშიშროების საკითხებში ვიაჩესლავ გობოზოვს.

– ბატონო ვიაჩესლავ, რას იტყვით ახალ კონსტიტუციაზე, მის რომელ მუხლებზე მოახდენთ აქცენტირებას?

– ახალი კონსტიტუცია, ძველთან შედარებით, უფრო მკაფიოა. ძველში იყო ისეთი ნაპრალები, რომ ხშირად ჩიხში ვექცეოდით. ასე იყო, როცა პარლამენტში კრიზისს ჰქონდა ადგილი. ახალი კონსტიტუციით მსგავსი ვითარება გამორიცხულია. თუმცა მასში მაინც ზოგი რამ დასახვეწია. მაგალითად, პარლამენტს ნაკლები უფლებები აქვს, მას არ შეუძლია გავლენა მოახდინოს მთავრობის ფორმირებაზე, არ არის სრულყოფილად ჩამოყალიბებული მუხლები სასამართლო სისტემასა და ადგილობრივ თვითმმართველობაზე. იმედია, საკონსტიტუციო კომისია კვლავ იმუშავებს მის დასახვეწად.

– კონსტიტუციის მეოთხე მუხლის პირველ ნაწილში ნათქვამია: „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში სახელმწიფო ენას წარმოადგენს ოსური ენა“, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილი ასე ჟღერს: „რუსული ენა, ოსურის თანაბრად, ხოლო კომპაქტურად დასახლებული სამხრეთ ოსეთის მოქალაქე ქართველებისთვის – ქართული აღიარებულია ოფიციალურ ენებად სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების, სახელმწიფო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის“. რა აზრისა ხართ ამ მუხლის შესახებ?

– ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს უფლება ისწავლოს და მოიხმაროს მშობლიური ენა. ოღონდ, მიმაჩნია, რომ ეს მუხლი ცოტა არ იყოს, ბუნდოვანია, რადგან მასში გაურკვევლადაა მოცემული ქართული და რუსული ენების უფლებები. ეს მუხლიც შემდგომ დახვეწას საჭიროებს.

20-22 მარტს მოსკოვში ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების მიზნით შერეული საკონტროლო კომისიის სამუშაო ჯგუფების მორიგ შეხვედრაზე, კონფლიქტის ზონაში ეკონომიკის აღდგენისა და ლტოლვილთა დაბრუნების სახელმწიფოთაშორისო პროგრამით გათვალისწინებული იმ პრინციპების შემუშავებაზე იმსჯელეს, რომელთა შესახებაც რუსულ-ქართულმა მხარეებმა მოაწერეს ხელი შარშან, 23 დეკემბერს თბილისში.

მოსკოვის შეხვედრაზე ოსურმა მხარემ მოსაზრება გამოთქვა, რომ ერთიანი პროგრამის ნაცვლად უმჯობესია შეიმუშაონ ცალკეული ობიექტების აღდგენის პროგრამები და თანამიმდევრულად განახორციელონ იგი. ამ წინადადებას ქართული მხარეც დაეთანხმა.

პროგრამის რეალიზაციის მექანიზმის შესახებ კი შეხვედრის მონაწილეებს დიამეტრულად განსხვავებული აზრი ჰქონდათ.

ქართულმა მხარემ ორმხრივი – ქართულ-ოსური მექანიზმის წინადადება წამოაყენა, რუსულმა და ოსურმა მხარეებმა კი ოთხმხრივი მონაწილეობა მოითხოვეს – რუსეთის, ჩრდილოეთ ალანიის, საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის. ამ საკითხზე შეთანხმებას ვერ მიაღწიეს და იგი კვლავ შემდგომ შეხვედრაზე განსახილველად დაგეგმეს, რომელიც 4-6 აპრილს გაიმართა თბილისში.

ზემოთ აღნიშნულსა და უკვე თბილისის შეხვედრის შედეგებზე გვესაუბრება თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მთავრობის მეთაურის მოადგილე, შერეული საკონტროლო კომისიის ოსური მხარის დელეგაციის ხელმძღვანელი ლეონიდ თიბილოვი.

– ბატონო ლეონიდ, რა შედეგებს მიაღწიეს მოლაპარაკებისას მოპირდაპირე მხარეებმა უკანასკნელ შეხვედრაზე?

– ორ წელიწადზე მეტია, შერეული საკონტროლო კომისიის წევრები, ძირითადად, ორ საკითხზე მუშაობენ – კონფლიქტის ზონაში ეკონომიკის აღდგენასა და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა თავიანთ ძველ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნებაზე.

4-6 აპრილს თბილისში შერეული საკონტროლო კომისიის მუშა ჯგუფებმა წინა, მოსკოვის შეხვედრაზე წამოყენებულ საკითხებზე განაგრძეს მსჯელობა. ორივე, ქართული და ოსური მხარის შეთანხმებით, კონფლიქტის ზონაში ეკონომიკის აღდგენის პროგრამა ორ ნაწილად გაიყო. პირველი ნაწილის მიხედვით, ეკონომიკის აღდგენა მოხდება საქართველოსა და რუსეთის ბიუჯეტების დაფინანსებით. ამაზე იმუშავებენ რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი ორგანოები, ხოლო მეორე ნაწილი გულისხმობს საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის მიერ ეკონომიკის აღსადგენად საერთაშორისო დონორთა მოზიდვას, რაზეც იმუშავებენ საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის შესაბამისი ორგანოები. სწორედ ამ საკითხზე მივაღწიეთ ურთიერთშეთანხმებას უკანასკნელ შეხვედრაზე. ორივე მხარის მუშაობის შედეგების კურსში იქნება შერეული საკონტროლო კომისია და მაშასადამე, რუსეთიც, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთიც აფინანსებს თავისი ბიუჯეტიდან ეკონომიკის აღდგენას კონფლიქტურ ზონაში. 19-20 აპრილს ამ პროექტს, უკვე დამუშავებულს გავიტანთ ვლადიკავკაზის შეხვედრაზე. გარდა ოთხი მხარისა, შეხვედრაში მონაწილეობენ ეუთოსა და ევროკავშირის წარმომადგენლებიც. მოხდება სრული პროგრამის პროექტის დამტკიცება. შემდეგ პროექტი გაივლის შიდასახელმწიფოებრივ პროცედურებს რუსეთსა და საქართველოში. ბოლოს მას ხელს მოაწერენ ამ ორი სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოები.

რაც შეეხება ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა ძველ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების საკითხს, აქ ჯერჯერობით მხარეებს განსხვავებული პოზიცია უკავიათ. კერძოდ, ქართული მხარე მოითხოვს, რომ ჯერ მხოლოდ ლტოლვილთა დაბრუნების საკითხზე იმუშაონ, ოსური მხარის აზრით კი, პარალელურად უნდა იზრუნონ იძულებით გადაადგილებულთა დაბრუნებაზეც. მე ოპტიმიზმით ვუყურებ მომავალს. იმედი მაქვს, რომ ამ საკითხზეც შევთანხმდებით.

თუ ორივე პროგრამის შესახებ მივაღწევთ ურთიერთგაგებას, შემიძლია ვთქვა, რომ შერეული საკონტროლო კომისია თავის მისიას წარმატებით ასრულებს.

ესაუბრა
ციალა კახნიაშვილი.

სააღდგომო ექსპოზიციები

ბრწყინვალე შვიდეულის კვირაში ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეაში სააღდგომო ექსპოზიცია გაიხსნა. გამოფენაზე თბილისიდან, ქუთაისიდან და რუსთავიდან გამოგზავნილი 210 ბავშვის ნამუშევარი იყო წარმოდგენილი.

ბავშვებმა საოცარი სამყარო გადაუშალეს დამთვალიერებლებს თვალწინ. ბიბლიაში წაკითხული ამბები პატარებს დაუხატავთ და არც ერთი მნიშვნელოვანი სიუჟეტი არ გამორჩენიათ.

გამოფენას საპატრიარქოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მამა დანიელმა ბავშვებს აღდგომა მიულოცა და დასძინა, რომ სასიხარულოა, როცა ასე პატარები უკვე სულიერ მოღვაწეობას ეწევიან. პატარა მხატვრებს საპატრიარქოს სახელით საჩუქრად რელიგიური წიგნები გადაეცათ.

მეან-გინეკოლოგთა ჩაჭრის პროცენტი მაღალია

ექიმთა სასერთიფიკაციო-სალიცენზიო გამოცდებში მეან-გინეკოლოგთა ჩაჭრის პროცენტი გაცილებით მაღალია, ვიდრე სხვა პროფილის ექიმებში. ამის შესახებ „ინტერ-პრესის“ კორესპონდენტს სამედიცინო აკადემიის სამეანო-გინეკოლოგიისა და პერინატალური ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა პალიკო კინტრაიამ აცნობა.

მისი თქმით, არ შეიძლება უცოდინარმა, არაკვალიფიციურმა ექიმმა ორსული ქალის სიცოცხლე ჩააბაროს. „მქონდა ისეთი შემთხვევაც, რომ ადამიანს, რომელიც 30 წელია ქალთა კონსულტაციაში მუშაობს, მარტივი შეკითხვა დავუსვი – როგორ მოუვლით გულის მანკით დაავადებულ ორსულს? იმდენად დაიბნა, ბოლოს საგამოცდო კომისიის წევრები ვკარნახობდით, რომ გული ოთხი კამერისგან შედგება და ასე შემდეგ“, – აღნიშნა პალიკო კინტრაიამ.

პოლიცია შედეგებს აჯამებს

პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შედეგების შეჯამებას მიეძღვნა ეკოლოგიის პოლიციის მთავარ სამმართველოში გამართული თათბირი, რომელზეც ითქვა, რომ წლეულს გაცილებით მეტი სამართალდარღვევის ფაქტია გამოვლენილი 2000 წლის პირველ კვარტალთან შედარებით. სახელდობრ, 2001 წლის პირველ კვარტალში სულ გამოვლენილია 3239 სამართალდარღვევის ფაქტი, რაც 180 ერთეულით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. აღიძრა 162 სისხლის სამართლის საქმე, ანუ 26 ერთეულით მეტი.

პირველ კვარტალში გამოვლენილმა უკანონოდ მოჭრილმა ხე-ტყის რაოდენობამ 2620 კუბური მეტრი შეადგინა, ზარალმა – 155179 ლარი, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 1210 კუბური მეტრით და 84114 ლარით მეტია.

ჩეჩნეთის აღდგენის უპირველესი ამოცანები

ჩეჩნეთში უახლოეს დროში დაიწყება რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური სფეროს აღდგენის პროგრამის აქტიური რეალიზაცია. „ამჟამად ამისათვის შეიქმნა ყველა საჭირო მექანიზმი“, – განაცხადა ჩეჩნეთის აღდგენისათვის ფედერალური სტრუქტურების საქმიანობის კოორდინაციის მინისტრმა ვლადიმერ ელაგინმა.

მან ჩეჩნეთში ამასწინანდელი მოგზაურობის დროს განიხილა „რესპუბლიკის ნავთობგაზის კომპლექსის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები“, რომელიც „უნდა გახდეს მოგების მიღების ერთ-ერთი საშუალება ჩეჩნეთის შემდგომი განვითარებისათვის“. როგორც მან თქვა, შესაძლოა, ფედერალური ბიუჯეტიდან რესპუბლიკაში გადმოირიცხოს ის თანხა, რომელიც დაფარავს ბიუჯეტის სფეროს მუშაკთა მიმართ დავალიანებას. რაც შეეხება საცხოვრებელი სახლების აღდგენას და რესპუბლიკაში ლტოლვილთა გადმოყვანას, როგორც მან თქვა, აქაც შეინიშნება მნიშვნელოვანი წინსვლა.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა და ინტერპრესმა.

გასაჭირი

ტენდერი მეჩაიეობის რაიონებში უნდა გაიმართოს

სამწუხაროდ, ბოლო წლებში მეჩაიეობის დარგი გაჩანაგება-გადაშენების საფრთხის წინაშე დადგა. თვით ზედა ეშელონებშიც კი ჩაის კულტურას ზურგი შეაქციეს, რის შედეგად სამეგრელოში, და საერთოდ მეჩაიეობის რაიონებში, ყველაფერთან ერთად, ჭირს მზა პროდუქციის რეალიზაცია. დღეისათვის ჩაის ფაბრიკებში 4 ათას ტონამდე მზა პროდუქციის ძველი ნაშთი ინახება. მეჩაიეებს დღემდე არა აქვთ მიღებული კუთვნილი ხელფასები მარტვილში, ზუგდიდსა და ჩხოროწყუში.

შარშან, იაპონიის მთავრობის მიერ დარგის რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი გრანტი გვიან ავითვისეთ. ამის გამო მთლიანად რეგიონში მხოლოდ 12 ათასი ტონა ჩაის ნედლეული დამზადდა, რაც 16 ათასი ტონით ნაკლებია წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით.

აღსანიშნავია, რომ ტენდერში გამარჯვებული ჩაის მწარმოებელი კომპანიების პროგრამები ითვალისწინებდა მაზუთის, ბენზინის, დიზელის საწვავის, მინერალური სასუქების, მანქანა-დანადგარების, სატვირთო მანქანების და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების შეძენას. მთლიანად ასათვისებელი იყო მილიონ 698 ათასი ამერიკული დოლარი. საკითხავია, მოხმარდა კი მიზნობრივად ეს თანხა მეჩაიეობის განვითარებას?

წლეულს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მეჩაიეობისათვის გამოყოფილია 3 მილიონი ლარი, მაგრამ მთავარია, როგორი ყაირათიანობით გამოვიყენებთ მას. არ უნდა განმეორდეს წარსულის შეცდომები, როდესაც ტენდერში იმარჯვებდნენ ისეთი ფირმები, რომლებსაც მეჩაიეობასთან ადრე არავითარი კავშირი არ ჰქონიათ. სასურველია, ეს ტენდერები ადგილებზე, უშუალოდ მეჩაიეობის რაიონებში ტარდებოდეს.

მზა პროდუქციის რეალიზაციის პრობლემას მარკეტინგის გარეშე ვერ გადავწყვეტთ. ალბათ, დროა, ისევ სახელმწიფომ აიღოს ხელში დარგის მართვის ბერკეტები.

პლანტაციებში საგაზაფხულო სამუშაოების აგროვადები თითქმის მიიწურა, მაგრამ ეს სამუშაოები ბევრგან ჯერაც არ დაწყებულა. ამ დროს, ძნელია შესრულდეს 25 ათასი ტონა ჩაის ხარისხოვანი ნედლეულის დამზადების პროგნოზი. ამასთან, მოსახლეობა არ არის უზრუნველყოფილი მინერალური სასუქით, საწვავით, მანქანა-ტრაქტორების სათადარიგო ნაწილებით... არადა, სწორედ წარმოების ამ საშუალებებზეა დამოკიდებული წლევანდელი მოსავლის ბედი.

სადავო როდია, რომ სამეგრელოში მეჩაიეობა ყველაზე რენტაბელური და მომგებიანი კულტურაა, მაგრამ მისი პლანტაციები ახლა განუკითხავად ნადგურდება. ამის ერთ-ერთი მაგალითია ჩხოროწყუს რაიონის გამგეობის შარშანდელი გადაწყვეტილება, რომელიც 1165 ჰექტარი ჩაის პლანტაციის ჩამოწერას ითვალისწინებდა.

მიწა გლეხკაცის ეკონომიკური სიძლიერეა, სადაც იგი ოდითგანვე თესავდა, რგავდა და აშენებდა უხვმოსავალთან მარჩენალ კულტურას. ჩაიც ხომ, ასეთი კულტურაა? — ყველა უნდა მივუბრუნდეთ მას!

ოდიკ ჟუხილავა,
„სრ“ საკ. კორ.

უახლესი წარსული

ჩინგიზ აბდულაევი

სისხლის სამი ფერი

— კურსი საით გაქვთ? — იკითხა ინგლისურად.

— ბაღდადისაკენ, — დაუყვირა პილოტმა, — მაგრამ ჩვენთან განჰერმეტიზება მოხდა. სადღაც აქ დაჯდომა მოგვიწევს.

— ახლა რა ადგილას მივფრინავთ?

— ირანის თავზე. მალე ირანი-ერაყის საზღვარზე ვიქნებით.

— დაჯექით, — მიუთითა დრონგომ ქვევით, — აუცილებლად დაჯექით.

როცა მაგიუხინის ერთ-ერთი კაცი აღარ დაბრუნდა, გრუოდისი შეშფოთდა და როცა კიდევ ერთი წუთი გავიდა, ის წამოდგა და ფრთხილად წავიდა ბიზნეს-კლასის სალონისაკენ. იქ, იატაკზე მისი გაგზავნილი კაცი ეგდო. კუპჩას გვამი მან სავარძელზე შეამჩნია. მაგრამ დაჭრილი ევრსხად დაინახა. წამები დასჭირდა, რათა ყველაფერს მიხვედრილიყო. დრონგომ უკანასკნელად კიდევ მოატყუა.

გრუოდისი უკან დაბრუნდა. შევარდა მეორე სალონში, სადაც ინგა იყო, და პარაშუტები ეწყო.

— ჩქარა! — იყვირა გრუოდისმა, თან წინა სალონისაკენ მიუთითა, — იქ დრონგოა. ამ მომენტში მათ იგრძნეს, თუ ცივი ქარი როგორ იჭრებოდა ლაინერის სალონში. შეშფოთებულმა სტიუარდესებმა იკივლეს.

— გავდივართ საბარგო განყოფილებიდან, — დაიყვირა გრუოდისმა, — პარაშუტი გაიკეთე და ფულიც აიღე.

— დანარჩენები რას იზამენ? მიროსლავი, ნიკიტა სადღა არიან? — იკითხა ინგამ.

— მივდივართ, — გაცეცხლდა გრუოდისი, — იქ ნიკიტა საერთოდ არ არის. ეს ბლეფი, ტყუილია.

მან ქალს უკან პარაშუტებისაკენ უბიძგა, ფულებიანი ჩემოდნების აღებაც არ დაავიწყებია. მეორე ინგამ აიღო.

დრონგო, ფეხზე ძლივს რომ იდგა, ექიმთან მიჩოჩდა.

— დიდი მადლობა! — დაიყვირა მან, — ვიმედოვნებ, ამ ჩვენს მოგზაურობას როდისმე აღნიშნავთ. ქალმა თვალები დახუჭა. ამ გასროლის ხსოვნა მას უკვე მთელ სიცოცხლეში გაჰყვება.

დრონგო მეორე სალონში გავიდა. ფრთხილად მიმოიხედა. იქ მხოლოდ სტიუარდესები და ბორტგამცილებელი იყო, ყველა მიტკალივით გაფითრებულიყო.

— ისინი სად არიან? — იკითხა დრონგომ.

ერთ-ერთმა სტიუარდესმა თვითმფრინავის ბოლოსაკენ მიუთითა.

— მათ პარაშუტები გაიკეთეს და ფული წაიღეს, — დაამატა ბორტგამცილებელმა.

— გადაეცით კაპიტანს, რომ დაუყოვნებლივ დაჯდეს, — სთხოვა დრონგომ, პარაშუტს რომ ირგებდა.

შემდეგ იგი უკანა კარით საბარგო განყოფილებაში შევარდა. ლიუკი ღია იყო და გრუოდისი გადასახტომად ემზადებოდა. დრონგო რომ დაინახა, ის სიძულვილით ახიხინდა და პისტოლეტი მოიმარჯვა. დრონგო კარის შვერილს მოეფარა. ორმა გასროლამ ვერაფერი დააკლო. გრუოდისმა მოიცადა, სანამ ინგა გადახტებოდა, ერთხელ კიდევ ისროლა აბეზარა მდევარისაკენ და ისიც გადახტა. დრონგო, არც კი დაფიქრებულა, მათ კვალდაკვალ გადახტა.

— ღმერთო ჩემო, — წაიჩურჩულა დრონგომ, — როგორ არ მიყვარს თვითმფრინავები და სიმაღლე.

ლაინერი გრიალით ეშვებოდა დასაჯდომად. შავი წერტილებივით გრიალებდნენ გრუოდისი და მისი თანამგზავრი ქალი. დრონგომ თვალები დახუჭა. ის უკანასკნელად დიდი ხნის წინათ გადმოხტა. ისევ ახსოვდა ის უსიამოვნო შეგრძნება.

ქვემოთ ერთ-ერთი პარაშუტი გაიხსნა, დრონგომაც ცოტა მოიცადა, რათა ზუსტად დაშვებულიყო და თავისი პარაშუტიც გაშალა. გრუოდისი იქვე ახლოს ეშვებოდა, შეიძლებოდა მისი სახის გამომეტყველების დანახვა. ის რაღაცას ყვიროდა. თან ხელებს იქნევდა. სროლა არ შეეძლო, მარჯვენა ხელში მძიმე ჩემოდანი ეჭირა.

დრონგოს ქვემოთ ოღრო-ჩოღრო მიდამო იყო, მაღალი გორაკებიც მოჩანდა. ის დაბლობში რომ დაეშვა, ორი პარაშუტისტი ველარ დაინახა. თავისი პარაშუტი მოიხსნა და იმ მხარეს გაიქცა, სადაც თითქოს პარაშუტის ორი თეთრი გუმბათი ანათებდა. და მაშინვე მოესმა მის მხარეს გასროლის ხმა. თვითონაც, უკვე რომ ეცემოდა, რამდენჯერმე გაისროლა. შემდეგ დიდი ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

თუმც ვერ ხვდებოდა, თუ რა ხდებოდა, დრონგო წამოდგა და ფრთხილად გაემართა იმ ხმებისაკენ. რაღაც ძახილი ისმოდა. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ვიღაც ხმამაღლა ყვიროდა. იგი ფრთხილად მიუახლოვდა. მუხლებზე დამხობილი გრუოდისის მახლობლად პისტოლეტი ეგდო. ქვებზე ახალგაზრდა ქალის გვამი ესვენა. სწორედ იმისი, დრონგომ ბად-ჰომბურგში რომ ნახა. ერთი შეხედვით კი საკმარისი იყო, რომ მიხვედრილიყო, თუ რა მოხდა. მისი პარაშუტი მაღალ ხეებზე გამოედო და ქალი, უხერხულად რომ ეშვებოდა, თავით დაენარცხა ქვებზე. ცხადია, იმოქმედა მოუხერხებელმა კოორდინაციამ, გარდუვალი რომაა ისეთი ტვირთის დროს, როგორიც ფულით სავსე ჩემოდანია. საფეთქლიდან შავი სისხლის ნაკადი მოტივტივებდა. ქალი მკვდარი იყო. იქვე მწუხარებისგან გრუოდისი ღმუოდა. მას დრონგოსაკენ არც კი გაუხედია. იარაღიც არ მოუმარჯვებია. მხოლოდ იჯდა და მწუხარებით კიოდა.

საკმაო სინათლე იყო. სავსე მთვარე იყურებოდა და ვარსკვლავები ციმციმებდნენ, თითქოს დღეს იმიტომ ამოსულიყვნენ, რომ, ეს საშინელი სურათი ენახათ. ერთ-ერთი ჩემოდანიც ქვებზე დაცემულიყო. დარტყმისაგან გახსნილიყო და ახლა ნელი სიო ნაზად არხევდა ფულის დასტებს, თითქოს ფიქრობდა, რა ვუყო ამასო.

უბედურება იმდენად საშინელი და უტყუარი იყო, რომ დრონგო იქვე ჩაიკეცა. იჯდა და დუმდა. ასე ისხდნენ თითქმის ხუთ საათს. ხოლო როცა ინათა, თითქოსდა ერთბაშად დაბერებული გრუოდისი წამოდგა, რათა საფლავი გაეთხარა. დრონგო მას ეხმარებოდა. გრუოდისს სიტყვა არ უთქვამს, არც დრონგოს დახმარებაზე უთქვამს უარი.

ორივემ ხელებითა და დანებით გათხარეს სამარე ინგა სტრუმილინასათვის და ფრთხილად ჩაუშვეს იქ დალეული. შემდეგ გულმოდგინედ მოასწორეს მიწა და დიდხანს ეზიდებოდნენ ქვებს, რათა საკმაოდ მოზრდილი გორაკი აღემართათ. დილის ცხრა საათი იყო, როცა ყველაფერი მოითავეს. გაშტერებულმა გრუოდისმა თავი დაიქნია, თითქოს წარსულს ემშვიდობებაო.

— ახლა სად წავიდე? — ჰკითხა მან დრონგოს.

ის იდგა და დუმდა. შემდეგ ხმა რომ არ ამოუღია, წავიდა პირველი ჩემოდნის ფულის ასაკრებად. მოიტანა. ორივე ჩემოდანი ერთად დადგა და უცებ მოესმა პისტოლეტის შემართული ჩახმახის დამახასიათებელი ხმა. ის ნელა შემობრუნდა, გრუოდისს პისტოლეტი ხელში ეჭირა, თითქოს ფიქრობდა, თუ რა ექნა. იარაღი დრონგოსაკენ იყო დამიზნებული, არა, სიძულვილისათვის გრუოდისს ძალა აღარ შესწევდა. მან სწრაფად მიიდო პისტოლეტი საფეთქელთან და სწორედ ამ დროს დრონგომ იარაღი ხელიდან გააგდებინა. გრუოდისმა გაოცებით შეხედა მას.

— რატომ? — იკითხა მან.

— ეს ყველაზე ადვილია, რის გაკეთებაც შეიძლება, — გულწრფელად უპასუხა დრონგომ.

მაშინ გრუოდისი უხმოდ ატირდა.

— ყველაფერი, — თქვა მან, — მე ყველაფერი მომისპეს. სამშობლოც, ქვეყანაც, სამსახურიც, ოჯახიც, საყვარელი ქალიც. აღარაფერი დამრჩა, აღარაფერი.

— შენ ლიტვაში დაბრუნება ხომ შეგიძლია, — უთხრა დრონგომ. გრუოდისმა თავი გააქნია.

— ისინი მე უკან არ შემიშვებენ, — რაღაც საცოდავი ბავშვური ღიმილით უპასუხა მან, — ამბობენ, რომ მათ ყოფილი ჩეკისტი არ სჭირდებათ. მე ჩემი ქვეყანა აღარ მაქვს. მე ყველგან უცხო ვარ — მოსკოვშიც, ვილნიუსშიც.

დრონგოს აღარაფერი უთქვამს. მხოლოდ ადგა და ორივე მძიმე ჩემოდანი აიღო. შემდეგ, ოდნავ რომ ჩაფიქრდა, ჩემოდანი გახსნა, იქიდან ფულის დასტა ამოიღო.

— აქ ასი ათასია, — უთხრა მან.

— სამუდამოდ აქ მინდა დარჩენა.

დრონგომ ჩემოდნები აიღო და უკვე რომ აღარ შემობრუნებულა, გზის მხარეს წავიდა. მან კარგა მანძილი გაიარა, როცა გრუოდისმა, მას რომ გასცქეროდა, მიაძახა:

— წყეულიმც იყავ!

დრონგომ თავი მოაბრუნა, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ხმა არ ამოუღია, გზა განაგრძო. გრუოდისმა საიდან იცოდა, რომ ისიც ისევე დაწყევლილი იყო, როგორც თვით.

ნახევარი საათის შემდეგ ის ავტობუსამდე მივიდა, რომელიც თავრიზში მიდიოდა. კიდევ ხუთი საათის შემდეგ ის ფულით სავსე ორი ჩემოდნით თავრიზიდან ბაქოში ჩაფრინდა. ფული დანიშნულებისამებრ ჩააბარა, რითაც ძალზე გააოცა ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნული ბანკის თანამშრომლები, ასეთ პატიოსნებას მიჩვეულნი რომ არ იყვნენ.

ეპილოგი

ისინი ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ იმ უზარმაზარი შენობის დიდ კაბინეტში, ადრე ცენტრალური კომიტეტი რომ ერქვა, ახლა კი პრეზიდენტის აპარატის შენობად რომ იწოდებოდა. განგების გაუგებარი კანონით ეს შენობა რამდენიმე წელიწადს შენდებოდა ჰეიდარ ალიევის მმართველობის დროს. მაგრამ მოსკოვში მისი გადასვლის შემდეგ აქ პირველად მისი მემკვიდრე ჩასახლდა. თვით ალიევს კი, ბედმა როგორც ჩანს, სხვა კაბინეტები მოუმზადა. მაგრამ ყველაფერი შემობრუნდა და ახლა ის ამ დიდ კაბინეტში იჯდა, ფანჯრებით ზღვას რომ გადაჰყურებდა, და თვალებში შესცქეროდა მის პირდაპირ მჯდომ დრონგოს.

ალიევი მხოლოდ სუკ-ის ხელმძღვანელი კი არ იყო, როგორც ანდროპოვი, პარტიული ორგანოებიდან გადაყვანილი. იგი იყო სუკ-ის პროფესიონალი თანამშრომელი, ამ სისტემაში რომ გაიზარდა, რესპუბლიკის სუკ-ის ხელმძღვანელობამდე ოც წელზე მეტი ხნის მუშაობის განმავლობაში. მას ესმოდა, თუ სახელდობრ, რა მოხდა გუშინ და რა როლი მიუძღოდა მასში მის წინ მჯდარ ადამიანს. მას შეგნებული ჰქონდა მთელი ოპერაციის მასშტაბები, გვიან ღამით რომ დამთავრდა.

დრონგო ასეთი მასშტაბის პიროვნებებს იშვიათად ხვდებოდა და ახლა რაღაცნაირად მოღუშული იჯდა. თითქოს რაღაც ხრიკებს ელისო.

— თქვენი სამუშაო ურიგოდ არ შეგისრულებიათ, — ქებაზე ძალზე ძუნწი, პრეზიდენტის ბაგეთაგან, ეს პროფესიონალის უდიდეს აღიარებად გაისმა.

— შეგვეძლო ჩვენთან სამუშაო შემოგვეთავაზებინა. მე მითხრეს, რომ თქვენ საკმაოდ სერიოზული სპეციალისტი ბრძანდებით. ჩვენ გვჭირდება ასეთი პროფესიონალები. დიდი ხანია, გვინდა დაზვერვის გამოყოფა ეროვნული უშიშროების სამინისტროდან, დამოუკიდებელი სტრუქტურის შექმნა.

— დიდი ხანია, პენსიაზე ვარ, — თავს ამის თქმის უფლება მისცა დრონგომ, — მაგრამ მაინც მადლობელი ვარ ამ სიტყვებისათვის.

— თქვენ რაიმე თხოვნა ან სურვილი ხომ არა გაქვთ? — ჰკითხა პრეზიდენტმა.

დრონგომ მას თვალებში შეხედა. ყოველი ადამიანი როდი გაბედავდა პრეზიდენტის მონაცრისფრო-მოცისფრო ფოლადისებურ თვალებში შეხედვას. ყველა როდი უძლებდა მის გამოხედვას.

— ერთხელ კიდევ გმადლობთ. არაფერი მჭირდება. მხოლოდ ჩემი ვალი შევასრულე.

— ვალი? — ინტერესით იკითხა პრეზიდენტმა, — ვის წინაშე? თქვენ ხომ რუსეთის მოქალაქე არა ხართ.

— ჩემი სინდისის წინაშე. მე ჩემს თავს მუდამ ერთ კითხვას ვაძლევდი. თუ ნებას დამრთავთ, თქვენც შეგეკითხებით.

— რა შეკითხვაა?

— მე მუდამ ვფიქრობდი, რა მოუვიდოდა ამ რესპუბლიკასა და ამ ხალხს, ეს თავდასხმა რომ განხორციელებულიყო? სწორედ ამასვე ვფიქრობდი საქართველოზეც. მაპატიეთ, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ მიმიხვდით.

ამჯერად პრეზიდენტის მზერას მან ვერ გაუძლო და თვალი აარიდა.

— როდის მიემგზავრებით რესპუბლიკიდან? — ცივად ჰკითხა პრეზიდენტმა.

— ხვალ, დილით.

— დღეს, საღამოს, — რომ ვერ შეედავებოდნენ, ისეთი ტონით უთხრა კაბინეტის პატრონმა, — ეს თქვენს პირად ინტერესებშიცაა.

— დღესვე, — დაეთანხმა დრონგო, სკამიდან რომ წამოდგა.

— ნახვამდის, — უთხრა პრეზიდენტმა, თითქოს მის მზერაში ცნობისმოყვარეობამ გაიელვაო.

— ნახვამდის, — დრონგო კარისაკენ წავიდა. და, უკვე რომ გადიოდა, გამოიხედა. მოასწრო დაენახა, მთელი ღამის უძინარი ხანდაზმული პრეზიდენტის ჩაწითლებული თვალების არცთუ დაღლილი მზერა, თანაც მასში შეამჩნია, ყველა იმის გაგება, რაც ერთმანეთისთვის არ უთქვამთ. ანდა, იქნებ, მას ეს მოეჩვენა.



თარგმნა
ვალიკო სიმონიშვილმა.

დასასრული. დასაწყისი
იხ. „სრ“ № 59-63, 65-69, 71-81, 83-85, 87-94.

მეფობს, მაგრამ ქვეყანას არ მართავს

21 აპრილს ინგლისის დედოფალს ელისაბედ მეორეს 75 წელი შეუსრულდა.

ტახტზე დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის დედოფალი ელისაბედ მეორე აიყვანა შემთხვევამ და არა კანონზომიერებამ. როდესაც 1926

წლის 21 აპრილს ალბერტ უელსწულს (რომელიც მეფე გეორგ V-ის უმცროსი შვილი იყო და ტახტის მემკვიდრედ არ ითვლებოდა) პირველი ქალიშვილი შეეძინა, ვერავინ იფიქრებდა, რომ პატარა ლილიბეტს — ელისაბედ ალექსანდრა მერი ვინძორს — მომავალში „თქვენი სამეფო უდიდებულესობით“ მიმართავდნენ.

მაგრამ გვირგვინოსანთა ცხოვრებაშიც ხდება ხოლმე ზოგჯერ მკვეთრი ვირაჟები: 1936 წელს მეფე გეორგ V-ის სიკვდილის შემდეგ ახალგაზრდა მეფემ ედუარდ VIII ტახტზე უარი თქვა, რადგან გადაწყვიტა, ცოლად შეერთო „ორნაქმარევი“ ამერიკელი უოლის სიმპსონი, და ადგილი დაუთმო თავის უმცროს ძმას.

ამ მოვლენამ ძირფესვიანად შეუცვალა ცხოვრება არა მარტო მორცხვ და სნეულ ალბერტ უელსწულს, რომელიც ტახტზე ავიდა როგორც გეორგ VI, არამედ 10 წლის პრინცესას ელისაბედსაც, რომელიც აქამდე თავის უმცროს დასთან მარგარეტთან ერთად შინაურ განათლებას იღებდა და არც კი ფიქრობდა ტახტის მემკვიდრეობაზე.

ახლა ელისაბედმა ხელოვნების ისტორიის, მუსიკის და ცხენოსნობის გარდა, დაიწყო კონსტიტუციის ისტორიისა და იურისპრუდენციის შესწავლა, აგრეთვე, გადადგა პირველი საჯარო ნაბიჯები, 14 წლისამ რადიოთი მიმართა ბრიტანეთის თანამეგობრობის ყველა ბავშვს ბი-ბი-სის საყმაწვილო გადაცემაში. 16 წლისა კი დაინიშნა გრენადერთა პოლკის შეფად.

პრინცესა სულ 13 წლისა იყო, როდესაც გაიცნო თავისი გარე ბიძაშვილი, სამეფო სამხედრო-საზღვაო ძალების 18 წლის ლეიტენანტი ფილიპე მაუნტბატენი, რომელიც ბერძენი უელსწულის ენდრიუსა და დედოფალ ვიქტორიას შვილიშვილის შვილი იყო. პრინცესას შეუყვარდა ახალგაზრდა ოფიცერი, რომელიც მათი გაცნობიდან ცოტა ხნის შემდეგ ომში წავიდა. მაგრამ დამთავრდა ომი და ამ ორი წლის შემდეგ ელისაბედი და ფილიპე დაქორწინდნენ. ნეფე-პატარძალმა უამრავი საჩუქარი მიიღეს მსოფლიოს ყველა კუთხიდან, რომელთა შორის იყო ჯიშიანი ბედაურები, თვალ-მარგალიტი, ანტიკვარიატი, სუფრა, რომელიც თვით მაჰატმა განდის მოექსოვა, და, რაც განსაკუთრებით გულის ამაჩუყებელი იყო, უბრალო მოქალაქეების მიერ გამოგზავნილი ნეილონის წინდა პატარძლისათვის — საშინელი დეფიციტი იმ ხანაში.

1953 წელს ბრძენი და სამართლიანი მონარქის, გეორგ მეფის სიკვდილმა ელისაბედსა და ფილიპეს კენიაში ჩაუსწრო და ბოლო მოუღო მათს პრივატულ დროსტარებას.

იმ მომენტისათვის მომავალ დედოფალს ორი შვილი ჰყავდა: ტახტის მემკვიდრე უელსწული ჩარლზი, რომელიც 1948 წელს დაიბადა, და პრინცესა ანა, რომელიც ორი წლით უფრო გვიან გაჩნდა. უელსწულები ენდრიუ (1960) და ედუარდი (1964) უკვე გამეფებულ მონარქს გაუჩნდა — ასეთი რამ ქვეყანაში არ ყოფილა ვიქტორია დედოფლის დროიდან.

ელისაბედ მეორეს მეფობის მრავალი წლის მანძილზე ბრიტანეთის მძლავრი იმპერია თანდათან საკუთრივ ბრიტანეთის კუნძულების ზომამდე დაპატარავდა, რასაც არ შეიძლებოდა არ მოეხდინა გავლენა მონარქის როლის ახლებურ გაგებასა და მთლიანად ერის მსოფლშეგრძნებაზე. როგორც ბუკინჰემის სასახლის ოფიციალურ საიტშია ნათქვამი: „დედოფალი განასახიერებს მემკვიდრეობითობას, თაობათა განუყრელობას, მაშინ, როდესაც სამეფო ოჯახის სხვა წევრთა სოციალური როლი ეფუძნება სოლიდარობას საზოგადოების ყველა ფენასთან, მათ შორის უმცირესობებთან“.

ცნობილია, რომ დედოფალი არის შვიდასამდე სხვადასხვა ორგანიზაციის პატრონი ან პრეზიდენტი და ყოველწლიურად ხვდება ათასობით ადამიანს. როგორც სახელმწიფოს მეთაურს, ბუნებრივია, ელისაბედ მეორეს მუდმივი კონტაქტი აქვს პრემიერ-მინისტრთან და კაბინეტის სხვა წევრებთან.

დედოფალი და ტახტის მემკვიდრე არ მონაწილეობენ არც ბრიტანული და არც ევროპული პარლამენტის არჩევნებში, ვინაიდან, უნდა შეინარჩუნონ პოლიტიკური ნეიტრალიტეტი. დედა-დედოფალს და პრინცესა მარგარეტს შეუძლიათ მისცენ ხმა, მაგრამ დედოფლის სიახლოვის გამო ასევე არ გამოხატავენ თავიანთ პოლიტიკურ სიმპათიებს.

ყველაფერი, რაც დედოფლის პირად ჩვეულებებზეა ცნობილი, მოწმობს მათს მუდმივობას: ელისაბედის კაბები და ხელჩანთები უცვლელია უკანასკნელი სამი ათწლეულის მანძილზე. დედოფალს ჰყავს კორგის დეკორატიული ჯიშის ოთხი ძაღლი, რომლებიც პრინცესასთვის 18 წლის ასაკში ნაჩუქარი ძუკნის სიუხანის შთამომავალნი არიან. დედოფალი ოთხი წლიდან არის გატაცებული ცხენებით და ითვლება ექსპერტად არა მარტო მათს მოშენებაში, არამედ ჯირითშიც, რომელსაც მისი უდიდებულესობა ყოველწლიურად ესწრება.

დედოფალს უყვარს ცხენით სიარული სასახლის პარკებში; სხვაგან იგი ავტომობილებით დადის, რისთვისაც სამეფო გარაჟში უდგას ხუთი „როლს-როისი“ და სამი „დაიმლერი“, რომლებსაც არა აქვთ სარეგისტრაციო ნომრები; კერძო მოგზაურობისათვის კი დედოფალი სარგებლობს „იაგუარით“ ან „ვოსქჰოლით“.

მისი უდიდებულესობის პირად საკუთრებაშია ორი სამეფო რეზიდენცია — ბალმორალის (შოტლანდია) და სანდრინჰემისა (ინგლისი), აგრეთვე საჯინიბო და ცხენსაშენი. გარდა ამისა, ხუთი სასახლე — ბუკინჰემის (დედოფლის ოფიციალური რეზიდენცია), ვინძორის, სენტ-ჯეიმსის (პრინც ჩარლზის რეზიდენცია), კენსინგტონის (ყოფილი პრინცესა დაიანას რეზიდენცია) და კლარენს-ჰაუსი (დედა-დედოფლის რეზიდენცია), რომლებითაც სარგებლობს სამეფო ოჯახის ცამეტი აქტიური წევრი. ამაში მონარქიის კრიტიკოსები ხედავენ მეტისმეტი ფუფუნების ნიშანს, რაც, მათი აზრით, არ შეჰფერის ქვეყნის ცხოვრების ახალ სტილს.

როდესაც ვინძორის ციხე-კოშკის 1992 წლის ძლიერი ხანძრის შემდეგ მთავრობამ გამოაცხადა, რომ სამეფო აპარტამენტების აღდგენა ბეგარის გადამხდელთა ხარჯზე დაფინანსდება, ვერ ვიტყვით, რომ ქვეშევრდომთა გულები თანაგრძნობით აღივსო. პირიქით, ხალხი გაოცებული იყო: რატომ უნდა გაიღონ მათ სასახლის აღსადგენად თავიანთი სადაზღვევო შესატანი, ხოლო დედოფალმა — არა.

როგორც დედოფლის ბიოგრაფი ბენ პიმლოტი წერდა, ეს იყო ერთი იმ მომენტთაგანი, როდესაც „ინგრევა რეპუტაცია და დგება ჩინმოთნეობის აღსასრული“. მაგრამ კომპრომისი მოიძებნა და ციხე-კოშკის რესტავრაციაზე დახარჯული სახსრების 70 პროცენტი გაღებულ იქნა შემოსავლებიდან, რომლებსაც სახელმწიფო იღებდა ბუკინჰემის სასახლის ფართო საზოგადოებრიობისათვის გაღების შედეგად. მას შემდეგ, დედოფალიც და ტახტის მემკვიდრე უელსწულიც ხაზინაში იხდიან გადასახადს, რისგანაც ადრე თავისუფალნი იყვნენ.

ბრიტანეთის დედოფალი ითვლება ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ ქალად მთელ დედამიწის ზურგზე. ამასთან, უნდა ითქვას, რომ ხშირად ელისაბედ მეორის პირად ქონებას ძალზე აზვიადებენ, ვინაიდან შეცდომით თვლიან მეფის სასახლეებს, ხელოვნების ნაწარმოებთა კოლექციასა და საგვარეულო თვალ-მარგალიტს მონარქის საკუთრებად. სინამდვილეში, მთელი ეს სიმდიდრე გვირგვინს ეკუთვნის და სავალდებულო წესით გადაეცემა ტახტის მემკვიდრეს.

დრონი იცვლება და უკანასკნელ ხანს დედოფალს თანდათან სულ უფრო მეტად აწუხებს საკითხები, რომლებიც კარგად არის ცნობილი უბრალო მოკვდავთათვის: როგორ შეამციროს ხარჯები ისე, რომ არ დათმოს ძველი ჩვეულებები, წერს დასასრულ კატერინა არხაროვა, ბი-ბი-სის ლონდონელი კორესპონდენტი.

საინფორმაციო მოზაიკა

BBC, CNN, საქინფორმი.

აშშ მზადაა, განაახლოს სათვალთვალო ფრენა

ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალები შეუდგნენ მოსამზადებელ სასწავლო ფრენას იაპონიის ბაზებიდან იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობაა, სამეთვალყურეო ფრენა

ჩინეთის სანაპიროს გაყოლებით განახლდება. თავდაცვის სამინისტრო აცხადებს, რომ ოკინავის კუნძულზე ბაზირებული F-15 ავიაგამანადგურებლები სრულ მზადყოფნაში არიან და შეუძლიათ, გაჰყვნენ მზვერავ თვითმფრინავებს.

ჯილდო — მინისტრის დასაჭერად

პერუს მთავრობამ გამოაცხადა ჯილდო — ხუთი მილიონი დოლარი იმათთვის, ვინც შეატყობინებს, თუ სად იმყოფება უშიშროების ეროვნული სამსახურის ყოფილი შეფი ვლადიმირო მონტესინოსი. მინისტრი გასული წლის ოქტომბერში გაიქცა და ბრალად ედება კორუფციული ქსელის შექმნა იმ ათი წლის მანძილზე, რაც ყოფილი პრეზიდენტის ფუჯიმორის უახლოესი მრჩეველი იყო.

მკვლელობათა სერია არჩევნების წინ

ფილიპინში მოკლეს კიდევ ერთი კანდიდატი, რომელსაც მონაწილეობა უნდა მიეღო მაისის ადგილობრივ არჩევნებში. ფლორენციო მუნიოსი, ქალაქის მერი, პისტოლეტებით დაცხრილა ქუჩაში სამმა უცნობმა. ეს უკვე მეჩვიდმეტე მსხვერპლია პოლიტიკური მკვლელობებისა ახლანდელი კამპანიის დროს. პოლიციის აზრით, მკვლელობა მოიმოქმედა კომუნისტურმა მოძრაობამ — „ახალი სახალხო არმია“.

დააპატიმრეს საბავშვო პორნოს გამავრცელებლები

ესპანეთის პოლიცია იუწყება, რომ სპეციალური ოპერაციის შედეგად შეძლო, გამოევლინა ინტერნეტში საბავშვო პორნოგრაფიის გამავრცელებელთა დანაშაულებრივი ქსელი. პოლიციის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ხუან კოტინოს თქმით, ქსელი 21 სახელმწიფოში ფუნქციონირებდა ყველა კონტინენტზე, აფრიკის გარდა, და დასძინა, რომ ეჭვმიტანილნი ესპანეთში შეიპყრეს. ვარაუდობენ, რომ მათ შორის არის დამნაშავეთა ჯგუფის ლიდერიც.

დააპატიმრეს ცოცხალი საქონლით მოვაჭრენი

იტალიელმა პოლიციელებმა 100-ზე მეტი კაცი დააპატიმრეს ოპერაციის დროს, რომელიც მიზნად ისახავდა იტალიის მაფიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ბანდების მიერ შექმნილი სიძვის საერთაშორისო ქსელის განადგურებას.

ეჭვმიტანილებს, რომელთა უმრავლესობას ალბანელები შეადგენენ, ბრალად ედებათ, რომ ისინი მეძავეობას აიძულებდნენ ასობით სამხრეთამერიკელ, ალბანელ და აღმოსავლეთევროპელ გოგონას.

ბრალდებათა შორის, რომლებსაც დაპატიმრებულებს წაუყენებენ, არის მკვლელობები, ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებებში მონაწილეობა, ნარკოტიკებისა და ადამიანების უკანონო ტრანსპორტირება და გამოძალვა.

ზოგიერთ ქალს ნარკოტიკებით აბრუებდნენ და აუპატიურებდნენ, სხვებს ხოცავდნენ იმისათვის, რომ უარს ამბობდნენ სექს-მონობაზე. როგორც იტალიის პრესა იუწყება, ქალები არალეგალურად ჩამოჰყავდათ ზღვით და ასეთი მოგზაურობის დროს გოგონები ხშირად განიცდიდნენ ძალადობას, შემდეგ კი მათ აიძულებდნენ, მეძავეებად ემუშავათ ქუჩებსა და ღამის კლუბებში.

ხელისუფალნი ვარაუდობენ, რომ ამ ქსელის ყოველთვიური ბრუნვა მილიონ დოლარს აღემატება. ორგანიზაცია მთელ იტალიას მოდებული ქსელის უჯრედებად იყო დაყოფილი და მოქმედებდა სქემით, რომელიც იტალიის მაფიის სისტემას წააგავს.

სულ, როგორც ვარაუდობენ, იტალიის ქალაქების ქუჩებში მუშაობს 40 ათასზე მეტი უცხოელი მეძავი და მათ უმრავლესობას ალბანელი განგსტერები აკონტროლებენ.

რუსეთი ორჯერ დაგმეს

პარასკევს ევროკავშირის თავმჯდომარე შვედეთმა გაავრცელა განცხადება მთელი ევროპის კავშირის სახელით რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან დაკავშირებით შექმნილი სიტუაციის გამო. რუსეთი მწვავედ გააკრიტიკეს.

„სიტყვის თავისუფლება და პლურალიზმი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში — ეს არის დიდმნიშვნელოვანი პრინციპები, რომლებსაც ემყარება რუსეთის და ევროკავშირის ურთიერთობა. ევროპის კავშირს აფიქრებს ბოლოდროინდელი ამბები, რომელიც რუსეთში მოხდა, მან უკვე გამოთქვა თავისი პოზიცია დამოუკიდებელი НТВ ტელეკომპანიის „გაზპრომის“ ხელში გადასვლის გამო“, — ნათქვამია განცხადებაში.

დოკუმენტში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ევროკავშირი „არ ისწრაფვის, ჩაერიოს რუსეთის საშინაო საქმეებში, მაგრამ საჭიროდ მიაჩნია, მიუთითოს, რომ НТВ-ს სიტუაციას შეუძლია, შეცვალოს ვითარება და პოლიტიკური შედეგები მოუტანოს ქვეყანას“.

ევროკავშირი ხაზს უსვამს, რომ დამოუკიდებელი ტელეარხის გადასვლა სახელმწიფოს ხელში, შეიძლება გახდეს პრეცედენტი, რომლის შემდეგაც მთელ რუსეთში სიტყვის თავისუფლება შესაძლოა შეიზღუდოს.

პარასკევს ინტერნეტგამოცემა **Lenta. Ru** იუწყებოდა, რომ ჟურნალი „იტოგი“ და გაზეთი „სეგოდნია“, რომლებიც „მედია-მოსტ“ ჰოლდინგს ეკუთვნოდა, მოელაპარაკნენ **Lenta. Ru**-ს ხელმძღვანელობას, რომ მათ განკარგულებაში გადაიცემა სადომენე სახელები, აგრეთვე, ჰოსტინგი, რომლითაც ისინი შეძლებენ, ისარგებლონ დამოუკიდებელი ინტერნეტ-გამოცემების შესაქმნელად.

იმავდროულად რუსეთი აღმოჩნდა გაერთიანებული ერების კრიტიკის ქარცეცხლში სამხედრო ძალის „მეტისმეტი“ გამოყენებისათვის ჩეჩნეთში. შესაბამისი რეზოლუცია, რომელიც ევროპის კავშირმა მოამზადა, უკვე მიიღო გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიამ.

რუსეთის მოქმედებას ჩეჩნეთში უკვე მეორედ გმობს ადამიანის უფლებათა კომისია. გაერომ მოუწოდა საერთაშორისო გაერთიანებას დაიწყოს რუსეთის არმიის მიერ ჩეჩნეთში ადამიანის უფლებათა დარღვევების გამოძიება.

კენჭისყრის წინ, რუსეთის წარმომადგენელმა რეზოლუციას „მიუღებელი“ უწოდა. მისი განცხადებით, რუსეთს არ მიაჩნია რეზოლუციის ტექსტი შესრულებისათვის სავალდებულოდ.

ადამიანის უფლებათა კომისიაში შედიან 53 სახელმწიფოს წარმომადგენლები. კენჭისყრისას 22 ქვეყანამ მოიწონა რეზოლუცია, 19-მა თავი შეიკავა და 12 წინააღმდეგი იყო.

ამასობაში კი პარასკევსვე კანადის **Fraser** ინსტიტუტმა გამოაქვეყნა მოხსენება, რომელიც ეძღვნება ეკონომიკური თავისუფლების ხარისხს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. 123 ქვეყნის სიაში რუსეთი 117-ე ადგილზეა. საგულისხმოა, რომ ყველაზე უარესად რუსეთს იურისპრუდენციასა და ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სფეროში აქვს საქმე. რუსეთის გვერდით არიან უკრაინა, ინდონეზია და ლათინური ამერიკის შვიდი ქვეყანა.

მოხსენების შედგენისას **Fraser** ინსტიტუტი ამა თუ იმ ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ თავისუფლებას განსაზღვრავს იმ 21 პარამეტრის მიხედვით, რომელთა შორის არის ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ხარისხი, ბაზრების ლიბერალიზაცია და კერძო საკუთრების დაცვა.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით გვერდს უძღვება
არჩილ მანჯგალაძე.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 95. კვირა. 22 აპრილი. 2001 წელი.

22 აპრილი გურამ ფანჯიკიძის დაბადების დღეა

გურამ ფანჯიკიძე

„თვალი პატიოსანი“

ერთი თავი გახმაურებული რომანის პირველი ვარიანტიდან

თამაზ იაშვილი ტელეფონის უსიამო ხმამ გამოაღვიძა. პირველად საათს შეხედა, ასე უთენია ვინ მირეკავსო. გაოცდა, თერთმეტი სრულდებოდა. ფიცხლად წამოხტა და ტელეფონის ყურმილს დასწვდა.

ოთარ ნიჟარაძე ურეკავდა.

გაოგნებული ერთ ადგილზე გაქვავდა. ყურმილი ხელში ეჭირა, თუმცა კარგა ხანია წყვეტილი ზუმერი ესმოდა. შემდეგ ბევრს ფიქრობდა იმ საშინელ წინადადებაზე, ოთარმა რომ უთხრა, ფიქრობდა იმ დღეს, მეორე დღეს, ათი დღის შემდეგაც. ვერაფრით ვერ აღადგინა იმ პირველი წამის განცდა, ვაჟა ლაღიძის დაღუპვის ამბავმა რომ აღძრა მასში. ერთი კი კარგად ახსოვს: ფიზიკური ტკივილი უფრო იგრძნო, ვიდრე სულიერი, მაგრამ იმ ტკივილის აღწერაც კი არ შეეძლო. აღარ ახსოვდა, როგორი იყო. თუმცა ერთი კი ახსოვდა, რაღაც უცნაურმა ნაკადმა თავიდან ფეხებამდე დაურა. თითქოს თავში წყალმა გაატანა და ბოლომდე გააღწია.

„ვაჟა ლაღიძე დაიღუპა“, — თამაზმა ყურმილი დადო და ნელნელა წავიდა ლოგინისაკენ. აღარ დაწოლილა, სათვალე გაიკეთა და ლოგინის კიდეზე ჩამოჯდა.

„როგორ დაიღუპა? სად დაიღუპა?“ — შემოესია ერთბაშად ათასი კითხვა.

სასწრაფოდ ჩაიცვა და საავადმყოფოში გავარდა. ოთარმა უთხრა, პირველი საავადმყოფოს მორგთან მოდიო.

„იქნებ არ დაღუპულა, იქნებ გადარჩა და ოთარმა ზუსტად არ იცის მისი ამბავი? იქნებ გადარჩა, იქნებ გადარჩა...“

წეღან თავის თავზე გული მოსდიოდა, ოთარს რატომ დაწვრილებით არ გამოვკითხე ყველაფერიო. ახლა კი უხაროდა, რომ დანამდვილებით არაფერი იცოდა, თითქოს ამით რაღაც იმედი მოიგოვა. არც ის იცოდა, ვაჟა სად დაიღუპა ან როგორ დაიღუპა. ერთი კი სჯეროდა, ხიფათი მანქანასთან იყო დაკავშირებული.

„ალბათ, მანქანა დააჯახა რამეს, ან იქნებ გადაიჩეხა კიდეც“.

თამაზ იაშვილი საავადმყოფოს უზარმაზარ რკინის კარს მიუახლოვდა. ისეთი საშინელი ფერი ედო, დარაჯი მიხვდა, სადაც მიდიოდა და უსიტყვოდ გაუღო კარი.

საავადმყოფოს დიდი ეზო თითქმის სირბილით გადაჭრა. მორგს კითხვა-კითხვით მიაკვლია. შორიდანვე დაინახა დაღონებული, ფრთებჩამოყრილი ბიჭები. თვალით ოთარ ნიჟარაძე მონახა და პირდაპირ მასთან მივიდა. ოთარს გრძელი ხელები ჯიბეებში ჰქონდა ჩაწყობილი. ფეხები გაეჩაჩხა. ენით სიგარეტს აწვალებდა. ტუჩის ხან ერთ მხარეს მოიქცევდა, ხან მეორე მხარეს. გარეგნულად მშვიდად გამოიყურებოდა. ძალიან მშვიდად, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

თამაზი მიხვდა, იმ იმედისაგან, გზაში რომ ასე სასოებით ებღაუჭებოდა, ნასახიც აღარ დარჩა.

— დაიღუპა? — ჰკითხა მეგობარს.

ოთარმა ხელი ჩაიქნია.

— სად, როგორ?

ოთარმა მწარედ გაიცინა.

— თავის სახლის წინ. გამოვიდა თუ არა, ავტობუსს შეასკდა.

— იმ წუთში მოკვდა?

— ალბათ. სხვანაირად არც კი შეიძლებოდა. ისეა დალეწილი მანქანა, ვეღარც იცნობ.

— ვინ იცის, რამდენი რამის გაფიქრება მოასწრო იმ ერთ წამშიც კი, თუ მართლა ერთ წამში გათავდა, — ჩაერია საუბარში ვიღაცა ბიჭი. თამაზი მას არ იცნობდა.

— მაინც რატომ არ დაუყვირე, ამას, ალბათ, სიკვდილამდე ვერ მოვინელებ! — უკვე მერამდენედ ამბობდა ორმოციოდე წლის დაბალი, შეჭაღარავებული კაცი. იგი ჭაღარის მიუხედავად, საკმაოდ ჭაბუკურად გამოიყურებოდა.

თამაზმა ისიც ვერ იცნო. მერე თანდათან საუბრიდან დაასკვნა, რომ ვაჟა ლაღიძის მეზობელი ყოფილა. იგი ყოველ ახალმოსულს უყვებოდა, ვაჟას როგორ გასძახა, დილით, სამსახურში წასვლის წინ, — ვაჟა, ერთ წუთს მომიცადე, მეც მოვდივარო. ვაჟას მისი ძახილი არ გაუგონია. ეზოდან პირდაპირ ჭავჭავაძის პროსპექტზე გასულა და საკუთარი თვალით დაუნახავს,ავტობუსს როგორ გადაუვლია „მოსკვიჩისათვის“. „გადაუარა“ — მისი სიტყვა იყო. ამ ამბავს ისე არ მოყვებოდა, რომ ეს სიტყვა არ ეთქვა, ამ სიტყვით თითქოს უფრო ზუსტად ხატავდა ვაჟას დაღუპვის სურათს. უფრო სწორად, იგი მაგნიტოფონივით თითქმის უცვლელად იმეორებდა ერთი და იგივეს. მერე აუცილებლად დასძენდა გულწრფელი სინანულით, — ჩემი ძახილი რომ გაეგონა და ერთი წამით შეჩერებულიყო, იმ ავტობუსს აღარ შეეჯახებოდაო.

ეს „ერთი წამი“ რატომღაც ძალზე აღიზიანებდა და აცოფებდა თამაზ იაშვილს, ვინ იცის, რამდენი ასეთი „ერთი წამი“ გვქონია ცხოვრებაში და არაფერი გაგვიგია, გუმანითაც კი ვერ გვიგრძვნია იმ საფრთხის საშინელება, ამ „ერთმა წამმა“ რომ აგვაცილა. ეს „ერთი წამი“ მხოლოდ მას შემდეგ გამოჩნდება ხოლმე თავისი სიგრძე-სიგანით, როცა უბედურება უკვე მოხდება, როცა ადამიანი დაიღუპება. ამიტომ თამაზს არაფერი ისე უაზროდ არ მიაჩნდა, როგორც იმ „ერთ წამზე“ საუბარი, ადამიანს რომ სასიკვდილო განსაცდელს ააცილებდა.

ბიჭები იდგნენ და ელოდნენ. რატომღაც ყველანი ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით ლაპარაკობდნენ. დრო სწრაფად გადიოდა, ძალიან სწრაფად. უკვე მეოთხე საათი დაიწყო, რაც იქ იდგნენ. დაღლილობა არავის უგრძვნია. ზოგი დაღუპულის ოჯახზე სწუხდა, ზოგი მხოლოდ უმამოდ დარჩენილ შვილებზე. მერე ამას მოსდევდა ყოვლად გაცვეთილი და ბანალური ფილოსოფიური დასკვნა — ბრალი იმისა, ვინც მოკვდა, თორემ ბავშვები კი დაიზრდებიანო.

ბიჭები ვაჟა ლაღიძესთან დაკავშირებულ ათას შემთხვევას და ამბავს იგონებდნენ. მის ჯიუტობას და სიკერპეს ახლა სპორტულ ჟინად ნათლავდნენ. რასაც უწინ თავხედობას ეძახდნენ, ახლა პირდაპირობად, ტემპერამენტად მიიჩნევდნენ. დაღუპულ მეგობარს ყველაფერი აპატიეს. ახლა მის ყველაზე დიდ ნაკლსაც კი გამართლებას უძებნიდნენ და გულწრფელი სიყვარულით ლაპარაკობდნენ.

თავს ყველა ვალდებულად თვლიდა, რაღაც ეპიზოდი მოეგონებინა, რაღაც მივიწყებული და ძველისძველი ამბავი გაეხსენებინა ვაჟა ლაღიძის სახელთან დაკავშირებული.

მთელი ეს ათასი ამბავი და მოგონება საბოლოოდ სულ რამდენიმე სიუჟეტში ჩაეტია. ეტყობოდა, ძირითადად ამ სიუჟეტებმა დაიტიეს დაღუპული მეგობრის პიროვნებისათვის დამახასიათებელი თვისებები.

თამაზს საშინლად მოსწყინდა ერთი და იმავე ამბის ათასჯერ მოსმენა და განზე გადგა. მისი გონება ჯერ კიდევ არ იყო შეგუებული იმ აზრს, რომ ვაჟა ლაღიძე გარდაიცვალა, კი არ გარდაიცვალა, დაიღუპა. დაიღუპა მეგობართა შორის ყველაზე მხიარული, ჯიუტი, ენერგიითა და სიცოცხლით სავსე კაცი.

გვერდზე მოიხედა. ოთარი იქ აღარ იდგა. თითქოს ახლა მიხვდა, ოთარ ნიჟარაძე იყო ერთადერთი კაცი, რომელიც არაფერს არ იგონებდა და საერთოდ არ იღებდა ხმას.

მალე ოთარიც გამოჩნდა, იგი თამაზთან მივიდა და ჩუმად უთხრა, ერთი წუთით გამომყევიო.

თამაზი მონუსხულივით წაჰყვა, თუმცა არც კი ჰქონდა გაცნობიერებული, რა უთხრა მეგობარმა. ისინი აგურით ნაგებ ძველებურ შენობაში შევიდნენ, ფართო დერეფანი გაიარეს, მერე მარჯვნივ გაუხვიეს და უზარმაზარ, მოკაფელებულ ოთახს მიადგნენ.

თამაზმა კინაღამ შეჰყვირა. პირდაპირ, ცემენტის უცნაურ მაგიდაზე ვაჟა ლაღიძე იწვა. იგი თავისი დიდი, ცისფერი თვალებით თითქოს თამაზს მისჩერებოდა. ერთ ექიმს ვაჟას თავქვეშ ხელი ამოედო და სისხლიან საფეთქელს ბამბით უწმენდავდა. ექიმის მკლავზე თავი ინძრეოდა. ლამაზი, ქერა გრძელი თმაც ირხეოდა, ლოყებს ჯერ კიდევ შერჩენოდა ბუნებრივი, ცოცხალი ფერი და კაცი ერთბაშად ვერ იფიქრებდა, რომ ეს მშვენიერი ჭაბუკი მკვდარი იყო. თამაზს ეგონა, ვაჟა სადაცაა მისებურად დაიყვირებს — ბიჭებო, ერთი წუთიც და მოვედივარო.

მაგრამ არა, ვაჟა ლაღიძე უკვე მკვდარი იყო. შეუგუებელი აზრი ნელ-ნელა იქცა მესაგუებელ ჭეშმარიტებად. მეორე ექიმი დინჯად აკეთებდა იმას, რასაც მედიცინის ენაზე გვამის დამუშავებას ეძახიან. თამაზმა უნებურად ოთარს შეხედა. ოთარ ნიჟარაძე, ჩვეულებისამებრ, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი იდგა და დაღუპული მეგობრის გვამს დაკვირვებით მისჩერებოდა. ბაგეებზე ოდნავ შესამჩნევი ირონიული ღიმილიც კი დასთამაშებდა.

თამაზი ყველაფერზე უფრო ერთმა ამბავმა შეაძრწუნა. არც მასზე და არც ოთარზე მეგობრის გვამმა არავითარი გავლენა არ მოახდინა. ისინი ორთავენი საოცრად მშვიდად იყვნენ. გაცილებით უფრო მშვიდად, ვიდრე ეზოში, როცა ჯერ კიდევ სადღაც გულის სიღრმეში დაუჯერებელი ეჩვენებოდათ ვაჟა ლაღიძის სიკვდილი.

თამაზმა მორგი მოათვალიერა, იქ კიდევ ორი მკვდარი ესვენა. როგორც შემდეგ გაიგო, ერთი მუნჯი ყოფილა, ტრამვაის გაუტანია, მეორე კი საკუთარ მანქანაში მოუკლავთ, რატომღაც ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მკვლელს არაფრისათვის ხელი არ უხლია, არაფერი არ წაუღია.

ექიმებმა შეამჩნიეს კარებში გაჩერებული ჭაბუკები, მაგრამ არაფერი უთქვამთ, ყურადღებაც კი არ მიუქცევიათ.

ოთარ ნიჟარაძე უცებ შემობრუნდა და წავიდა. თამაზიც უკან აედევნა. ორთავენი ეზოში გამოვიდნენ. ოთარს კრინტიც არ დაუძრავს, სად იყო და რა ნახა. ერთი მაღალი ინჟინერი, ვაჟა ლაღიძის ინსტიტუტის მეგობარი, უკვე ყველას ხელმძღვანელობდა, რაღაც საქმეებსა და დავალებებს ანაწილებდა. ოთარს და თამაზს კუბოს შეკვეთა დაევალათ.

— წარმოგიდგენიათ? იქ ორი მკვდარი კიდევ ასვენია! — უთხრა უცებ თამაზმა მაღალ ინჟინერს. უთხრა იმიტომ, რომ ეგონა, რაღაც უნდა ვთქვაო.

— გიკვირთ? — გაიცინა მაღალმა ინჟინერმა. — თბილისი დიდი ქალაქია. დიდ ქალაქში კი არაბუნებრივად ისეთი სიკვდილი გვეჩვენება, როცა ადამიანი თავისი ბუნებრივი სიკვდილით კვდება.

ინჟინერმა ისევ გააგრძელა დავალებების განაწილება. თითქოს მისთვის ეს ტრაგედია კი არ იყო მთავარი, არამედ საქმე, რომელიც მოგვარებას საჭიროებდა.

ოთარი ისევ ჯიბეებში ხელებჩაწყობილი იდგა და ხმას არ იღებდა. თამაზი მიხვდა, ახლა ისინი გაცილებით მშვიდად იყვნენ, ვიდრე დანარჩენები, ჯერ რომ მეგობრის გვამი არ ენახათ და მხოლოდ ის იცოდნენ, რომ იქვე, იმ კედლებს იქით, დაღუპული ვაჟა ლაღიძე იყო.

* * *

მანქანა კუკიის სასაფლაოს ბოლოს აშენებულ საკუბოე სახელოსნოს მიადგა. პირველი, რაც თამაზ იაშვილს ჩაესმა ყურში, ეს იყო შტრაუსის რომელიღაც ვალსი, მუსიკის ხმა სახელოსნოდან გამოდიოდა.

თამაზს ჭირის დღესავით ეზარებოდა სახელოსნოში შესვლა, მაგრამ ოთარისა შერცხვა და მანქანიდან უხალისოდ გადმოვიდა.

სახელოსნოში ერთბაშად უამრავი კუბო მოხვდა თვალში. თამაზმა, ჩვეულებრივ, საოცარი სისწრაფით გადათვალა კუბოები. სულ სამოცდაშვიდი კუბო იყო დამზადებული. ზოგს პატრონის სახელი და გვარი ეწერა, ბევრიც კედელზე აეყუდებინათ.

საცეკვაო მელოდიები სპორტულმა გადაცემამ შეცვალა. ალუმინის დინამიკი უზარმაზარი სახელოსნოს შუა დირეზე იყო მიმაგრებული, ზუსტად ისეთი, ქუჩებში რომ უნახავს. დინამიკი მთელი ხმით ჩაერთოთ.

ოთარი დირექტორის მოსაძებნად გაიქცა. თამაზი მარტო დარჩა.

უცებ ხელოსნებმა ტაში შემოჰკრეს, იქაურობა სიხარულის შეძახილებმა გააყრუა.

— რა მოხდა? — ჰკითხა დაბნეულმა თამაზმა ერთ ხელოსანს.

— ნონამ მოიგო! — უპასუხა მან და მარჯვენა ხელის ცერი მაღლა ასწია.

თამაზ იაშვილი პანაშვიდებზე თვალდახუჭული შედიოდა. მასზე საშინლად მოქმედებდა სადარბაზო შესასვლელში მიყუდებული კუბოს თავსახურავი. დღეს კი აქ, ამ სამოცდაშვიდ კუბოს შორის საოცრად მშვიდად იყო. პირიქით, სახელოსნოში გამეფებულმა სასაცილო, კომიკურმა გარემოებამ ღიმილიც კი მოჰგვარა.

ზუსტად ხუთი წუთის შემდეგ, რაც ისინი სახელოსნოში შევიდნენ, შესვენება დაიწყო. ხელოსნების მცირე ნაწილი სადღაც წავიდა სასადილოდ. უმრავლესობა კი სახელოსნოშივე დარჩა. ხელოსნებმა მაწვნის ბოთლები ხელისგულებით დააგრიალეს, შეანჯღრიეს, მერე კუბოებზე ჩამოსხდნენ და გემრიელად შეუდგნენ ჭამას. ორი ხელოსანი კუბოს გადააჯდა და შაშის თამაში გააჩაღა. ისინი თან პურსა და ძეხვს ჭამდნენ, თან ფიცრებისაგან გამოჭრილ ქვებს ფანერებზე ნახშირით დახატულ დაფაზე დააცურებდნენ.

კუბოები, ისევე როგორც საფლავები, საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ზოგს მუხის გულისგან გათლილი კუბო არგუნა ღმერთმა, ზოგს შავ ქსოვილგადაკრული წიფლისა, ზოგსაც უბრალოდ შეღებილი ნაძვისა. ამას ხომ დიდი მნიშვნელობა აქვს ჭირისუფლებისათვის, მეზობლისათვის, ნათესავისათვის, მტრისა და მოყვარისათვის. ოღონდ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს თვითონ მიცვალებულისათვის.

კუბოების უმრავლესობა სამარქაფო იყო. იგი წინასწარაა დამზადებული ყოველგვარი შეკვეთის გარეშე. ზომად ადამიანის საშუალო სიგრძეს ვარაუდობენ. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, კუბო თუ რამდენიმე სანტიმეტრით იქნება გრძელი მის სამუდამო მფლობელზე. დიახ, ადამიანები დადიან ქუჩაში, სამსახურში, გონებაში აწყობენ გეგმებს, აშენებენ აგარაკებს, ემზადებიან სამოგზაუროდ, ვიღაცას განადგურებით ემუქრებიან, ვიღაცას აშენებას უპირებენ და აზრადაც არ მოსდით, რომ მათი კუბო უკვე გათლილია და კედელზეა აყუდებული, ან ზედ ხელოსნები გადამჯდარან და გემრიელად ილუკმებიან.

ვინ იცის, იქნებ რომელიმე ამ კუბოს პატრონი ახლა რესტორანში ზის, ან სახეალწეწილი ლუდხანაში არყით ამბობს მოკლე სადღეგრძელოს და არც კი იცის, რომ მის კუბოს მხოლოდ შავი ქსოვილის შემოკვრაღა აკლია. მერე ინფარქტი ან ავტოკატასტროფა, სამსახურში მიმავალს მეზობელი ან ნაცნობი დაუძახებს. სასიკვდილოდ განწირული მის ძახილს ვერ გაიგონებს. მერე ან ავტობუსი დაეჯახება, ან მანქანა გაიტანს, ან სადმე გადაიჩეხება. მას რომ ნაცნობის ძახილი გაეგონა და „ერთი წამით“ შეჩერებულიყო, ან სახინკლეში ერთი კათხა ლუდი რომ ზედმეტი დაელია და სარდაფიდან რაღაც „ერთი წამით“ გვიან ამოსულიყო, ან მებუფეტეს ხურდის დაბრუნება „ერთი წამით“ მაინც რომ დაეგვიანებინა, იგი ახლა ცოცხალი იქნებოდა. დიახ, მერე საქმეში ჩაერევა „ერთი წამის“ სასაცილო ფილოსოფია. აქ კი კუბოებს ამზადებენ და ამზადებენ. ამზადებენ დიდი გულმოდგინებით, თანდათან უფრო ხვეწავენ ფორმებსა და ხაზებს. რადიოდინამიკი ყოველდღე ასე ღრიალებს, დროდადრო მრავალჟამიერის ჰანგებიც ეფინება სიკვდილის სამეფოს, სიმღერას, ალბათ, ღვინით აჰყვებიან ხოლმე ხელოსნები და ფიცრებსაც სიმღერის რიტმზე ამალამინებენ.

არსად ისე გამასხრებული არ არის სიკვდილი, როგორც აქ, კუბოების სახელოსნოში. აქ ოჯახების ტრაგედია, სიკვდილის საშინელება დაყვანილია საყოფაცხოვრებო კომბინატის მომსახურებამდე.

თამაზ იაშვილი საზიზღარმა გრძნობამ შეიპყრო, გრძნობამ სიცოცხლის არარაობისა. იგი ზიზღით შეტრიალდა და გარეთ გავიდა. ოთარს აღარ დაელოდა. პირდაპირ მანქანასთან მივიდა და ჩაჯდა. შოფერი იქ არ იყო, ალბათ, ჩრდილს თუ შეაფარა თავი სადმე. მანქანა მზისაგან ისე იყო გახურებული, შიგნით ჯდომა არ შეიძლებოდა, თამაზი ისევ გადმოვიდა. შორიახლოს ხე დაინახა და იქით გაეშურა. როცა ხეს მიუახლოვდა, შეჩერდა, ხესთან ბავშვი დაინახა. ბავშვს ხელში ტირის თოფი ეჭირა და წელში მოხრილი ჩიტს უთვალთვალებდა. თამაზი შედგა, შეეშინდა, ჩიტი არ დაეუფრთხოო. ბავშვის დაძაბულობა მასაც გადაედო. ვერც კი იგრძნო, მზისგულზე იდგა.

— უკვე ერთი საათია, ეგრე უთვალთვალებს! — ჩაესმა თამაზს ყურში ნაცნობი ხრინწიანი, საზიზღარი ხმა. შემობრუნდა, ელდა ეცა, მის გვერდით ჩაბინძურებული დაბალი კაცი იდგა, იმ საშინელ ღამეს რომ შეხვდა. ჩაყვითლებულ-ჩაშავებული მეჩხერი კბილები უსიამოდ მოუჩანდა. თვალები ბოროტად უბრწყინავდა. ფეხებზე დაცვეთილი ბათინკები ეცვა. თამაზს უეცრად ჩაესმა ყურში რკინისნალებიანი ბათინკების თანაბარი ხმა.

„ის არის, ნამდვილად ის არის“! — დაასკვნა თამაზმა.

— მე თქვენ წეღან დაგინახეთ სახელოსნოში. ცოტა ღელავდით კიდეც. სახეზე გატყობდით, დაძაბული იყავით. — თქვა ისევ უცნობმა და საზარლად ჩაიცინა.

— პირიქით, პირიქით, სახელოსნოში უფრო დავმშვიდდი, თვალნათლივ დავრწმუნდი, რომ კაპიკია სიცოცხლის ფასი! — დაბნეულად უთხრა თამაზმა და გული მოუვიდა, რა ენად გაეკრიფეო.

— მამ, თქვენ დარწმუნდით, რომ კაპიკია სიცოცხლის ფასი? — უცნობის თვალებში ბოროტმა ცეცხლმა გაიელვა.

— აბა, ამ პატარა ბიჭს დააკვირდით, ერთი საათია ამ საშინელ სიცხეში ჩიტებს შესცუცქურებს, ელოდება, როდის გამოჩნდებიან. მაგრამ არ იცის, რომ შუადღისას, ამ პაპანაქება სიცხეში აქ ჩიტი არ მოფრინდება. მერე რა, ერთი საათის კიდევ იქნება ჩასაფრებული, სალამომდეც აქ დარჩება, თუ შინ არ წაიყვანეს კინწისკერით. თქვენ გგონიათ, მაგას მიზანში სროლა აინტერესებს? მაშინ ხომ ასანთის კოლოფს დადებდა სამიზნედ და იმდენს ესროდა, რამდენიც გაეხარდებოდა. მაგრამ ის მაინც ჩიტებს სდარაჯობს. ყმაწვილო, სროლას სულ სხვა ფასი და გემო აქვს, როცა მას სიკვდილი მოჰყვება, სიკვდილი!

თამაზს ისევ ნაცნობი გაბზარული სიცილი ჩაესმა ყურში. თითქოს რაღაც ენიშნა. ბიჭუნა ისევ წელში მოხრილი იდგა, თოფი სასროლად ჰქონდა მომარჯვებული და ჩიტის მოფრენას ელოდა.

— თამაზ! — მოესმა უცებ მეგობრის ხმა.

იაშვილი გამოერკვა, მიიხედმოიხედა, უცნობი აღარსად ჩანდა. ოთარ ნიჟარაძე მანქანასთან იდგა და ხელს უქნევდა, ახლა მიხვდა, მზისგულზე რომ იდგა. ცხვირსახოცი ამოიღო, ოფლი ჩამოიწმინდა და მანქანისაკენ წავიდა.

ორშაბათი
23 აპრილი

08.00 ალიონი 09.30 სერიალი „ძილის წინ“ 09.50, 20.50 სერიალი „ქამელეონი“ 10.25 ფორტუნა 11.05 სერიალი „საზღვაო პოლიცია“ 12.00, 15.00, 20.00, 00.30 მოამბე 12.15 მიზანი 12.35 მოსკოვი-თბილისი 13.00 „ნაშუადღევს“ 14.05 პირველად იყო სიტყვა 14.35 საქართველო და გარე სამყარო 15.15 მხ.ფ. „გოგუცი“ 17.00 50-50 17.50 რამპა 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „საზღვაო პოლიცია“ 19.15 მაესტრო 19.25 ჯანმრთელობა 19.40 ბასტი-ბუბუ 21.40 „XX საუკუნე“ 22.00 ჩვენი ფეხბურთი 22.40 ტელესერიალი „ძილის წინ“ 23.50 ვიდეოპატრული 00.00 კომუნიკატორი 00.40 მხ.ფ. „ახალი წელი“

19.00, 22.00 „მოამბე“ მეორე არხზე 19.05 იყო და არა იყო რა 20.00 სერიალი „ფსიქფაქტორი“ 20.30 „სკოლა“ 21.00 დღესასწაულის მინა 21.25 სუპერ-მატჩი 21.55 კინოს ისტორიები 22.05 ჰიტ-პარადი 22.15 მხ.ფ. „რას მალავს სიცრუე“

07.00 მუსიკა 07.30 ტექს ავერი, ფიფქია 08.00 კურიერი. დარდუბალა 08.55 სერიალი „გვადალუპე“ 09.50 ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა 10.40 სერიალი „პაპირუსის თავგადასავალი“ 11.10 სერიალი „იოლი ფული“ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფილმი 18.00, 21.00, 23.00, 01.50 კურიერი 18.30 „პაპირუსის თავგადასავალი“ 18.50 სერიალი „მეზობელი გოგონები„ 19.00 სერიალი „გურმანის მეგზური“ 19.50 სერიალი „იოლი ფული“ 22.00 „ვის უნდა ოცი ათასი“ 00.05 მხ.ფ. „მშვიდობით, პოლიციელო“. მთ. როლში ლინო ვენტურა 02.00 კლასიკა

იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია 08.00, 20.00 ანონსი, 08.20, 20.20 ალსავალი 08.25, 10.25, 12.15, 20.25, 22.05, 00.20 მუსიკა 08.30 მხ.ფ. „მთვლემარე ღრმული“ 10.30 მხ.ფ. „მიცემცე“ 20.30 მხ.ფ. „იუკა“ 22.10 მხ.ფ. „იდეალური შტორმი“

ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 „ვესტი“ 10.15 მხ.ფ. „მთიელი“ 27 სერია 11.30 მუსიკალური კოლაჟი 12.15 ვარსკვლავები გვამცნობენ 13.45, 15.20 ძველი კინო კლასიკა მხ. ფილმი „ტერეზა რაკენი“ 18.30 ზღაპრის ტელედარბაზი 19.00 ექსტრაორდინალური 20.00 მსოფლიო სპორტი 21.30 ტალანტები და თაყვანისმცემლები 22.30, 00.15 მხ.ფ. „საქმე იყო პენკოვოში“

10.00 „ბისი“. მხ.ფ. „დევნა ეშმაკთან ერთად“ 12.15, 20.30, 22.45, 00.50 კლიპ-მიქსი 12.00 მხ. ფილმი 14.00 კონცერტი 18.00 მულტფილმები 19.00 „Co.მედია“ მხ.ფ. „ჰოლივუდის საფარი“ 19.30 მორწმუნის ძლევამოსილი ხმა 20.45 პროგრამა „F“ მხ.ფ. „მისტერ შესანიშნავი“ მთ. როლში ჯეკი ჩანი 23.00 „ბრავო“. მხ.ფ. „ბულვორტი“ მთ. როლში უორენ ბიტი 01.10 „ღამურა“ მხ.ფ. „ჩიხში“ 02.40 ნონ-სტოპი

09.00, 23.35 მუსიკა 09.15 მულტფილმი „თეთრი ეშვი“ 10.05 მხ.ფ. „ინსტინქტი“ 12.00 ინტელექტკლუბი „რა? სად? როდის?“ 13.00 მხ.ფ. „პიანინო“ 15.00, 18.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღის ამბები“ 15.15, 18.40 შემეცნებითი პროგრამა „დისქავერი“ 16.35 მხ.ფ. „ღმერთების საჭურველი“ მთ. როლში ჯეკი ჩანი 18.15 მულტფილმი „ტარზანი - მაიმუნი მბრძანებელი“ 20.25, 23.55 ხუთი წუთი ეკონომიკა 21.00 დოკ. ფილმი „ველური ბუნება“ 21.30 მხ.ფ. „განგსტერები“ მთ. როლში ენდი გარსია 00.15 მხ. ფილმი „მეზობელი ქალი“ მთ. როლში ჟერარ დეპარდიე.

სამშაბათი
24 აპრილი

08.00 ალიონი 09.30 სერიალი „ძილის წინ“ 09.50, 23.50 ვიდეოპატრული 10.00, 20.50 სერიალი „ქამელეონი“ 10.45 რამპა 10.50 სპა 11.10 სერიალი „საზღვაო პოლიცია“ 12.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ეძიე ქალი 12.40 ჯანმრთელობა 13.00 ნაშუადღევს 14.05 მრავალსახეობა 14.25 მაესტრო 14.55 ფეხბურთი. საქართველო – ისრაელი (შესვენებისას „მოამბე“) 17.00 ინტერმეცო 17.40 მესაკუთრე 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „საზღვაო პოლიცია“ 19.15 მაესტრო 19.25 ოვერტაიმი 19.40 ბასტი-ბუბუ 21.35 დრო და ადამიანები. შარლ დე გოლი 21.50 ჩვენი ენა ქართული 22.00 „100 გრადუსი“ 22.40 ტელესერიალი „ძილის წინ“ 00.00 ჯეოპოპი 00.40 მხ.ფ. „ქურდი“

19.00, 22.00 „მოამბე“ მეორე არხზე 19.05 იყო და არა იყო რა 19.50 ჭოგრიტი 20.00 სერიალი „ფსიქფაქტორი“ 20.30 სტუდია „რე“ 21.30 6-დან 20-მდე 22.05 ჰიტ-პარადი 22.15 მხ.ფ. „ჯარისკაცის ბედი ამერიკაში“

07.00 მუსიკა 07.30 ტექს ავერი, ფიფქია 08.00, 12.00, 15.00 კურიერი 08.55 სერიალი „გვადალუპე“ 09.50 „ვის უნდა ოცი ათასი“ 10.40 სერიალი „პაპირუსის თავგადასავალი“ 11.10 სერიალი „იოლი ფული“ 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფილმი 18.00, 21.00, 23.00, 02.05 კურიერი 18.20 სერიალი „პაპირუსის თავგადასავალი“ 18.50 სერიალი „მეზობელი გოგონები“ 19.15 „პერეკროსტოკი“ 19.50 სერიალი „იოლი ფული“ 22.00 სერიალი „ათასწლეული“. 00.05 მხ.ფ. „დანაშაულის გენიალოგია“. მთ. როლებში კატრინ დენევი, მიშელ პიკოლი 02.15 კლასიკა

იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია 08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი 08.20, 20.20 ალსავალი 08.25, 10.05, 12.20, 20.25, 22.10, 00.15 მუსიკა 08.30 მხ.ფ. „იუკა“ 10.10 მხ.ფ. „იდეალური შტორმი“ 20.30 მხ.ფ. „ამერიკული ლვეზელი“ 22.15 მხ.ფ. „უცნობი სარკეში“

ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 „ვესტი“ 10.15 ზღაპრის ტელედარბაზი 10.45 სპორტული პროგრამა „მსოფლიო სპორტი“ 11.45 მუსკოლაჟი 12.15 პროგრამა „სალონი“ 13.45, 15.15 ინდური მხ.ფილმი 16.00 მხ.ფ. „საქმე იყო პენკოვოში“ 18.30 ზღაპრის ტელედარბაზი 19.00 გადაცემა „ჩვენი თაობა“ 19.30 მხ.ფ. „მთიელი“ 28 სერია 20.00 მსოფლიო სპორტი 21.30 პირველი ნაბიჯები 21.45 სალონი 23.15, 00.15 მხ.ფ. „მოგონებანი“

10.00 „ბისი“. მხ.ფ. „ბულვორტი“ 11.50, 20.30, 22.25, 00.25 კლიპ-მიქსი 12.00 მხ. ფილმი 14.00 კონცერტი 18.00 „სამყარო“ დოკ. ფილმი 19.00 „Co.მედია“ მხ.ფ. „ისევ კოლეჯში“ 19.30 მორწმუნის ძლევამოსილი ხმა 20.45 პროგრამა „F“ მხ.ფ. „ავარია“. მთ. როლში კურტ რასელი 22.40 „ბრავო“. მხ.ფ. „მკვდრების გაცოცხლებისას„ 00.40 „ღამურა“ მხ.ფ. „გინა„ 02.35 ნონ-სტოპი

09.00, 15.00, 18.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღის ამბები“ 09.15, 18.15 მულტფილმი „ტარზანი - მაიმუნი მბრძანებელი“ 09.45 მხ.ფ. „განგსტერები“ 11.45, 12.30, 21.30, 23.30 მუსიკა 12.05 დოკ. ფილმი „ველური ბუნება“ 12.40 მხ.ფ. „მეზობელი ქალი“ 14.20, 15.15, 18.40 შემეცნებითი პროგრამა „დისქავერი“ 16.20 მხ.ფ. „ღმერთების საჭურველი-2“ 20.00 ევროპის სტადიონებზე 20.25, 23.55 ხუთი წუთი ეკონომიკა 21.00 დოკ. ფილმი „ველური ბუნება“ 21.50 მხ. ფილმი „დანტეს მწვერვალი“ მთ. როლში პირს ბროსნანი 00.15 მხ. ფილმი „გლადიატორი“ მთ. როლში რასელ კროუ.

ოთხშაბათი
25 აპრილი

08.00 ალიონი 09.30 ტელესერიალი „ძილის წინ“ 09.50, 23.50 ვიდეოპატრული 10.00, 20.50 სერიალი „ქამელეონი“ 10.45 ეკო-დაიჯესტი 11.05 სერიალი „საზღვაო პოლიცია“ 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 100 გრადუსი 13.00 ნაშუადღევს 14.05 ოვერტაიმი 14.25 ჩვენი მისამართია 15.15 მხ.ფ. „ქურდი“ 16.45 დრო და ადამიანები. შარლ დე გოლი 17.00 50-50 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „საზღვაო პოლიცია“ 19.20 ენერგია 19.40 ბასტი-ბუბუ 21.40 „XX საუკუნე“ 22.00 მაესტრო 22.20 საქმე 22.40 ტელესერიალი „ძილის წინ“ 00.00 მე ქალი ვარ 00.35 კომუნიკატორი 01.10 მხ.ფ. „ოცნების ზღვარი“

19.00, 22.00 „მოამბე“ მეორე არხზე 19.05 იყო და არა იყო რა 20.00 სერიალი „ფსიქფაქტორი“ 20.30 მოლბერტი 20.50 მოკლ. მხ. ფილმი 21.30 საოპერო და საბალეტო ხელოვნების ვარსკვლავები 22.05 ოპტიმისტები 22.35 ჰიტ-პარადი 22.40 მხ.ფ. „მე ვარ პელეს ნათლია“

07.00 მუსიკა. 07.30 ტექს ავერი, ფიფქია 08.00, 12.00, 15.00 კურიერი 08.55 სერიალი „გვადალუპე“ 09.50 სერიალი „ათასწლეული“ 10.40 პაპირუსის თავგადასავალი 11.10 სერიალი „იოლი ფული„ 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფილმი 15.20 ჩემპიონთა ლიგა 18.00, 21.00, 23.00, 01.55 კურიერი 18.20 პაპირუსის თავგადასავალი 18.50 სერიალი „მეზობელი გოგონები“ 19.00 სერიალი „გურმანთა მეგზური„ 19.50 სერიალი „იოლი ფული“ 22.00 ტელევიქტორინა „ვის უნდა ოცი ათასი“ 00.05 მხ.ფ. „მატყუარა, მატყუარა“. მთ. როლებში ჯიმ კერი, კერი ელვისი 02.05 კლასიკა

იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია 08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი 08.20, 20.20 ალსავალი 08.25, 10.10, 12.15, 20.25, 22.10, 00.20 მუსიკა 08.30 მხ.ფ. „ამერიკული ნამცხვარი“ 10.15 მხ.ფ. „უცნობი სარკეში“ 20.30 მხ.ფ. „ქალიშვილის გული“ 22.15 მხ.ფ. „რას ფარავს სიცრუე“

ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 „ვესტი“ 10.15 ზღაპრის ტელედარბაზი 10.45 სპორტული პროგრამა 11.45 მუსკოლაჟი 13.00 პროგრამა „სალონი“ 13.45, 15.15 მხ.ფ. „მოგონებანი“ 18.30 გადაცემა „ლაბირინთი“ 19.45 ზღაპრის ტელედარბაზი 20.00 მსოფლიო სპორტი 21.30 თინეიჯერი 22.30 საუბრები მწვანე ბუხართან 00.15 მხ.ფ. „ქორწინება ანგარებით“

10.00 „ბისი“. მხ.ფ. „მკვდრების გაცოცხლებისას„ 11.40, 20.45, 22.40, 00.35 კლიპ-მიქსი 12.00 მხ. ფილმი 14.00 კონცერტი 18.00 მულტფილმები 19.00 „Co.მედია“ მხ.ფ. „შეშლილი პროფესორი-2“ 19.30 მორწმუნის ძლევამოსილი ხმა 21.00 პროგრამა „F“ მხ.ფილმი „ჩემი ძმის ომი“ მთ. როლში ჯეიმს ბროლინი 23.00 „ბრავო“ მხ.ფ. „ჩვენი ისტორია“ 00.50 „ღამურა“ მხ.ფ. „ჰელოუინი 20 წლის შემდეგ“ 02.20 ნონ-სტოპი

09.00, 15.00, 18.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღის ამბები“ 09.15 მულტფილმი „ტარზანი - მაიმუნი მბრძანებელი“ 09.40 მხ.ფ. „დანტეს მწვერვალი“ 11.20 ევროპის სტადიონებზე 11.40, 21.00 დოკ. ფილმი „ველური ბუნება“ 12.10, 21.30, 23.35 მუსიკა 12.30 მხ. ფილმი „გლადიატორი“ 15.15, 18.45 შემეცნებითი პროგრამა „დისქავერი“ 16.00 მხ.ფ. „მე მიყვარს უსიამოვნება“ მთ. როლში ჯულია რობერტსი 18.15 მულტფილმი „უფლისწული და მათხოვარი“ 20.00 „ევროპის სტადიონებზე“ 20.25, 23.55 ხუთი წუთი ეკონომიკა 22.00 მხ. ფილმი „წითელი კვალი“ მთ. როლში მაიკლ დაკასკოსი 00.15 მხ. ფილმი „ტკბილი არარაობა“ მთ. როლში მირა სორვინო.

ხუთშაბათი
26 აპრილი

08.00 ალიონი 09.30 ტელესერიალი „ძილის წინ“ 09.50, 23.50 ვიდეოპატრული 10.00, 20.50 სერიალი „ქამელეონი“ 10.45 საქმე 11.05, 18.20 სერიალი „საზღვაო პოლიცია“ 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელეზღაპარი „უცნაური ამბავი“ 12.35 ვახუშტი კოტეტიშვილთან 13.00 ნაშუადღევს 14.05 სტუდია „ზუმი“ 14.25 ჯეოპოპი 15.15 მხ.ფ. „ოცნების ზღვარი“ 16.45 ენერგია 17.05 დიდების ზღაპარი 17.35 მესაკუთრე 17.50 რამპა 18.00 ვესტნიკი 19.15 მაესტრო 19.25 ფაილი 19.40 ბასტი-ბუბუ 21.45 „თბილისის დროით“ 22.10 ტელე-სინე-ვიდეო. ბ. სტრეიზანდი 22.40 ტელესერიალი „ძილის წინ“ 00.00 მხ.ფ. „პირველმა დაარტყი, ფრედი!“

19.00, 22.00 „მოამბე“ მეორე არხზე 19.05 იყო და არა 20.00 მხ.ფ. „ჯოგურდის საიდუმლო“ 21.40 ავტოსპორტი 22.05 შვიდეული 23.05 მხ.ფ. „სიყვარული და მრისხანება“

07.00 მუსიკა 07.30 ტექს ავერი, ფიფქია 08.00, 12.00, 15.00 კურიერი 08.55 სერიალი „გვადალუპე“ 09.50 ტელევიქტორინა „ვის უნდა ოცი ათასი“ 10.40 პაპირუსის თავგადასავალი 11.10 სერიალი „იოლი ფული“ 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფილმი 15.20 ჩემპიონთა ლიგა 18.00, 21.00, 23.00, 02.05 კურიერი 18.30 კვაზიმოდოს ჯადოსნური თავგადასავალი 19.00 ევროპული ფეხბურთის მიმოხილვა 19.50 სერიალი „იოლი ფული“ 22.00 სერიალი „ათასწლეული“ 00.05 მხ.ფ. „მაკრატელი“. მთ. როლში შერონ სთოუნი 02.15 კლასიკა

იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია 08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი 08.20, 20.20 ალსავალი 08.25, 10.10, 12.20, 20.25, 22.00, 00.00 მუსიკა 08.30 მხ.ფ. „ქალიშვილის გული“ 10.15 მხ.ფ. „რას ფარავს სიცრუე“ 20.30 მხ.ფ. „გველის თვალები“ 22.05 მხ.ფ. „იუ-571“

ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 „ვესტი“ 10.15 ზღაპრის ტელედარბაზი 10.45 სპორტული პროგრამა 12.15 პროგრამა „სალონი“ 13.45, 15.15 მხ.ფ. „ქორწინება ანგარებით“ 18.30 ზღაპრის ტელედარბაზი 19.00 გადაცემა „ტექ-ნიუსი“ 19.30 დოკ. ფილმი „ფანჯარა ევროპაში“ 20.00 მსოფლიო სპორტი 21.30 „სალონი“ 23.00, 00.15 მხ.ფ. „რევოლუცია“

10.00 „ბისი“. მხ.ფ. „ჩვენი ისტორია“ 11.35, 20.35, 22.45, 00.30 კლიპ-მიქსი 11.50 მხ. ფილმი 14.00 კონცერტი 18.00 „სამყარო“ დოკ. ფილმი 19.00 „Co.მედია“ მხ.ფ. „რაღაცა დენის შესახებ“ 19.30 მორწმუნის ძლევამოსილი ხმა 20.50 პროგრამა „F“ მხ.ფ. „ამერიკული შორები“. მთ. როლში დენის კუეიდი 23.00 „ბრავო“. მხ.ფ. „სურვილით ალსავსე აზრები“ 00.45 „ღამურა“ მხ.ფ. „ჰარი - მეგობარი, რომელსაც თქვენთვის სიკეთე სურს“ 02.40 ნონ-სტოპი

09.00, 15.00, 18.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღის ამბები“ 09.15, 18.15 მულტფილმი „უფლისწული და მათხოვარი“ 09.45 მხ.ფ. „წითელი კვალი“ 11.20 ევროპის სტადიონებზე 11.40, 12.20, 21.55, 23.40 მუსიკა 11.55 დოკ. ფილმი „ველური ბუნება“ 12.40 მხ.ფ. „ტკბილი არარაობა“ 14.05, 15.15, 18.45 შემეცნებითი პროგრამა „დისქავერი“ 16.20 მხ.ფ. „ანგელოზების ქალაქი“ 20.25, 23.55 ხუთი წუთი ეკონომიკა 21.00 „საუბრები სტუდიაში“ 22.10 მხ. ფილმი „მტაცებელი-1“ მთ. როლში არნოლდ შვარცენეგერი 00.15 მხ. ფილმი „მარკიზ დე სადის კალამი“ მთ. როლში ჯეფრი რაში.

პარასკევი
27 აპრილი

08.00 ალიონი 09.30 ტელესერიალი „ძილის წინ“ 09.50, 23.50 ვიდეოპატრული 10.00, 20.50 სერიალი „ქამელეონი“ 10.45 რამპა 10.50 თბილისის დროით 11.10, 18.20 სერიალი „საზღვაო პოლიცია“ 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ბავშვები უპირველეს ყოვლისა 12.35 ინტერმეცო 13.00 ნაშუადღევს 14.05 ტელე-სინე-ვიდეო 14.35 მოგონებების მაღალი ერდოდან. მ. ბარათაშვილი 15.15 მხ.ფ. „პირველმა დაარტყი, ფრედი!“ 17.00 50-50 17.50 ჩვენი ენა ქართული 18.00 ვესტნიკი 19.15 მაესტრო 19.25 ოვერტაიმი 19.40 ბასტი-ბუბუ 21.40 XX საუკუნე 22.00 მოსკოვი-თბილისი 22.20 ენა, დედაა ერისა 22.40 ტელესერიალი „ძილის წინ“ 00.00 მხ.ფ. „ღამის ქალები“

19.00, 22.00 „მოამბე“ მეორე არხზე 19.05 იყო და არა 20.00 მხ.ფ. „დენის შესახებ“ 21.40 ჩვეულებრივი გამოფენა 22.05 აფხაზეთის ტელევიზია 22.45 ჰიტ-პარადი 22.55 მხ.ფ. „თავქარიანი“

07.00 მუსიკა. 07.30 ტექს ავერი, ფიფქია 08.00, 12.00, 15.00 კურიერი 08.55 სერიალი „გვადალუპე“ 09.50 სერიალი „ათასწლეული“ 10.40 კვაზიმოდოს ჯადოსნური თავგადასავალი 11.10 სერიალი „იოლი ფული“ 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფილმი 15.20 უეფას თასის ნახევარფინალი 18.00, 21.00, 23.00, 03.15 კურიერი 18.30 კვაზიმოდოს ჯადოსნური თავგადასავალი 19.00 სერიალი „კუსტოს წყალქვეშა ოდისეა“ 19.50 სერიალი „იოლი ფული“ 22.00 ტელევიქტორინა „ვის უნდა ოცი ათასი“ 00.05 მხ.ფ. „როკი-4“ რეჟ. სილვესტერ სტალონე. მთ. როლებში: სილვესტერ სტალონე, დოლფ ლუნდგრენი 02.15 სიმფსონები 02.45 სერიალი „წითელი ფეხსაცმლის დღიურები“ 03.25 კლასიკა

იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია 08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი 08.20, 20.20 ალსავალი 08.25, 10.00, 12.40, 20.25, 22.05, 23.50 მუსიკა 08.30 მხ.ფ. „გველის თვალები“ 10.05 მხ.ფ. „იუ-571“ 20.30 მხ.ფ. „უბრალოდ სისხლი“ 22.10 მხ.ფ. „ვალი“

ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 „ვესტი“ 10.15 ზღაპრის ტელედარბაზი 10.45 სპორტული პროგრამა 11.45 მუსიკალური კოლაჟი 12.15 „სალონი“ 13.45, 15.15 მხ.ფ. „რევოლუცია“ 18.30 ზღაპრის ტელედარბაზი 19.00 სერიალი „მთიელი“ 29 სერია 20.00 მსოფლიო სპორტი 21.30 კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება 22.00, 00.15 ძველი კინოკლასიკა მხ.ფილმი (კინომცოდნე ზვიად დოლიძის საავტორო გადაცემა)

10.00 „ბისი“.მხ.ფ. „სურვილით ალსავსე აზრები“ 11.30, 20.30, 22.35, 00.20 კლიპ-მიქსი 11.45 მხ. ფილმი 14.00 კონცერტი 18.00 მულტფილმები 19.00 „Co.მედია“ მხ.ფ. „პირველი გმირი ალადინის სასახლეში“. მთ. როლში ტომას იან ნიკოლსი 19.30 „მორწმუნის ძლევამოსილი ხმა“ 20.45 პროგრამა „F“ მხ.ფ. „ნამქლელი“ 22.50 „ბრავო“. მხ.ფ. „მეოთხე სართული“. მთ. როლში ჯულიეტ ლიუისი 00.35 „ღამურა“ მხ.ფ. „პროექტი-281“ 02.00 ნონ-სტოპი

09.00, 15.00, 18.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღის ამბები“ 09.15 მულტფილმი „უფლისწული და მათხოვარი“ 09.45 მხ.ფ. „მტაცებელი-1“ 11.30 გადაცემა „საუბრები სტუდიაში“ 12.20, 14.45 მუსიკა 12.35 მხ. ფილმი „ტეხასელი“ 15.10 მხ.ფ. „ნათლია-1“ მთ. როლში ალ პაჩინო 18.15 მულტფილმი „პატარა დედოფალი“ 18.40 შემეცნებითი პროგრამა „დისქავერი“ 20.25, 23.55 ეკონომიკა 21.00 დოკ. ფილმი „ველური ბუნება“ 21.30 გადაცემა „ლიმონი და ლიმონათი“ 21.45 მხ. ფილმი „ოთახი ხედით“ მთ. როლში მეგი სმიტი 00.15 მხ. ფილმი „ერთგული“.

შაბათი
28 აპრილი

10.00 დილის პაემანი 11.35 მიზანი 12.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე 12.20 ნანა ჯაფარიძე წარმოგიდგენთ 13.20 რეალური სამყარო 14.00 ეგვიპტომანია 15.00 მოამბე 15.15 საქართველო, დრო, მოვლენები 15.40 აბდაუბდა 16.00 ფეხბურთი. „ტორპედო“ (ქუთაისი) - „დინამო“ (თბილისი). (შესვენებისას ოვერტაიმი) 17.55 მხიარული კარუსელი 18.15 საუბრები ლიტერატურაზე. ი. ორჯონიკიძე 19.00 ვესტნიკი 19.35 გინდ დაიჯერეთ, გინდ არა 20.00 ტაიმ-აუტი 20.50 აზრი 20.55 გაეროს განვითარების პროექტი საქართველოში 21.10 მაესტრო 22.30 მუსიკალური ოქტაგონი 23.25 ეთნოგრაფიული ჩანახატი 23.40 მეალომანია 00.15 მოამბე 00.25 ილუზიონი. მხ.ფ. „დედიკოს ბიჭები“

19.00 საბავშვო ფილმი 20.30 ქალი, მამაკაცი, საზოგადოება 21.00 კონტაქტი 21.30 დასაბამიდან 21.40 ახლო ხედი 22.30 ჰიტ-პარადი 22.35 მხ.ფ. „უფროსი ძმა“

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.50 ტელევიქტორინა „ვის უნდა ოცი ათასი“ 10.50 მულტსერიალი 11.30 საბავშვო ფილმი 12.45 მუსიკა 12.55 სერიალი „კოლომბო“ 13.40 სიმფსონები 14.05 სერიალი „ნაზი შხამი“ 15.00 მხ.ფილმი 18.00, 21.00, 01.30 კურიერი 18.20 ტექს ავერი 18.30 სერიალი „ოკეანის მარგალიტი“ 19.00 ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა 19.50 სერიალი „ნაზი შხამი“ 22.00 ფსიქო. მხ.ფ. „მოგზაურობა ტოკიოში“ 01.40 სერიალი „წითელი ფეხსაცმლის დღიური“ 02.10 ღამის ჯაზი

იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია 08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი 08.20, 20.20 ალსავალი 08.25, 10.05, 11.50, 20.25, 22.00, 23.45 მუსიკა 08.30 მხ.ფ. „უბრალოდ სისხლი“ 10.15 მხ.ფ. „ვალი“ 20.30 მხ.ფ. „ძალიან ახალი“ 22.05 მხ.ფ. „მაგარი ბიჭი“

ევრიკა

10.00 მხ. ფილმი „თოვლიანი დღე“ 12.00 პროგრამა „სალონი“ 13.30 ფანტასტიკის მოყვარულთათვის მხ.ფილმი „გალაქტიკის ძიებაში“ 15.00, 21.00 ვესტი 15.30 მუსიკა 16.00 ინდური ფილმი 19.00 თქვენი ადვოკატი 20.00 თინეიჯერები 21.30 ცეროდენა 21.45 პირველი ნაბიჯები 22.00 თეატრალური შეხვედრები 23.30 მენიუ 23.45 მსოფლიო სპორტი 01.15 მხ.ფ. „გულისცემა“

07.30 „ცხოვრება სიტყვაში“ 10.00 „ბისი“. მხ.ფ. „მეოთხე სართული“ 11.25, 14.40, 20.30, 22.20, 00.45 კლიპ-მიქსი 11.45 მულტფილმები 13.00 მხ.ფ. „მე, ისევ მე და კვლავ მე“ 18.00 მულტფილმი 19.00 „Co.მედია“ მხ.ფ. „პარასკევი“ 20.45 პროგრამა „F“ მხ.ფ. „დამხშობი“ 22.35 „ბრავო“ მხ.ფ. „ფილმი თქვენი თხოვნით“: „აკვანი დაირწევა“. მთ. როლში ჯონ კიუსაკი „ღრმა ჩაძირვა“. მთ. როლში კრიგ შეფერი, „მაიკლი“. მთ. როლში ჯონ ტრავოლტა. 01.00 „ღამურა“ მხ.ფ. „ხმები ჩაკეტილი ოთახიდან“ 02.30 ნონ-სტოპი

09.00, 18.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღის ამბები“ 09.15, 18.20 მულტფილმი „პატარა დედოფალი“ 09.45 მხ.ფ. „ოთახი ხედით“ 11.35 „ლიმონი და ლიმონათი“ 11.50, 21.30 დოკ. ფილმი „ველური ბუნება“ 12.20 მუსიკა 12.35 მხ.ფ. „ერთგული“ 14.20, 18.40 შემეცნებითი პროგრამა „დისქავერი“ 14.50 მხ.ფ. „ნათლია-2“ მთ. როლში ალ პაჩინო 19.30 გადაცემა: „საბჭოთა საქართველო - ფურცლები ისტორიიდან“ 20.00 ევროპის სტადიონებზე 21.05 გადაცემა „ბელისიმო“ 22.15 მხ. ფილმი „ქორწილში განმკარგულებელი“ მთ. როლში ჯენიფერ ლოპესი 00.15 მხ.ფ. „მგლების ზონა“ მთ. როლში ჟულამ დეჯე

კვირა
29 აპრილი

10.00 მეტრონომი 11.05 მხიარული კარუსელი 11.30 სტუდია „ზუმი“ 11.45 ბავშვები უპირველეს ყოვლისა 12.00 მსოფლიოს ახალი ამბები 12.10 ფრანგული პროგრამა „უკანასკნელი დღე“ 12.30 სპა 12.55 მხ.ფ. „სასიკვდილო იარაღი-4“ 15.00 მოამბე 15.40 მუსიკალური ოქტაგონი 16.35 გლობუსი 17.10 სახსოვარი 17.40 პირველად იყო სიტყვა 18.10 კომუნიკატორი 18.45 ფრანგული პროგრამა 19.15 ტოტო-ლოტო 19.25 ჩვენი მისამართია 20.00, 00.10 მოამბე 20.25 ეკო-დაიჯესტი 20.50 ფორტუნა 21.35 მთელი ტელევიზია 22.00 დიდების ზღაპარი 22.30 დოკ. ფილმი „გარდამოხსნა“ 23.15 ტალანტები და თაყვანისმცემლები 00.20 მხ. ფილმი „შავი ტიტა“.

19.00 საბავშვო კინოსეანსი მხ.ფილმი 20.30 ძველი აფიშა 21.10 მხ.ფ. „ძუკნას სიყვარული“ 23.35 შვიდეული

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.15 მულტსერიალი 10.00 საბავშვო ფილმი 11.30 მუსიკა 11.40 სერიალი „კოლომბო“ 12.10 სიმფსონები 12.30 სერიალი „ნაზი შხამი“ 13.15 მხ.ფილმი 18.00, 21.00, 01.00 კურიერი 18.20 „კოლომბო“ 19.20 სპორტული პროგრამა 19.50 სერიალი „ნაზი შხამი“ 22.15 დარდუბალა 21.30 სერიალი „სპეცრაზმი“ 22.20 ჯეოსელის კინოკლუბი 00.30 სიმფსონები 01.10 კლასიკა

იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია 08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი 08.20, 20.20 ალსავალი 08.25, 10.00, 11.45, 20.25, 22.15, 23.50 მუსიკა 08.30 მხ.ფ. „ძალიან ახალი“ 10.05 მხ.ფ. „მაგარი ბიჭი“ 20.30 მხ.ფ. „მოდი მნახე“ 22.20 მხ.ფ. „უბრალო გეგმა“

ევრიკა

11.00 ცისკრის ზარები 11.05 ზღაპრის ტელედარბაზი 11.30 დოკ. ფილმი „შიომღვიმე“, „ორაგულის ბედი“, „პალიასტომი“ 12.00 თეატრალური შეხვედრები 13.25 ფედერაცია 14.00 დოკ. ფილმი „ზურაბ ანჯაფარიძე“ 15.00 ვესტი 15.20 დოკ. ფილმები „კვალი ნათელი“, „საჯვარეობა“ 17.00 ლოცვა 17.05 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობა ილია მეორის ქადაგება 17.20 საეკლესიო კალენდარი 17.35 საუბრები ბიბლიაზე 19.00 „ზერკალო“ 20.20 გვარიშვილობა 20.50 საბავშვო გადაცემა „ნიკორა“ 21.15 იქ, სადაც სიყვარულია 21.30 მოკლ.მხ. ფილმები 22.30 გადაცემა „ეკონომისტი“ 23.30 პროგრამა „მსოფლიო სპორტი“

07.30 „ცხოვრება სიტყვაში“ 10.00 „ბისი“. მხ.ფილმი 12.00, 16.00, 20.30, 22.25, 00.45 კლიპ-მიქსი 12.30 მულტფილმი 14.00 მხ.ფ. „პლაჟი“ 18.00 მულტფილმები 19.00 „Co.მედია“ მხ.ფ. „ცეკვა მანჰეტენში“. მთ. როლში ლუმი კავასოსი 20.45 პროგრამა „F“ მხ.ფ. „მდუმარე მართლმსაჯულება“. მთ. როლში რიჩარდ ტაისონი 22.40 „ბრავო“ მხ.ფ. „შირი“ 01.00 „ღამურა“ მხ.ფ. „სამთა სიყვარული“ 02.40 ნონ-სტოპი

09.00 საინფორმაციო პროგრამა „დღის ამბები“ 09.15 მულტფილმი „პატარა დედოფალი“ 09.40 მხ.ფ. „ქორწილში განმკარგულებელი“ 11.25 ევროპის სტადიონებზე 12.00 გადაცემა „ბელისიმო“ 12.30, 19.30 გადაცემა „საბჭოთა საქართველო - ფურცლები ისტორიიდან“ 13.00 მხ. ფილმი „მგლების ზონა“ 14.30 გადაცემა „საუბრები სტუდიაში“ 15.25 მხ.ფ. „ნათლია-3“ მთ. როლში ალ პაჩინო 17.40, 21.00, 21.50, 00.10 მუსიკა 18.10 მულტფილმი „გულივერის მოგზაურობა“ 19.00 პროგრამა „დისქავერი“ 20.00 ინტელექტკლუბი: „რა, სად, როდის?“ 21.25 დოკ. ფილმი „ველური ბუნება“ 22.00 მხ.ფ. „ცხოვრების დამამტკიცებელი საბუთი“ მთ. როლში მეგ რაიანი 00.25 მხ.ფ. „შორი“.

ჩვენი პუბლიკაცია

დღეს იგი 131 წლისა გახდა

მაქსიმ გორკი

დემოკრატია

(ლენინი ტაკიმასხარაა)

ლენინი, ტროცკი და მისი დამქაშები უკვე მოწამლულნი არიან ძალაუფლების მყრალი საწამლავით, რასაც ამტკიცებს მათი სამარცხვინო დამოკიდებულება სიტყვის და პიროვნების თავისუფლებასთან და მთელ უფლებასთან, რომლის მოსაპოვებლად ასე იბრძოდა დემოკრატია.

ბრმა ფანატიკოსები და უსინდისო ავანტიურისტები კისრისტეხით გარბიან თითქოს „სოციალიზმისაკენ" და ნამდვილად კი ანარქიისაკენ, პროლეტარიატის და რევოლუციის დაღუპვისაკენ.

ამ გზით ლენინს და მის დამქაშებს შესაძლებლად მიაჩნიათ ყოველივე ბოროტმოქმედების ჩადენა, როგორც პეტროგრადში და მოსკოვში მომხდარი ხოცვა-ჟლეტა, სიტყვის თავისუფლების მოსპობა, უსაფუძვლოდ დაჭერა-დატუსაღება და ყოველივე სისაძაგლე, რომელსაც სჩადიოდნენ პლევე და სტოლიპინი.

ლენინს ჯერჯერობით მისდევს დემოკრატიის საგრძნობი ძალა, მაგრამ გვწამს, რომ, ადრე თუ გვიან, მუშათა კლასი გაიგებს, რომ მან ჭკუა დაკარგა.

მუშათა კლასს არ შეუძლია არ გაიგოს, რომ ლენინი მათ ზურგზე, მათ სისხლზე რაღაცას ცდის, ცდილობს მიიყვანოს პროლეტარიატის რევოლუციური სულისკვეთება უკიდურესობამდე და გაიგოს, რა გამოვა აქედან.

მუშათა კლასმა უნდა იცოდეს, რომ ნამდვილად სასწაული არ არის, რომ მას ელის შიმშილი, მას ელის მრეწველობის სრული განადგურება, ტრანსპორტის არევ-დარევა, ხანგრძლივი სისხლისმღვრელი ანარქია და მასთან ერთად არანაკლებ გასისხლიანებული შავბნელი რეაქცია.

აი, საით მიჰყავს პროლეტარიატი მის დღევანდელ ბელადს და უნდა გვახსოვდეს, რომ ლენინი ყოვლადშემძლე ჯადოსანი არ არის, არამედ უბრალოდ ტაკიმასხარაა, რომელსაც ფეხებზე ჰკიდია პროლეტარიატის სიცოცხლეც და პატიოსნებაც.

„ერთობა", 1917 წ. № 199
(გადმოღებულია გაზეთიდან „ნოვაია ჟიზნ", 1917 წ. 7/XI).

ეს უბრალო ტრაბახი და ხალხის მოტყუებაა

საბჭოების მეხუთე ყრილობაზე ლენინმა ასე დაასრულა თავისი სიტყვა: „არც ერთ სახელმწიფოში, არც ერთ რესპუბლიკაში არ გაკეთებულა ის, რაც ჩვენთან არის. ჩვენ დავადგინეთ განაწილება ღატაკი ხალხის სასარგებლოდ, ბრესტის ხელშეკრულების შემდეგ მუშებმაც და გლეხებმაც სოციალიზმის გზაზე ბევრი რამ გაიგეს: ახლა ისინი გამოუცდელები აღარ არიან და შეძლებენ მიაღწიონ თავის მიზნებს".

ყველამ ვიცით, რომ ეს უბრალო ტრაბახი და ხალხის მოტყუებაა. მაგრამ ლენინი ხომ ლენინი აღარ იქნება, რომ დემაგოგიით შეზავებული ტრაბახობა და ტყუილები არ შესთავაზოს რუსეთის ღარიბ-ღატაკთა კლასს.

ჩვენმა კრიტიკოსებმა ვერაფერი ისწავლეს. ეს არ არის მართალი. მათ ის ისწავლეს, ისინი იმაში დარწმუნდნენ, რომ ბოლშევიკური დიქტატურა დამღუპველია დემოკრატიისა და სახელმწიფოსი.

პური და მანუფაქტურა გავანაწილეთო. ამის გამანადგურებელ პასუხს იძლევა დღევანდელი რუსეთის აუვირებელი შიმშილი და უბედურება. რუსეთი სულიან-ხორციანად იხრწნება და ლენინი კი იძახის, „კომუნიზმი" მეარდებაო. ასეთ „კომუნიზმს", ლენინისაგან ქებულს, ღმერთო, გვაშორე, ღმერთო, გვაშორე!

„საქართველოს რესპუბლიკა",
1918 წ. 15 აგვისტო.

ლენინი გათხუპნილია ერთა სისხლით

(ამ წერილის ავტორია ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე სპირიდონ კედია. იგი დაწერილია საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამდე 11 დღით ადრე).

საქართველო კვლავ ომში ჩაება. ამ ომს აწარმოებს მოსკოვი. ამაში არაფერია მოულოდნელი. დარწმუნებული ვიყავით, რომ მოსკოვი არ შეცდებოდა დაპყრობის პოლიტიკაში, და როცა მან აზერბაიჯანი და სომხეთი ხელში ჩაიგდო, მოველოდით, რომ თავის მორიგ იერიშს საქართველოზედ მიიტანდა. კომუნისტური რუსეთის იმპერიალიზმი, რომლის შესახებაც ბევრი იწერება და ბევრს ლაპარაკობენ, როგორც რუსეთისაგან განთავისუფლებულნი, ისე ევროპის ქვეყნებშიაც, დემაგოგიის მასალა კი არ არის, არამედ ისეთივე ნამდვილი და მომქმედი სტიმულია, როგორიც იყო მონარქების რუსეთის იმპერიალიზმი. ლენინის რევოლუციური ლიბერალიზმი, ყოველი რუსეთის ქვეშევრდომი ერებისადმი სუვერენობის გაშორების შესახებ, რომელსაც დღეს გამჭვირვალე ფარისევლობით საქართველოში მისი წარმომადგენელი ბ-ნი შეიმანი იმეორებს, ვერავის გააბრიყვებს.

ლენინი გათხუპნილია ამ ერთა სისხლით. პირველად ეძგერა პოლონეთს, რომელიც თავისი სიდიდით და კულტურულ-ეკონომიური ღირებულებით ყველაზედ მეტს ნიშნავს რუსეთის სახელმწიფოს პირველხარისხოვნობის აღსადგენად, თუ მას გასტეხდა, დანარჩენი ქვეყნები ისეთი ადვილი ლუკმები იყო, რომელთა გადაყლაპვას ყოველი სურვილის დროს შეძლებდა. ლენინმაც სწორედ ამიტომ მთელი კომუნისტური რუსეთის შეიარაღებული ძალა პოლონეთს მიაყარა. მაგრამ ომი მაინც წააგო და განადგურებულმა საზარალო ზავს ხელი მოაწერა. ამის შემდეგ, იგი კიდევ მეტის რეზონით „ადვილი ლუკმების" გადაყლაპვას უნდა გამოდგომოდა და გამოუდგა კიდეც.

დაღესტანს ლენინი ღვთის რისხვად თავს დაატყდა. უსაზღვროდ სდის ამ ქვეყანას სისხლის ნიაღვარი. ორივე მხრით ულმობელი ბრძოლა გრძელდება.

სამაგიეროდ თოხლო კვერცხივით გადაყლაპა აზერბაიჯანი და სომხეთი.

აკლდა მარტო საქართველო, რომ კავკასიის ერებისადმი თავისი მტარვალობით, კომუნისტი ლენინი რუსეთის თვითმპყრობელ მონარქებს გვერდში ამოდგომოდა. კიდევ ერთი საქართველო და მთელი კავკასია კვლავ რუსეთის განუკითხავი სამფლობელო გახდებოდა. რუსეთი კვლავ მიებჯინებოდა სპარსეთ-ოსმალეთს! და დაიწყებოდა პეტრე დიდის და რომანოვების ისტორიული მისწრაფების ხორცის შესხმის ამბავი.

და მოსკოვი ამუშავდა საქართველოს დასამხობად. ამ პიესის პროლოგი მან გასული წლის გაზაფხულზე გაითამაშა: სცენაზე საბჭოთა აზერბაიჯანი გამოიყვანა. ეს იყო საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს შეიარაღებულ ძალთა პირველი და მწყობრი შეტაკება. მაშინ საქართველომ საბჭოთა რუსეთის ჯარები გაანადგურა და უკუაქცია. ეს ისტორიული თარიღია.

დაინახეს, რომ საქართველო ის ძვალია, რომელიც ყელში გაიჩხირება და ახრჩობს. ამ გარემოებამ და იმან, რომ საქართველო დღითი დღე იზრდებოდა, როგორც საერთაშორისო ფიგურა, ლენინი და მისი აგენტები უფრო ფრთხილი და მორიდებული გახადა. ჯიქურობა განზე გადვეს, დაგვიწყეს ფიცი, რომ საქართველოს მიმართ მარტო კეთილი მეზობლების გრძნობა აქვთ და სხვა არაფერი. ამავე დროს სწარმოებს საქართველოში ლენინის აგენტებისა და მისი ოფიციალური წარმომადგენლის ჩუმი, მაგრამ ენერგიული მუშაობა, იწყება ინტრიგები და პროვოკაცია. საქართველოს აღიზიანებენ, მის თავმოყვარეობას ბღალავენ. მოველით ომს და ჩვენც თავდაცვას ვამზადებთ.

და ეს მოსალოდნელი ომი და შემოტევა მოსკოვმა დაიწყო 11 თებერვლის ღამით. მოგვიწყეს ბორჩალოს სოფლებში აჯანყება ერთსა და იმავე დროს და ამასთან ერთად რეგულარული ჯარებიც შემოიყვანეს.

ჩვენ გვეომება არა სომხეთი, ან აზერბაიჯანი, რომელნიც არ არსებობენ, არამედ საბჭოთა მოსკოვი და გვეომება არა საქართველოს რომელიმე ნაჭრისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის.

მტერი მთელი საქართველოს საფლავსა თხრის და მოიწევს ხელში დიდი საფლავის ლოდით.

ამ ომში, თავისი სახით, საქართველო იცავს კაცობრიობის ცივილიზაციის და პროგრესის იდეას.

„საქართველო", 1921 წ. 16 თებერვალი.

მოგვაწოდა
სულიკო ნუცუბიძემ.

საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

19 აპრილი, 2001 წელი

28-დღიანი სახაზინო ვალდებულებები 550 000 (ხუთას ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით, რომლის დაფარვა განხორციელდება 2001 წლის 23 მაისს, გამოტანილ იქნება აუქციონზე, რომელიც შედგება 2001 წლის 25 აპრილს 10 საათზე.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით, არაუგვიანეს 2001 წლის 25 აპრილის 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ" დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას, განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

მიწვევა სატენდერო წინადადებების წარმოსადგენად

თარიღი: 20 აპრილი, 2001 წ.
კონტრაქტის საიდენტიფიკაციო № 39/UPI
მსოფლიო ბანკის კრედიტის № 3040GE
მსოფლიო ბანკის კრედიტის სახელი: კულტურული მემკვიდრეობის პროექტი

1. საქართველომ მიიღო კრედიტი საერთაშორისო განვითარების ასოციაციისაგან კულტურული მემკვიდრეობის პროექტის განსახორციელებლად. ამ სესხის თანხის ნაწილი მოხმარდება უფლისციხის ხუროთმოძღვრული ძეგლის კონსერვაციისა და გამაგრების კონტრაქტით გათვალისწინებულ სამუშაოებს.

2. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი, რომელიც დაარსებულია საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით და უფლებამოსილია განახორციელოს კულტურული მემკვიდრეობის პროექტი, გიწვევთ დალუქული სატენდერო წინადადებების წარსადგენად შემდეგ სამუშაოზე: შპურების გაბურვა, ანკერების დამონტაჟება, შპურების დაჭიხვნა ცემენტის ხსნარით, ზედაპირული ბზარების ამოგმანვა ცემენტითა და თიხით, ქერის ქანების ჰიდროიზოლაციის და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების შესრულება, ქანების ჰიდროიზოლაციის შემდეგ ზედაპირის დაფქვილი ქვიშით მოკირწყვლა.

3. სატენდერო დოკუმენტების (და დამატებითი ეგზემპლარების) შეძენა შეიძლება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდში, მისამართი: მაჩაბლის ქ. 4 ა, III სართული, თბილისი (ტელ: 25-22-20, 93-14-69, ფაქსი: 98-57-13), სატენდერო დოკუმენტაციის თითოეული კომპლექტის ღირებულებაა 100 ლარი. დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია იმავე მისამართზე.

4. წინადადებები ძალაში უნდა იყოს 45 დღის განმავლობაში სატენდერო წინადადებების გახსნის შემდეგ და თან უნდა ახლდეს 7000 ლარის გარანტია. სატენდერო წინადადებები უნდა მიწოდებული იქნას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის ოფისში, მისამართი: თბილისი, მაჩაბლის ქ. 4 ა, III სართული, 12.00, 2001 წ. 31 მაისისათვის ან მანამდე, როდესაც ისინი გაიხსნება იმ კონკურსანტების თანდასწრებით, რომლებიც მოისურვებენ დასწრებას.

5. დაგვიანებული წინადადებები არ მიიღება და გაუხსნელად დაუბრუნდება შემომტანს.

ფეხბურთი

ჩემპიონი დაწინაურდა

საქართველოს ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედო" ფეხბურთელთა XII ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ექვსეულის I წრის გამარჯვებულია. რიონისპირელებმა წამყვან პოზიციაზე მას შემდეგ გადაინაცვლეს, რაც გუშინ საკუთარ მინდორზე 2:0 მოუგეს აწ უკვე ყოფილ ლიდერს, ქვეყნის თასის მფლობელს თბილისის „ლოკომოტივს". აღსანიშნავია, რომ 0:0-ზე რკინიგზელთა კაპიტანმა გოგიჩაიშვილმა პენალტი ვერ გაიტანა.

ორ მატჩს უმასპინძლა დედაქალაქმა. ფოთის „კოლხეთმა" ავჭალაში 4:2 სძლია „მერანს" და პრიზიორთა შორის დამკვიდრების შანსი შეინარჩუნა. თბილისური დერბი „დინამო" – „ვიტ-ჯორჯია" კი ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე ფრედ – 2:2 დასრულდა. შესვენებამდე ვეტერინართა ბომბარდირმა, ეროვნული ნაკრების ახალწვეულმა მელქაძემ „დუბლი" შეასრულა (პირველ შემთხვევაში მან მეკარე ხაჩირაშვილის შეცდომით ისარგებლა). თუმცა ახალგაზრდა დინამოელებმა, წინა ტურის მსგავსად, სამაგალითო სპორტული ჟინი გამოამჟღავნეს და ძვირფასი ქულა იხსნეს – 2:2 (ზირაქიშვილი, მიკუჩაძე).

„ტორპედო" – 34, „ლოკომოტივი" – 33, „დინამო" – 31, „ვიტ-ჯორჯია" – 26, „კოლხეთი" – 25, „მერანი" – 18 ქულა.

28 აპრილს II წრის სტარტზე ითამაშებენ „ვიტ-ჯორჯია" – „კოლხეთი", „მერანი" – „ლოკომოტივი", „ტორპედო" – „დინამო", დღეს კი 16 საათზე დაიწყება უმაღლეს ლიგაში დასარჩენად მებრძოლთა ექვსეულის I წრის დასკვნითი ტურის შეხვედრები: „გორდა" – „იბერია", „სიონი" – „დილა", „ბათუმი" – თსუ.

გია პლატონიშვილი.

სურათზე: „დინამოსა" და „ვიტ-ჯორჯიას" მატჩის მომენტი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

კალათბურთი



ბოლო ტურის წინ

გუშინ ვერის პარკში ბავშვთა კალათბურთის სასახლეში საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურის მატჩებს უმასპინძლა. დიდ ინტერესს იწვევდა შარშანდელი ჩემპიონის ბათუმის „ბასკოს" და ვიცეჩემპიონის – რუსთავის „აზოტის" შეხვედრა. თუმცა ამ გუნდებს უკვე განაღდებული აქვთ საპლეიოფოდ პირველ-მეორე ადგილები, თანაც შედეგს სატურნირო ცხრილში კორექტივების შეტანა არ შეეძლო. გაიმარჯვა „ბასკომ" 103:79. სტუ-„ჯეოსელმა" „შევარდენს" სძლია 100:77, „მაქაბიმ" კი დამატებით დროში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი დაამარცხა 119:111.

დღეს ჩემპიონატის ბოლო ტურში ერთმანეთს ხვდებიან: „მაქაბი" – „აზოტი", თსუ – „შევარდენი", „ბასკო" – სტუ. 27 აპრილიდან პლეიოფები დაიწყება.

სურათზე: „ბასკო" – „აზოტის" თამაშის მომენტი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ცინცხალი ამბები

ავსტრიის საფეხბურთო კლუბის „გრაცის" პრეზიდენტმა პეტერ შვეტიტსმა განაცხადა, რომ აპირებს წარსულში სახელგანთქმული ფეხბურთელის ლოთარ მათეუსის გუნდის უფროს მწვრთნელად მიწვევას. მან თავისი სპორტული კარიერა შარშან დაასრულა. მიუნჰენის „ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების ყოფილი ცენტრალური მცველი ბოლო დროს აშშ-ში გამოდიოდა, მაგრამ ამ ნაკლებად პრესტიჟულ ჩემპიონატში თამაშს დასვენება არჩია.

უეფას სპეციალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, ორი მილიონი დოლარით დააჯარიმოს სტამბოლის „გალათასარაი", რომლის წარმომადგენლებმაც 2000 წლის უეფას თასის ფინალზე დასასწრები ბილეთები თავიანთ გულშემატკივრებს არასანქცირებულად გაზრდილი ფასებით მიჰყიდეს, რითაც მათ მიითვისეს 75 000 დოლარი.

ჭადრაკი

4 საგზურის 103 მაძიებელი

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება 16 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა, რომელიც შესარჩევი ტურნირია. მსოფლიო და ევროპის პირველობების საგზურების მოსაპოვებლად 37 გოგონა და 66 ვაჟი იბრძვის. გუშინ გაიმართა მე-4 ტურის შეხვედრები. ლიდერთა პაექრობები ასე დამთავრდა: **გოგონები.** სალომე მელია – ალა ვახანია 0,5:0,5, მეგი ესებუა – ნონა დათუაშვილი 0:1, ნინო ბაციაშვილი – თამარ მხეიძე 1:0, თამარ წერეთელი – თეონა მესხი 1:0. 3,5-3,5 ქულა აქვთ ვახანიას, დათუაშვილს, ბაციაშვილს და წერეთელს.

ვაჟები. მიხეილ ქანთარია – მერაბ გაგუნაშვილი 0:1, გრიგოლ მაღლაფერიძე – ლევან გოგოჭური 1:0, ლევან ფანცულაია – გიორგი სულაშვილი 1:0, კოტე შანავა – ლევან ბახტაძე 1:0, მალხაზ სულაშვილი – გიორგი მარგიშვილი 1:0, შალვა კაკულია – ლევან აროშიძე 0,5:0,5. უდანაკარგოდ ლიდერობს გაგუნაშვილი. ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან მაღლაფერიძე, ფანცულაია, შანავა და მ. სულაშვილი.

დღეს მე-5 ტურია.

კრივი

დედაქალაქის პირველობაზე

ოლიმპიური რეზერვების კრივის დარბაზში გაიმართა დედაქალაქის პირველობა 1985-86 წლებში დაბადებულთა შორის. ასპარეზობაში მონაწილეობდა სპორტსაზოგადოება „მართვეს", განათლების სამინისტროსთან არსებული სპორტსკოლასა და სპორტსაზოგადოება „შევარდენში" აღზრდილი 38 მოკრივე.

პირველობაზე თავი გამოიჩინეს ბესო წიქარიშვილმა (48 კგ), გიორგი თათუხაშვილმა (54 კგ), ნიკო წიქარიშვილმა (81 კგ ზემოთ) და სხვებმა.

აკრობატიკა

სინქრონულად, სუფთად, ლამაზად

– ასეთი გახლავთ ძირითადი იდეა, რომელიც საფუძვლად უდევს სპორტულ აკრობატიკას. სპორტის ამ სახეობის გულშემატკივრებს, ალბათ, არ დავიწყნიათ, რომ საქართველოში გვყავდა არაერთი ძლიერი აკრობატული ჯგუფი, რომლებსაც უხვად აჯილდოებდნენ საერთაშორისო თუ საკავშირო პირველობებზეც კი...

როგორც ირკვევა, ამ ლამაზი სახეობის მიმდევარნი კვლავაც ვარჯიშობენ ჩვენთან, თუმცა ბოლო ხანებში სარბიელზე იშვიათად თუ გვინახავს.

და აი, ტრადიცია გაგრძელდა – წლების შემდეგ გაიმართა საკმაოდ წარმომადგენლობითი შეჯიბრება (70 მონაწილე) დედაქალაქის პირველობაზე. ორდღიანი საინტერესო ჭიდილის შემდეგ გამოვლინდნენ გამარჯვებულნი და პრიზიორები ვაჟთა ოთხეულებში, ვაჟთა და გოგონათა წყვილებში, გოგონათა სამეულში, შერეულ წყვილებში, ვაჟთა თუ გოგონათა ხტომებში. მათ გადაეცათ შესაბამისი სიგელები და საჩუქრები.

ანდრო ბარძაია.

სურათებზე: შეჯიბრების და დაჯილდოების დროს.

ანზორ კოჭლამაზაშვილის ფოტოები.

ათლეტიზმი

ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

წელის კუნთების ვარჯიში

II ნაწილი

დღეს განვაგრძობთ წელისა და მუცლის არეში ცხიმის დაგროვების საწინააღმდეგოდ გამიზნული ეფექტური საშუალების — წელის კუნთების ვარჯიშების დემონსტრირებას. ისინი ერთნაირად აქტუალურია როგორც კაცების, ისე ქალებისათვის. ამჯერად თქვენს წინაშე წარსდგებიან ათლეტურ კლუბ „ამირანის" წევრები — ლინა გახუტიშვილი და კახა ჟანაშია.

1. წელის ტრიალი ზურგზე შტანგით ჯდომაში (სურ. 1). მაქსიმალურად შებრუნდით ჯერ ერთ, შემდეგ მეორე მხარეს. რეკომენდებულია 4-6 მისვლა თითოეულ მხარეს 15-20 შებრუნებით.

2. იგივე ვარჯიში დგომში (სურ. 2). სასურველია შესრულდეს 6 მისვლა თითოეულ მხარეს 10-15 გამეორებით.

3. იგივე ვარჯიში წინ გადახრილ მდგომარეობაში (სურ. 3, 4). საკმარისია 4 მისვლა თითოეულ მხარეს 10-15 გამეორებით.

ზურაბ ჭავჭანიძე.

ნაზი ბოგიშვილის ფოტო.









სპორტის რედაქცი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ქართველი ასპირანტები, მათემატიკოსები, ნიკო მუსხელიშვილის მოწაფეები. მარცხნიდან — ილია ვეკუა, ალექსი გორგიძე, დავით დოლიძე. ლენინგრადი, 1933 წელი.

ფოტო მოგვაწოდა ვანო გორგიძემ.

დიმილის დოზა

პატარა ბიჭი სკოლიდან დაბრუნდა და მამას ეუბნება:

— დღეს საკლასო წერა გვქონდა და შენზე დავწერე.

— სერიოზულად? რა თემა იყო?

— თემა — „ჩემი იდეალი, მისაბაძი მაგალითი".

— პირდაპირ გეტყვი, — მასიამოვნე. მაინც რა დაწერე?

— დავწერე, რომ შენ ხარ ძლიერი, მამაცი, ჭკვიანი, ზრდილობიანი.

— სინდისს გეფიცები, არ მეგონა, რომ ასე მაფასებ...

— გაფასებ კი არა... უბრალოდ, არ ვიცი, როგორ იწერება — არნოლდ შვარცნეგერი, თუ — შვარცენეგარი, თუ შვარტსნეგერი...

მექსიკელი ტაძარში შევიდა უზარმაზარი სომბრეროთი თავზე. შეწუხდნენ მლოცველები და ჩასჩურჩულეს:

— სომბრერო! ეი, სომბრერო.

მექსიკელი განაგრძობს გზას საკურთხევლისკენ. მლოცველები გზადაგზა ეუბნებიან:

— სომბრერო! სომბრერო!

მივიდა საკურთხეველთან მექსიკელი, მოიმარჯვა გიტარა, შემოტრიალდა მრევლისკენ და გამოაცხადა.

— ახლა კი თქვენი ერთსულოვანი თხოვნით შევასრულებ სიმღერას „სომბრერო".

* * *

— ჩემი ძაღლი ჩემსავით ჭკვიანია.

— რას მეუბნები? უცნაური კია, რადგან, ჩვეულებრივ, ადამიანები თავიანთ ცხოველებს აქებენ...

კვირა

რით იყო მნიშვნელოვანი გასული კვირა საქართველოსთვის და პირადად თქვენთვის? — „კვირის" ტრადიციულ კითხვას უპასუხებს ჯანსუღ კახიძე

ქვეყნისთვის:

— ჩვენი ქვეყნისთვის და ჩვენი ხალხისთვის უმნიშვნელოვანესი, ალბათ, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული იყო — დღესასწაული, რომელსაც ქრისტიანებისთვის მართლაც სრულიად უნიკალური ხიბლი და მისია აქვს. ამიტომ, კიდევ ერთხელ მივულოცავ ყველა ქრისტიანს ამ დიდ და საოცრად ამაღლებულ დღეს, უფლის მადლი არ მოაკლდეს არც ერთ პატიოსან ადამიანს!

ჩემთვის პირადად:

— ჩემთვის ერთი მოვლენა იყო ძალზე მნიშვნელოვანი, თუმცა, თუ გავიაზრებთ, რომ საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი სავიზიტო ბარათი ხელოვნებაა, განსაკუთრებით მუსიკა, ალბათ, ეს მოვლენა ქვეყნისთვისაც დიდად მნიშვნელოვანია — ბიჭუნათა გუნდის დაარსებას ვგულისხმობ. ჩემი დიდი ხნის ოცნება ასრულდა და განსაკუთრებით მახარებს, რომ ახლადშექმნილმა გუნდმა პირველი სიტყვა ლამაზად და დამაჯერებლად თქვა. სწორედ ასე აღვიქვამ მის დებიუტს პარასკევს გამართულ კონცერტ-პრეზენტაციაზე (მასალას ამ კონცერტის შესახებ გაზეთის შემდეგ ნომერში გაეცნობით).

რუბრიკას უძღვება
ზურაბ ოიკაშვილი.

დიდების ზღაპარი

ზოგჯერ მართლაც ასეა და კვირადღის სიმძიმე კარგად გაუაზრებიათ „დიდების ზღაპრის" სცენარისტებს გია კაჭარაევს, ილია და ალექსანდრე ჯიბლაშვილებს. მიუხედავად იმისა, რომ კვირაა, პრეზიდენტი მაინც მიდის სამსახურში და თანაშემწესაც თხოვს: „ცისანა, ზურიკოს დაუკავშირდი და უთხარი, სასწრაფოდ მოვიდეს ჩემთან. გია არსენიშვილს უთხარი, მინისტრები შემიკრიბოს", გზად კი ვახტანგს ესაუბრება, ქუთათელაძეს:

— რა ხდება, ვახტანგ, მიიღო უკვე პარლამენტმა ლუსტრაციის კანონი?

— არა, ჯერ არ განუხილავთ.

— რატომ, კაცო, რისი ეშინიათ? ისე, შენ თვითონ თუ ხარ მომხრე ამ კანონის მიღების?

— რა თქმა უნდა, აბა რატომ უნდა მუშაობდეს მაღალ თანამდებობაზე „კაგებეს" აგენტი?

— შენ, როგორც უშიშროების მინისტრს, გეცოდინება, ბევრი გვყავს მასეთი?

— ბევრი თუ ცოტა, ვერ გეტყვით, მაგრამ, აი იმაზე კი ნამდვილად ვიცი, გაიშიფრა კიდეც.

— ყოჩაღ! სასწრაფოდ მისაღებია ლუსტრაციის კანონი.

— მართალია, მისაღებია, მაგრამ, ცხადია, ამ კანონის მიღების შემდეგ ბევრს მოუწევს თანამდებობის დატოვება.

გია არსენიშვილი კი მინისტრებსა და მთავრობის წევრებს უკავშირდება. ზოგიერთი ვარჯიშობს, ზოგიერთი აუზში ნებივრობს, მაგრამ გამოძახება გამოძახებაა. ზოგიც გვირაბიდან ურეკავს პრეზიდენტს:

— ბატონო ედუარდ, უკაცრავად, რომ გაწუხებთ, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს — მე ცოტას დავაგვიანებ, გვირაბში ვარ.

— რა იყო, მიშა, კიდევ გაიქცა ვინმე?

— არა, მე, როგორც ყოველთვის, დღესაც საზოგადოებრივი ტრანსპორტით ემგზავრობდი — მეტროში ჩავჯექი, მეტრო გაითიშა და ახლა გვირაბით გამოვდივარ გარეთ.

— აჰ, მაი არაფერი, ნუ გეშინია, შენი ინტუიციის ამბავი რომ ვიცი, მშვიდობით გამოხვალ.

— მე კი გამოვალ, მაგრამ ხალხს რა ეშველება?! ყველაფერი იმის ბრალია, ბატონო ედუარდ, რომ ქვეყანაში კორუფცია მძვინვარებს.

— აუ, დეიწყო...

ამ დროს გია არსენიშვილი შედის პრეზიდენტთან:

— რა ქნა, ბატონო ედუარდ, რჩეულიშვილი არ დამიბარებია და მაინც მისაღებში დგას ყვავილებით.

— ყვავილებით? შემოვიდეს ერთი, რა უნდა?

— გილოცავთ, ხალხო, გილოცავთ!

— დიდი მადლობა, მაგრამ რას გვილოცავ?

— როგორ, არ იცით? დაგავიწყდათ, არა? დღეს სოციალიზმის ფუძემდებლის — ლენინის დაბადების დღეა.

— მერე, ჩემთან მოსვლას მოსკოვში დაგერეკა და შენს სახელზე მიიტანდნენ ერთ-ორ მიხაკს კრემლთან.

— მე მინდოდა თქვენთვის მომელოცა.

კვირაც მძიმე დღეა

— ვახო, შენი ჭირიმე, აგერ დაჯექი, დაწყნარდი, ცივი წყალი დალიე და დაანებე მაგ უბედურს თავი, თავისი გაჭირვება ეყოფა მაგას, — სოციალიზმისათვისაა ზუსტად, დღესაც რომ დაუმარხავია. დამიჯერე, ასე სჯობს. შენზე ადრე არ ვიყავი სოციალისტი? იმდენი ყვავილი მაქვს ნაყიდი ლენინისთვის, ნიკალას რომ არ უყიდია მარგარიტასთვის...

მინისტრები უკვე მისაღებში შეკრებილან და ნერვიულობენ — არ იციან რისთვის დაიბარა პრეზიდენტმა კვირადღეს, ერთმანეთს ეკითხებიან, მაგრამ უშედეგოდ. და აი სელექტორში ხმა გაისმის:

— ცისანა, ნოღაიდელი მანდ არის? შემოვიდეს.

ნოღაიდელი წაბორძიკდება, ვაიმეო, — იტყვის, მაგრამ ამხნევებენ თანამეინახენი:

— ახლა, გინდა ვაიმე თქვი და გინდა უიმე, — არ გიშველის არაფერი. მიდი, ზურგს უკან სამჯერ გადააფურთხე, თითები გადააჯვარედინე, პირჯვარი გადაიწერე და მარჯვენა ფეხით შედი. რომ შეხვალ, გამარჯობის თქმა არ დაგასწროს.

— ვაიმე, დავიბენი.

— უი, შენ დაიბენი ხურდა ფულივით, რომ შეხვალ და გამარჯობას ეტყვი, მერე ისე ელაპარაკე, თვალებში არ უყურო და რაც მთავარია, ყველაფერზე დაეთანხმე და დროზე გამოდი. აბა, ნი პუხა, ნი პერა...

მალე ბრაგვანის ხმა გამოვარდება პრეზიდენტის კაბინეტიდან და სელექტორშიც გაისმის:

— ცისანა, ერთი ჯორბენაძეს დამიძახე!

— ვაიმე, ხედავ, უკვე ექიმი დასჭირდათ, ეჰ, ზურა, ჩემო ზურიკო, ჩემმა სეხნიაობამაც ვერ გაჭრა...

და ისევ პრეზიდენტის ხმა სელექტორიდან:

— ცისანა, ქუთათელაძე, თარგამაძე და თევზაძე შემოვიდნენ.

— აუჰ, ასე გლახად არის საქმე? — ღელავენ გარეთ დარჩენილნი და კვლავაც გაისმის ხმა სელექტორიდან: „ვინც ხართ დარჩენილები, ყველა შემოდით!"

— რა ქენათ, შევიდეთ?

— არ შეხვალთ და თქვენი აჯობებს...

— ყველას ერთად, დავიჯერო?..

გაინტერესებთ, რა მოხდება კვირადღეს პრეზიდენტის კაბინეტში და რამდენად მძიმე დღეა კვირა? — უყურეთ რეჟისორ ლევან კიტიას მიერ გადაღებულ „დიდების ზღაპრის" ახალ სერიალს საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის საღამოს ეთერში კვირას, 22 აპრილს და აღმოჩნდებით მოვლენათა ეპიცენტრში.

„დიდების ზღაპრის" ხელმძღვანელია ქეთი დუმბაძე, დირექტორი ირაკლი ქინქლაძე.

* * *

„დიდების ზღაპრის" სპონსორები არიან: ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია „მაგთი GSM", ცქრიალა ღვინო „სამეფო", „იტალდიზაინი", „დიო". „დიდების ზღაპრის" საინფორმაციო მხარდაჭერას ახორციელებენ რადიო „აუდიენცია" FM 105.9 და გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა".

ვიშვიშ შიშაძე.

გამოიცა

რუსთაველის კვლევა გრძელდება

რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა გამოსცა სამეცნიერო ნაშრომთა კრებული „შოთა რუსთაველი".

კრებულში წარმოდგენილია თანამედროვე რუსთველოლოგიური სკოლის უახლესი მიღწევები.

რუსთაველისკენ მიმავალი ურთულესი გზის გავლა და მისი პოეტური მემკვიდრეობის აღქმა არ არის ადვილი, მით უფრო, XXI საუკუნის მკითხველისთვის. ჩვენ მისგან გვყოფს გრანდიოზული დრო, განსხვავებული მხატვრული წარმოდგენები და გემოვნებანი...

წინამდებარე კრებულის დანიშნულება კი სწორედ ის არის, რომ მკითხველს პოემასთან მიახლება გაუადვილოს. თავად წარმოდგენილი შრომების ავტორებმა უდიდესი ძალისხმევა შეალიეს პოემის წიაღში შეღწევას, კვლევას.

340-გვერდიან კრებულში 20 ავტორის სამეცნიერო სტატიაა დაბეჭდილი, რომლებიც რუსთაველის პოემის სულ სხვადასხვა მხარეს ეხება: მას წინ უძღვის **გურამ ბენაშვილის** წინათქმა.

მარიამ კარბელაშვილი რუსთველოლოგიური კვლევის ისტორიას და მის სამომავლო, XXI საუკუნის პერსპექტივას მიმოიხილავს. **რიმა ფირცხალაიშვილის** გამოკვლევა პოემის ავტორის ვინაობის დადგენის ცდას წარმოადგენს; **ხვთისო ზარიძე** „ვეფხისტყაოსნის" კომპოზიციაზე მსჯელობს.

მკითხველისათვის უთუოდ საინტერესო იქნება **რევაზ ბარამიძის** დაკვირვებები „ვეფხისტყაოსანში" მოტივირების და დეტალების ოსტატობაზე, **ლევან მენაბდის** მიერ შესწავლილი რუსთველის აღმსარებლობის საკითხი და „ვეფხისტყაოსნის" ბიბლიური წყაროები, **ნესტან სულავას** მიერ წარმოჩენილი განგების რუსთველისეული კონცეფცია.



ბორის დარჩიას, ნანა გონჯილაშვილის, ინგა კალაძის, როლანდ ბერიძის ნაშრომები პოემის ცალკეული ეპიზოდების მეცნიერულ ანალიზს წარმოადგენს, **მერი გუგუშვილი** „ვეფხისტყაოსნისადმი" სასულიერო საზოგადოების დამოკიდებულებას განიხილავს.

საყურადღებოა **გურამ კარტოზიას** სტატია — „ვეფხისტყაოსნის" ლექსიკიდან", **ნორა კოტინოვის** — „სიტყვაწარმოების რუსთველური მოდელები და „ინდოხატელთა ამბის" ავთენტურობის საკითხი.

კრებულში ასევე შეგიძლიათ, რომ გაეცნოთ **ელგუჯა ხინთიბიძის** გამოკვლევას — „ძველი ბერძნული სააზროვნო სტილის ერთი ნიმუში ძველ ქართულ მწერლობაში", რომელიც „ვეფხისტყაოსნის" პროლოგში დადასტურებული ერთი ეთიკურ-ფილოსოფიური ტერმინის — „მოცალეობა" — ბერძნულ წარმომავლობას წარმოაჩენს.

რუსთაველის დროისთვის ქართულ ენაში საკმაო რაოდენობით იყო შემოსული აღმოსავლური, უმთავრესად არაბული, სპარსული, შედარებით ნაკლებად, თურქული სიტყვები, აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის აღმოსავლური ლექსიკის არსებობა ქართულ ორიგინალურ ძეგლებში, მათ შორის, „ვეფხისტყაოსანშიც". **ალექსანდრე გვახარიას** სტატია ამ საკითხთან დაკავშირებული ხანგრძლივი კვლევის, პირადად, აკ. გვახარიას ნაშრომების გაგრძელებაა.

აქვე იხილავთ საარქივო მასალის პირველ პუბლიკაციებს: **მიხაკო წერეთლის** რუსთველოლოგიურ შრომას, **გურამ შარაძის** წინასიტყვაობით და **სოლომონ იორდანიშვილის** რეცენზიას მუხტარ მაელოხოევისეულ „ვეფხისტყაოსნის" ოსურ თარგმანზე.

სამეცნიერო ნაშრომთა კრებული „შოთა რუსთაველი" ამიერიდან, როგორც წესი, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ გამოიცემა.

გურამ სოლომონია.

ტელევიზია

კვირა, 22 აპრილი

10.00 მეტრონომი **11.05** მხიარული კარუსელი **11.30** ბავშვები უპირველეს ყოვლისა **11.45** სტუდია "ზუმი" **12.00** მსოფლიოს ახალი ამბები **12.15** სპა **12.40** მხ.ფ. **"სასიკვდილო იარაღი-3"** **14.35** ზღვარი **15.00** მოამბე **15.15** რეგიონი **15.40** მუსიკალური ოქტაგონი **16.30** ფრანგული პროგრამა **17.00** უკანასკნელი დღე **17.20** ეძიე ქალი **17.40** პირველად იყო სიტყვა **18.10** კომუნიკატორი **18.45** მეალომანია **19.15** ტოტო-ლოტო **19.25** ჩვენი მისამართია **20.00, 00.00** მოამბე **20.25** ეკო-დაიჯესტი **20.50** ფორტუნა **21.35** ვახუშტი კოტეტიშვილთან **22.00** დიდების ზღაპარი **22.25** დოკ. ფილმი "კანი... 400 დარტყმა" **00.10** მხ. ფილმი **"ზოგუსი"**

19.00 საბავშვო კინოსეანსი მხ.ფ. **"ვინ ლაპარაკობს-3"** **20.30** ძველი აფიშა **21.10** ვარსკვლავები გვამცნობენ **21.25** მხ.ფ. **"კლეოპატრა"** 2 ნაწილი **23.25** შვიდეული

08.00 მუსიკა **09.00** კურიერი **09.15** მულტსერიალი **10.00** საბავშვო ფილმი **11.30** მუსიკა **11.40** სერიალი **"კოლომბო"** **12.10** სიმფსონები **12.30** სერიალი **"ნაზი შხამი"** **13.15** მხ.ფილმი **18.00, 02.00** კურიერი **18.20** **"კოლომბო"** **19.20** სპორტული პროგრამა **19.50** სერიალი **"ნაზი შხამი"** **21.00** 60 წუთი **22.10** დარდუბალა **22.25** სერიალი **"საეტაზმი"** **23.20** **ჯეოსელის კინოკლუბი** **01.30** სიმფსონები **01.10** კლასიკა

იბერია
მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია **08.00, 20.00** ანონსი, მულტფილმი **08.20, 20.20** ალსავალი **08.25, 11.15, 12.00, 20.25, 22.25, 00.15** მუსიკა **08.30** მხ.ფ. **"რადიოტალღა"** **10.20** მხ.ფ. **"დიდი იმედები"** **20.30** მხ.ფ. **"მთვლემარე ღრმული"** **22.30** მხ.ფ. **"მეცეკვე"**

ევრიკა **11.00** ცისკრის ზარები **11.05** ზღაპრის ტელედარბაზი **11.30** დოკ. ფილმი "ფრესკა", "შუშანიკის წამება" **12.00** თენგიზ ჩანტლაძის მინიატურები **13.25** ფედერაცია **14.00** დოკ. ფილმი "ჟამი შეკრებათა ქვათა" **15.00** ვესტი **15.20** მხ.ფ. **"იესო"** **17.00** ლოცვა **17.05** სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობა ილია მეორის ქადაგება **17.20** საეკლესიო კალენდარი **17.35** საუბრები ბიბლიაზე **19.00** "ზერკალო" **20.20** გვარიშვილობა **20.50** საბავშვო გადაცემა "ნიკორა" **21.15** იქ, სადაც სიყვარულია **21.30** დოკ. ფილმი "კოჯრის ტყის სიზმრები", "ძველი თბილისის სურათები", "ძველი ქართული საგალობლები" **22.30** გადაცემა "ეკონომისტი" **23.30** პროგრამა "მსოფლიო სპორტი"

კროსვორდი

თარაზულად: 5. ქანდაკება, რომელიც გამოხატავს ადამიანის სხეულის ზედა ნაწილს (თავსა და გულმკერდს); 6. გერმანელი დრამატურგი, პოეტი და ხელოვნების თეორეტიკოსი; 10. უძრავი ქონების დროებით დაქირავება სათანადო ხელშეკრულების დადებით; 11. ძველებური რუსული სიგრძის საზომი; 12. გრძნობების, განცდების გამოხატვის ხელოვნება სახის კუნთების სათანადო მოძრაობით; 13. ერთგვარი კანფეტი; 15. ფარული საძრახისი მოქმედება, ხრიკები რაიმე მიზნის მისაღწევად; 17. ერთგვარი ხელოვნების ბოჭკო; 19. ერთგვარი თამაში სალტეებით და ჯოხებით; 20. იგივეა, რაც ამირა; 23. ციტრუსოვანი მცენარე; 25. შტატი აშშ-ის ჩრდ. ნაწილში; 27. ბრაზილიელი მწერალი; 29. უნგრელი გროსმაისტერი; 30. მერქნიანი მცენარე, ისხამს პატარა თავებად შეკრულ ყვითელ და თეთრ ყვავილებს; 31. ამბის მომტანი, რისამე მაუწყებელი — შიკრიკი; 33. ცხენების შეჯიბრება ჭენებაში გრძელ მანძილზე; 34. ადამიანის და ხერხემლიანი ცხოველის სასუნთქი ორგანო.

შვეულად: 1. კოშკის ან კედლის ძველებური საათი, რომელიც რეკავს და თან ასრულებს რაიმე პატარა მუსიკალურ ნაწარმოებს; 2. ფაეტონი; 3. საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება, კავშირი; 4. სპორტული ცურვის სტილი, ბატერფლაის ნაირსახეობა; 7. ერთმანეთთან შეერთებული ორი ბრტყელძირა ნავი, ზედ დაგებული ფიცრებით — მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასასვლელად ან ტვირთის გადასაზიდად. 8. გერმანელი მწერალი; 9. ოთახი პატიმართათვის; 13. სახელმწიფო წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში; 14. გულუბრყვილო, მიამიტი ქალის როლის შემსრულებელი მსახიობის ამპლუა; 16. კამპუჩიის ფულის ერთეული; 18. ინგლისის უმაღლესი თავადაზნაურთა მემკვიდრეობითი ტიტული; 21. ალვირის ნაწილი — ცხენის პირში ამოსადები რკინა; 22. მუქი ლურჯი საღებავი ნივთიერება; 24. ძროხისებრთა ოჯახის წყვილჩლიქოსანი ცხოველი; 26. ქალის ტანსაცმელი, კაბა, რომელსაც გული ღრმად აქვს ამოჭრილი; 28. ცელქი, დაუდეგარი; 31. მუსლიმანთა მღვდელი; 32. თბილისის ერთ-ერთი ძველი უბანი.

შეადგინა
ციალა ამაშუკელმა.



15 აპრილს გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 2. პაკისტანი. 6. კომპენსაცია. 9. ორდალია. 10. „სალომეა". 13. ქნარი. 14. პიპინია. 18. კადრი. 19. ჟარგონი. 20. იმპორტი. 21. შტატი. 22. აბეზარი. 25. სფერო. 26. გვარდია. 28. ეკოსეზი. 31. იმპერატრიცა. 32. ალიზარინი.

შვეულად: 1. ქსანი. 2. პროზა. 3. კუპრინი. 4. აგარაკი. 5. ილიკო. 7. პრეროგატივა. 8. მეტამორფოზი. 11. ანდანტე. 12. კრატერი. 14. პრიმა. 15. პასტა. 16. ნარტა. 17. აზინი. 23. ბრიკეტი. 24. რეკორდი. 27. რამპა. 29. საცხი, 30. კაკაო.

ხსოვნა

გივი ელიავა

ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მარტვილის ეროვნული მუზეუმის დამაარსებელი და მისი უცვლელი დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მკვლევარი გივი ელიავა.

დაიბადა 1918 წელს მარტვილში. 16 წლის ნიჭიერ ახალგაზრდას წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლის ხელმძღვანელობა დაევალა. 1936 წელს სამუშაოდ გაიგზავნა ქვემო სვანეთის სოფელ ჩიხარეშის არასრულ საშუალო სკოლაში, 1937 წელს კი მიდის წალკაში და მუშაობას იწყებს სოფელ რუხში მასწავლებლად. აქვე აარსებს საღამოს სკოლას.

1941 წელს, არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ, ბრუნდება მშობლიურ მარტვილში, განაგრძობს პედაგოგიურ საქმიანობას და 1952 წლამდე მუშაობს რაიონის სხვადასხვა სკოლაში ისტორიის მასწავლებლად, დირექტორად.

1957 წელს ბატონმა გივიმ საფუძველი ჩაუყარა იმ დროისათვის რაიონისა და მხარისათვის უჩვეულო, სამუზეუმო საქმეს და ამის შემდეგ, როგორც პიროვნებამ, მოქალაქემ და მოღვაწე მამულიშვილმა აქ, მის მიერ დაარსებულ მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში პპოვა თავისი ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრების ნავსაყუდელი. მან შექმნა მხარის ისტორიის მომცველი, რესპუბლიკაში გამორჩეული რეგიონული მუზეუმი, თავისი მდიდარი ფონდითა და საინტერესო ექსპოზიციით, სადაც თავმოყრილი მრავალი ნივთიერი მასალა იმდენად უნიკალურია, რომ მსოფლიოს ნებისმიერ მუზეუმსაც დაამშვენებდა.

იქიდან მოყოლებული, გივი ელიავამ, მთელი თავისი სიცოცხლე მხარის ისტორიის შესწავლის, ისტორიის მოწმე დოკუმენტების, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალების შეკრება-შეგროვების საქმეს შეალია. მისი მოღვაწეობის სფერო იყო მრავალფეროვანი და მრავალდარგოვანი. იგი იყო პედაგოგი, მეცნიერი, ქომაგი ბუნებისა და ისტორიული ძეგლების დაცვისა, მრავალი ახალი საქმის ინიციატორი და დამნერგავი.

კაცი, რომელმაც უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, მთელი თავისი ცხოვრება მარტვილში გაატარა, მას არ მოსცილებია, იყო სამეცნიერო წრეებში აღიარებული მკვლევარი. იგი მხარის ისტორიას სწავლობდა კომპლექსურად, უპირველესად იყო მეცნიერ-ისტორიკოსი, ამავე დროს ეთნოგრაფიც, არქეოლოგიც, ლექსიკოგრაფიც... მის კალამს ეკუთვნის ათობით მონოგრაფია, ასობით სამეცნიერო შრომა და სტატია, ეთნოგრაფიული ალბომები და ტოპონომიკური კრებულები და ატლასები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრისა და მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სამეცნიერო სესიებზე წაკითხული აქვს 123 სამეცნიერო შრომა. მარტვილის მუზეუმში მისი ხელმძღვანელობით მომზადდა და გამოიცა მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, რომელიც ქართული ლინგვისტიკური მეცნიერებისათვის აუცილებელი და საჭირო შენაძენია.

ბატონი გივის უშუალო მონაწილეობითა და კონსულტაციით, ხშირად კი თაოსნობითაც შეიქმნა მხარეში არაერთი სამუზეუმო დაწესებულება, სამუზეუმო საქმეში მან იმთავითვე ჩააბა ინტელიგენცია, მოსწავლე-ახალგაზრდობა, უბრალო მშრომელი ადამიანებიც კი, რითაც დიდ ეროვნულ და პატრიოტულ საქმიანობას ჩაუყარა საფუძველი.

1960 წელს გივი ელიავას ინიციატივით მუზეუმის ბაზაზე დაფუძნდა სახალხო უნივერსიტეტი, რომელიც შემდგომ სახალხო აკადემიად გადაკეთდა. მანვე დააფუძნა და ტრადიციად აქცია მუზეუმში რაიონული სახალხო დღესასწაულების „ჭყონდიდური დღეების" ჩატარების პრაქტიკა.

1974 წელს საქართველოში პირველად მარტვილის მუზეუმში შეიქმნა მუზეუმის „ღია ცის ქვეშ" განყოფილება, გივი ელიავამ იმთავითვე დიდი ყურადღება მიაქცია თითქმის გადაშენების გზაზე მდგარი ძველკოლხური ვაზის ჯიშების შეგროვების საქმეს. დაძებნა და მუზეუმის საკოლექციო ნაკვეთზე გააშენა მრავალი სახეობის უნიკალური ჯიში.

გივი ელიავა სხვადასხვა დროს არჩეული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, საისტორიო საზოგადოების, კულტურის ძეგლთა დაცვისა და ბუნების დაცვის რესპუბლიკური საბჭოების წევრად.

1998 წელს გივი ელიავა ეგრისის, საქართველოს ეროვნული და სოციალური ურთიერთობათა და ქართული ფენომენის სამეცნიერო აკადემიების აკადემიკოსად აირჩიეს. გივი ელიავას თითქმის ბოლო დრომდე არ გაუწყვეტია საგანმანათლებლო-პედაგოგიური საქმიანობა. იგი ლექციებს კითხულობდა ქუთაისის პედაგოგიურ უნივერსიტეტსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

1988 წელს იგი აირჩიეს ქ. მარტვილის პირველ საპატიო მოქალაქედ. დაჯილდოებული იყო ხალხთა მეგობრობისა და ღირსების ორდენებით.

გივი ელიავამ რვა ათეულ წელზე მეტ ხანს იცოცხლა, ექვს ათეულ წელზე მეტ ხანს იღვაწა, იშრომა და აკეთა ქვეყნისა და მამულისათვის სასიკეთო საქმე, რითაც მან სამუდამოდ დაიმკვიდრა ერისკაცის საამქვეყნო, ღირსეული სახელი.

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაცია;
მარტვილის რაიონის გამგეობა და საკრებულო;
მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

მეუღლე ნაზი, შვილები ნატო, ბადრი იუწყებიან
შოთა კაპიტონის ძე ბალათურიას
გარდაცვალებას.
პანაშვიდი 24, 25 IV. გამოსვენება 26 IV, 3 სთ. ვაჟა-ფშაველას გამზ. VI კვ. 22 კორპ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი საზოგადო და პარტიული მოღვაწე, პერსონალური პენსიონერი, ქ. სოხუმის ქალაქკომის ყოფილი მდივანი
გივი ჭაჭია
და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები თანაუგრძნობენ სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრის პროფესორს ზაურ ჯინჯოლავას მამიდის
აგრაფინა ჯინჯოლავა-ჯაიანის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობა და მთელი პირადი შემადგენლობა ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ კომენდატურა „ქიზიყის" რიგითების
გიორგი რობერტის ძე ვარდანაშვილის
და მერაბ ვიტალის ძე ბიჭაშვილის
დაღუპვის გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98"

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ოთარ ხუციშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება – ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა –
PRESS-98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში, ხომარაულის 29.